

ԱՆԳՈՎԱԾ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՊՐԵՄԻԱՄԱՆ

ՀՆ, 2, 2014




ჩევახ ილიაშვილის სახეობის ლიტერატურული კონკურსი



* * *

„მწერლობა მაინც სხვა არის, ნამდვილი მწერლობა. მას ყოველთვის თან ახლაցს ღვთიური შუქი, რომელშიც ხარობს, ჯეჯილიც, შვლის ნუკრიც და ჩვენი სულიც“.

რევაზ ინანიშვილი



კანონი

№ 2. ივნისი. 2014 წელი

ლიტერატურული ჟურნალი

კლასიკა

ჩანსელ ჩახავისი	ცხინვალის სიყვარული	3
რეპორტაჟი ქუმრეთიდან დიმიტრი ყიფიანმა უნდა გაგვაერთიანოს	4	
პროგნოზი ბელა ბელაშვილი გზა მოწამისა – დიმიტრი ყიფიანი	6	
პოეზია		
მარა აღაშვილ (ახალიძე)	9
სათურა შავგაციძე	14
ლეილა კისამისი-სახლოსაციმილი	17
პროგნოზი		
ზურაბ ჯოსებიძე	18
ისამირ შამათავა	21
მოგონება		
მარა მაზარიშვილი გვჯერა, რომ საშმში რეზოს სახლ-მუზეუმი გაიხსნება	24	
პოეზია ქორავა ზურაბიშვილი	27	
ერთი ლექსი ვასილ ბოსტაშვილი	28	
ალექსი ისფერიძე		
ივანე აკეთიძე მწვერვალებზე ფეხის თითების გარეშე	29	
აკადემიუმ აიშხავისი ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან	34	
პოეზია როთა ფარისი	38	
თარგმანი		
ბაბიურ ბახსია მახასი ძალიან მოხუცი კაცი უშველებელი ფრთებით	40	
ტახას შევჩერაო	45	
ალექსანდერ კაშაშვილი	47	
აშანდ სახლოსაციმილი მთარგმნელი ყველასთან მართალი უნდა იყოს	49	
პოეზია თამა შაიმხალაშვილი	51	
ნინო ჩხილაშვილი ფიქრები ნოდარ მამაცაშვილის წიგნზე	52	
პოეზია		
გიორგი სათაშვილი	54	
ლაშა საცეპა	56	
მსაფურთმება აკადემიუმ აიშხავისი ახდენილი ოცნება	57	
პროგნოზი ნინო ქალაპიძე ახირებული კაცი	60	
ერთი ლექსი თანაბიზ ეთმობიძე ნანის	61	
პოეზია ბიორგი შევიტავი	62	
ჩანარწევების სურვილი ლი მას გამო, ვინც აქ დარჩება	64	
პოეზია შოთა რომელიძე	66	
აონსალინი ააკანილი ქართული ტიპი	67	
ტერიტორიული გამარჯვებული – 130	69	
თამა შაიმხალაშვილი სიცოცხლის დროა!	72	
ერთი ლექსი ახა ლეგაძი	73	
წერილი ტერაქციას აკადემიუმი ბობიშვილი	74	
თამა ჩალაბაშვილი გმადლობთ, ნახვამდის, მაია მასწავლებელო!	75	
პროგნოზი ბიორგი ზურაბიშვილი დამეული სტუმრები	77	
„რუსთაველის და დანტეს იღუმალი“ (მაია ცერცვაძის საჯარო ლექცია)	79	
ერთი ლექსი ისა შიმოლაშვილი	80	
ტერაქცია ბერებაშვილი სუთევისი	81	

აკადემიურ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ექინაც „ანელთან“ ახსებელი
ღიყეჩატებული გაერთიანება:

თამარ მიძაპა
ლეილა ქილოშვილი –
სახლთხ უციშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მარადა ჩიტიშვილი
ნინო ჩხილაშვილი
თამაზ ხმალაპა
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ლეგალი
ჯუმბერ ჯიშპარიანი

მთავარი ჩედაქუობი

თამარ ჭაიშვილაშვილი

პასუხისმგებელი ჩედაქუობი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიორიბი ზურბული

კომპიუტებული უზრუნველყოფა

გოჩა სოჭიაშვილი

გაქანცხა: სისანა აკადემიული ნახატი: „კოჩინო ბერენ“

ჩედაქუობის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ექინაცი გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი



ცხინვალის სიყვარული

საქართველოს გეფიცებით,
ისე მიყვარს ცხინვალი,
როგორც ქრისტეს
მოსასხამი,
ლამაზი და ბრწყინვალე.
სულ მგონია, იქ დაინთხა
ჩემი სისხლი მართალი,
წუთისოფლის
აღსასრულიც,
წუთისოფლის ზამთარიც.
სულ მგონია, იქ გამზადდა
ჩემი სასუფეველი,
მესიზმრება მისი მთები,
მისი ლურჯი ტყე-ველი.
საქართველოს გეფიცებით,
ისე მიყვარს ცხინვალი,
როგორც ქრისტეს
მოსასხამი,
ლამაზი და ბრწყინვალე.
როცა მიწა ერყეოდა
კლდეს მიჯაჭვულ
გოლიათს,
დედამიწის ყველა ტოში
იქ მოსთქვამდა, მგონია.

ასე მახსოვს, იქ მწყუროდა
და იქ დამალევინეს,
მისი თოვლის მოელვარე
ცეცხლზე ვიწვი ნელინელ.
საქართველოს გეფიცებით,
ისე მიყვარს ცხინვალი,
როგორც ქრისტეს
მოსასხამი,
ლამაზი და ბრწყინვალე.
მის მწვერვალებს —
ვემალები —
თვალები შეშლილი აქვთ,
მეშინია მწვერვალების, —
სიმაღლის მეშინია.
მივალ, ვნახავ, ხელს შევახებ,
ისევ ნახვა მწყურია,
რადგან ჩვენი სიყვარული
სისხლის საფასურია.
საქართველოს გეფიცებით,
ისე მიყვარს ცხინვალი,
როგორც ქრისტეს
მოსასხამი,
ლამაზი და ბრწყინვალე.

ლექოლური ქვიშეგთიდან

დიმიტრი ყიფიანმა უნდა გაგვაერთიანოს

200 წელი შესრულდა წმინდა დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან. ეს თარიღი ქვიშეგთსა და ხაშურში საზემოდ აღინიშნა. ქვიშეგთის მაცხოვრის აღდომის ეკლესიაში წმინდა დიმიტრის სახელზე პარაკლისი შესრულდა, შემდეგ კი დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმთან მისი ხსენების დღე იზეიმდეს.

აქ შეიკრიბნენ ხელნაწერთა ინსტიტუტის, თეატრისა და კინოს მუზეუმის, ლიტერატურის მუზეუმის, ეროვნული ბაბლიოთეკის წარმომადგენლები, საეკლესიო პირები, ადგილობრივი ინტელიგენცია.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მენეჯერმა, ისტორიკოსმა თამაზ ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ უკვე 2 ათეულ წელზე ცოტა მეტია, 26 აპრილს იკრიბებიან ქვიშეგთში და დიდი თანამემამულის, წმინდა დიმიტრი ყიფიანის – სამშობლოსათვის წამებულის ხსენების დღეს ზეიმბეჭნ.

თამაზ ლაცაბიძის თქმით, წელს ბიუჯეტში 250 ათასი ლარია ჩადებული, რომელიც ამ შენობის რეაბილიტაციისთვის უნდა გაიხარჯოს და იმდენია რაიონის ხელმძღვანელობა ყველაფერს იღონებს ამ საქმის დასაწევებად.

სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსმა, მეუფე სვიმეონმა (ცაკაშვილი) შეკრებილო კიდევ ერთხელ მიულოცა აღდგომის ბრყინ-ვალე დღესასწაული:

„ჩვენ მისით მარტო კი არ უნდა ვიამაყოთ, ეს ჩვენთვის მაგალითი და ჩვენს გულებში

ჩასახედი უნდა იყოს, ჩავიხედოთ ჩვენს სულებში, ვართ კი რამეთი მსგავსი ამ დიდი წმინდანისა? განა ჩვენ ნაკლები უფლებები გვაქვს ღვთისგან მონიშებული, რომ ჩვენი სამშობლო – საქართველო, თითოეული ქართველი და საქართველო, მოყვასი დავიცვათ? თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ამის უფლება, რომ ვთქვათ ჩვენი სათქმელი თუნდაც სიკვდილის ფასად, ასეთი მოღვწეობის ფასად, რომ მარტო იმ ზეციურ უკვდავებში კი არ შევრჩეთ და დავრჩეთ, ამ მიწიერ ქვეყანაზეც უკვდავებად დარჩეს ჩვენი სახელი და ჩვენი მოღვაწეობა და ვიყოთ სამაგალითონი“.

წმინდა დიმიტრი ყიფიანის შთამომავლება, მწერალმა თამარ მიქამებ აღნიშნა: „ჩემს უკან დგას ხუთი თაობა, პატრიარქმა ბრძანა, არსებობს სულთა კავშირიო. ამ სულთა კავშირს ყოველდღიურად ვგრძნობ და, რა თქმა უნდა, ასეთ წუთებში, რომ ჩემს წინ დგას ჩემი მშობლების თაობა, ბებიები, ბაბუები, კიდევ იქთ – გვირგვინი გვარისა – წმინდა დიმიტრი ყიფიანი.

წმინდა დიმიტრის შთამომავლებს არ უღალატიათ წმინდა დიმიტრისთვის, ეროვნული და, თავისთავად, სარწმუნოებრივი გზისთვის. ჩვენ დიდ წინაპრებს ვერ შევეძრებით, მაგრამ ვეცდებით, რომ ეს გზა გავაგრძელოთ. უნდა გითხრათ, რომ საოჯახო არქივში ექვსი თაობის მასალაა, რომლის გამოცემასაც ახლო მომავალში ვაპირებთ. ბატონი როსტომ



ჩხეიძე არის რედაქტორი. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება ექვსი თაობის მასალა, რომელიც ინახებოდა სკოვრში, ხელიდნ ხელში გადადიოდა და ასე მოაღწია ჩვენამდე“.

აჭარიდან ჩამობრძანებულმა პოეტმა შოთა ზოიძემ აღნიშნა, რომ დიმიტრი ყიფანი დიდი კაცი იყო.

„დღეს მე დათრგუნული ვარ, რომ ასეთ მდგომარეობაში ვნახე ეს წმინდა ადგილი, ნამდვილად მიკვირს დიდი ჩინოგნიკების და ბიზნესმენების, რომლებსაც ფულის ტომრებზე სმინავთ და ეს სახლი ასეთ დღეშია, ეს უნდა გახსაურდეს, — ის 250 ათასი ლარი მარტო სახურავს არ ეყოფა. ამ სახლს სულ ცოტა მილიონი ლარი სჭირდება, რომ თავის ფორმაში ჩადგეს და იყოს ისეთი, როგორიც დიმიტრი ყიფანის დიდ სახელს ეკადრება. აჭარა გულში იხუტებს და მისი სახელი ხატად უსვენია“.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებაშ დაწესა დიმიტრი ყიფანის მედალი. მედალი ყოველწლიურად, 26 აპრილს გადაეცემა იმ პიროვნებას, რომელსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვს დიმიტრის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის, დიმიტრის პოპულარიზაციის საქმეში. ეს უკვე მეოთხე მედალია, რომელიც გაიცა ამ კუთხით გაწეული ღვაწლისთვის. 26 აპრილს ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებამ და დიმიტრი ყიფანის სახლ-მუზეუმშა გადაწყვიტა, რომ წელს დიმიტრის მედალი გადაეცეს ფილოსოფიის მეცნიერებათა ღოქტორს, პროფესორ გურამ ყორნაშვილს, რომელმაც დიმიტრი ყიფანზე შესანიშნავი მონოგრაფია — „ახალი დიმიტრი თავდადებული“ შექმნა.

გურამ ყორანაშვილს მედალი მეუფე სვიმეონმა გადასცა.

ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორმა ლევან თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ საჯარო ბიბლიოთეკის ყველაზე დიდ დარბაზს ეწოდება დიმიტრი ყიფანის სახელი. დიმიტრი



ყიფანის სახლ-მუზეუმის მენეჯერი რევაზ ნიზაძე ყოველწლიურად დიმიტრი ყიფანის მუზეუმს გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს ჩუქნის. წელს მან მუზეუმს იღია ჭავჭავაძის პორტრეტი აჩუქა.

სიტყვით გამოვიდნენ: მწერალი, უურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარი რედაქტორი როსტომ ჩხეიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი მიხეილ ქავთარია, პოეტი, ლიტერატორი მურად მთვარელიძე.

ბოლოს, დიპლომებით დაჯილდოვდნენ კონკურსის „ჩემი დიმიტრი ყიფანი“ გამარჯვებული ხაშურის რაიონის საჯარო სკოლის მოსწავლეები: ხატია ლომიძე, მარიამ ჯიქურაშვილი, ნინო ჭადაშვილი, ლიკა ბერიძე.

ლონისძიება გაგრძელდა ხაშურში, სადაც ჩატარდა კონკურსი რაიონის მოსწავლეების მონაწილეობით, რომელსაც ხელმძღვანელობდა სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა ხელმძღვანელი, რეფისორი გოგი დოლიძე. საღამოს გამგებელი მამუკა ხაჩიძე და ხაშურის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე ოლეგ ლაცაბიძე.

გამოითქვა რწმენა, რომ დიმიტრი ყიფანის სახლობის მუზეუმი ქვიშხეთში მაღე აღდგება. იმ დღეს კიდევ ერთხელ დაადასტურა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სახლ-მუზეუმის აღდგენას და მისი კულტურის კერად გადაქცევას.



დაიბადა 1964 წლის 27 სექტემბერს ახლოუინის რაიონის სოფელ საყუნეთში. 10 წლის ასაკიდან წერს ლექსებს. წარჩინებით დამთავრა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის უურნალისტის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

თანამშრომლობდა და აქტიური წევრი იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული ლიტერატურული სალონისა „ირმის ნახტომი“.

წერს ლექსებს, ნოველებს, პიესებს, ამჟამად მუშაობს პოემაზე „დიმიტრი ყიფიანი“.

ცხოვრობს ქვიშეთში. მუშაობს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში ფონდების მცენად.

ორი წიგნის – პოეტური კრებულის „უკვე მოვკდი“ და დიმიტრი ყიფიანზე პიესის ავტორია... არის მწერალთა კაეშირის წევრი. გამოსაცემად ამზადებს ახალ კრებულს, საღაც ლექსებთან ერთად პროზაული ნატურელურებიც შევა.

გთვაზობთ ნაწყვეტს კლარა გელაშვილის პიესიდან: „გზა მოწამისა – დიმიტრი ყიფიანი“.



გზა მოწამისა – დიმიტრი ყიფიანი

პიესა (ნაწყვეტი)

სურათი XI

ჩუდეცკის სიკვდილი

მთხოვბელი – და როცა თეთრად შეიმოსა კავკასიონი და წლებმა მასაც, ვით მთაწმინდას, თმა შეუვერცხლა, მოვიდა როგორც ნეტარება მტკიცან სულისა, რომ მამულისთვის კიდევ ერთხელ ეთქვა – მიყვარხარ!!!

დგას 1886. ერეკბიან ავდრის ღრუბლებს ერისკაცები, მაგრამ მზე არ ჩანს. პერიოდია დამცირების, შეურაცხყოფის, დევნისა, აგდების... ქართველებისთვის დახშულია კარი ყოველი. ქართულ ენაზე არა – წირვა, არა – ანბანი...

წინამდობლია ქუთაისის გუბერნიისა ამ დროს დიმიტრი. აღმგოთებული კორსაკოვის მავნე ქმედებით, მეფისნაცვალთან ამხელს ქვეყნის მძიმე გასაჭირს... და სწორედ მაშინ, ღრუბლიან ცას რომ აკლდა ელვა, სემინარია შეიღება სისხლით რექტორის!..

პავლე ჩუდეცკმა აკრძალული ლიტერატურა უპოვნა მას რა, ზიზღით ქართველთა, სასწავლებლიდან გააძევა ყმაწვილებაცი ლაღიაშვილი. არ დაუტოვა არც გზა, არც სხინა, კველა მოუჭრა! განსაცდელისთვის გაიმეტა და თხოვნას

მისას არც ეგზარქოსმა პავლემ აღარ ათხოვა ყური!...

ბოლო კითხვაზე, – სად წავიდე, რა გზას დავადგე?!

– ყაჩაღად ტყეში! – ჩუდეცკისგან იყო პასუხი.

ტყეში გაჭრამდე დანაშაულს სჩადიან რადგან, ლაღიაშვილმა სასიკვდილოდ დაჭრა ჩუდეცკი!..

ეგზარქოსს პავლეს დაეწყევლა ქართველი ერი, გამო იმისა, რომ ამაყი შვილი გაზარდა!!!

მღვდელმთავრის მსგავსი საქციელით აღმფოთდა ყველა, ხმის ამოღება კი ვერავინ ვეღარ გაბედა!!!

ვინ, ვინ დათმობდა ყოველივეს, რათა სიმართლის სილა გაეწნა და მტრის თვალებში ჩაეხედა ასე ძალუმად?!?

შეურაცხყოფილ, ლეჩაქმოხდილ მამულზე ფიქრით, ღამეს ზამთარში ღია ცის ქვეშ ვინ გაათევდა?! თუ არა იგი, თმათეთრი და ბრძენი მოხუცი!

საბედისწერო წერილს სწერდა და ცაცხვის შრიალს, ვით გულის ხმას, ყურს მიუგდებდა.

ხის აივანზე ბოლთას სცემდა... ჯალბობასთან ტკივილიან გულს იოხებდა... თვლემდა მამული!!!

მიხაილოვოს სადგურიდან წერილს უგზავნის... ეგზარხოს პავლეს დაწყევლილი ერის ქომაგი უარეს საფრთხის მოლოდინზე ამცნობს, სთხოვს კიდეც, თუკი მან მართლა გაიმეტა ერთ გმობისთვის, თუ ლოცვის ნაცვლად მღვდელმთავარმა წყველა იკადრა, მაშინ შერცხვენილს დარჩენია მხოლოდ ერთი გზა, — დაუყოვნებლივ გაემგზავროს საქართველოდან!!!

არ ეპატია! როგორც ბევრ სხვას, არც თმათეთრ მოხუცს, მიუხედავად ტახტისადმი ერთგულებისა, საქართველოის სიყვარული არ ეპატია!!!

გადასახლება სტავროპოლიში!!! წიოდა ქარი და თან მოპქონდა სამძიმები ყველა კუთხიდან.. როცა აკაკი წერეთელმა ნახა ქვიშეთში და დამწუხრებულ სახეს მისას ადგა ჩრდილები, დიმიტრიმ ხელი მოპხვა და დიმილით უთხრა:

ლოთის წყალობაა ყველაფერი
და მადლი უფალს,
უკეთეს ჯილდოს ვინატრებდი
ვერასდროს ჩემთვის!..
ცუდგაცობისთვის აგზავნიან
ციმბირში ქართველთ
და იდეურად მათი დასჯა
ჯერ არც ვის ესმის!
ხომ პატიმრობით დავიწყე და
ვამთავრებ მითვე,
პირველი მერცხლის ზოგჯერ სუსხში
ბედია კვდომა,
მახარობელი მე ვიქნები
საამო ამბის,
რომ გაზაფხული, გაზაფხული
უთუოდ მოვა!

სურათი XII

ქომაგი

მთხობელი — პობედონისცევს, კორსაკოვს და ეგზარხოს პავლეს, იმპერატორმა დადებითი პასუხი გასცა! — რათა სხვებისთვის მაგალითი მიეცა დასჯის, არ არეოდა სამშობლოთი ბევრ სხვასაც თავგზა!

დაბერავებულ ერს რად უნდა ჰყავდეს ქომაგი?! მიმოიხედონ, განა ერთურთს ნაკლებ კორტნიან? ქართველი ქართველს რასაც მართებს, ვერ უზამს მტერი!.. დაუნდობლობამ დააგნინა, გაანახევრა ერი და ახლა, ეგზარხოს პავლეს წყველამ ნუთუ ასე გაანაწყენა, — ხმა ამაღლა და ვის აგნებს ამგვარი ქცევით, ნახავს თვითონვე!

მოქმედება VII

სურათი XIII

ნინო ჭილაშვილისა და დიმიტრი ყიფიანის მიმოწერა

(სცენაზე ორი მაგიდა და ორი სკამია. მავიღებს შეუ ტიხარია. აქეთ-იქიდან სხედან დიმიტრი და ნინო).

ნინო — ლოთიურო ჩემო, მწერ, ჩასულხარ, თურმე, მშვიდობით... (თუკი მშვიდობა ეთქმის ჩვენგან შენ განშორებას!) ვაი, რომ ჩევნს თავს ისტორიის შავი ბორბალი ბრუნავს და შევძლებთ კი ოდესმე მის შეჩერებას?!

დიმიტრი — ვერ ავლწერ, ისე გამახარა შენმა წერილმა. სხვა სხივი აქ რა შემოაღწევს, აწ რა გამათბობს... ქვიშეთის თბილი საღამო გულს ტკივილად დამრჩა... ბედინიერება მხოლოდ მაშინ მეწვევა ვიცი, ჩემს სამშობლოში, ჩემს ქვიშეთში ვიქნები როცა და თქვენთან ერთად გათენდება ლამაზი დილა, დილა, რომელიც მხოლოდ ჩევნმა ქვიშეთმა იცის!

ნინო — მწერ, რომ სახსრებმა შეგაწუხა, სიცივემ გაგნო, უსამშობლობა, უჩვენობა გაწუხებს ძლიერ... ჩვენ არა გვიშავს, შენზე დარდი გვაწუხებს მხოლოდ და თუნდაც ფეხით მომიწიოს კარდაკარ დავლა, ყველას მივმართავ, განსაჯონ და შინ დაგაბრუნონ!...

დიმიტრი — ჩემზე ნუ სწუხარ, ქვიშეთური ზამთარი ბევრად უფრო მპაცრია სტავროპულზე... რა გაეწყობა! რაც შეეხება დაბრუნებას, მეც ვცდილობ, იქნებ ამისნან, მაინც რა ბრალისთვის გადმომასახლეს და თუკი ვინმეს შეაწუხებ, ჩემო ნიჩურკა, პირობა მომეც რომ:

შეწყალება არ ითხოვო არსად,
შეწყალებას დამნაშავე ითხოვს,
მოყვარული თვის მიწის და ხალხის,
არ მგონია, დასასჯელი იყოს!
დე, წაიღონ მაბადია რაც კი,
ჩემით გავცემ, გასაცემი რაც მაქვს,
სიყვარული მრჩება ჩემი ხალხის,
სიცოცხლეს ვთმობ, ის კი
საფლავს ჩამაქვს!...

ნინო — შესაწყალები კარგად ვიცი, რომ არცა რა გვჭირს!.. ჩვენ რომანოვი მიხეილი ბორჯომში ვნახეთ. მე და ელენებ გადავცეით თხოვნა, ღვთიურო. გთხოვა, მხნევ იყო, საქმიანი მოხსენებისთვის მოემზადო, რომ იმპერატორს უთხრა ყოველი.

დიმიტრი — თუ რომანოვი მპირდება, რომ ხელმწიფების ვნახავ, გამოძიებაც დაიწყება ყოველი საქმის...

ნინო – (წამოდგება და ხელს აღაპყრობს) ღმერთო, სამშობლოს დაუბრუნე ერის სინდისი, შენი შეწევნით ის ხომ მამულს ემსახურება!

სურათი XIV

დიმიტრის სიკვდილი

დამწუხერებულია ყიფიანთა საგვარულო. ელენე – მამა მომიკლეს!!!
შენ კი – შვილი, მამულო ჩემო!
განთიადამდე რამდენიმე წუთი რომ
აკლდა...

მანც გათენდა!
იმ სუდარას, მამას რომ ერგო,
საქართველოსთვის ამზადებდა მტერი
ქართველთა!

მამა მომიკლეს!!!
შენ კი – შვილი, მამულო ჩემო!
ერის ქომაგის აკვნესებულ გულში
ატირდა აწმყო, წარსული, მომავალი
ბინდი სოფელის!..

ვინ გაუყინა ძარღვში სისხლი, სადაც
ძალუმად დანავარდობდა სიყვარული,
მხოლოდ ქართული?!?

მამა მომიკლე!
შენ კი – შვილი, მამულო ჩემო!
მიიღე მისი გული, როგორც უფლის
ნობათი!
მიიღე მისი სისხლი, როგორც წყალი
მწყურვალთა!
მიიღე მისი სული, როგორც თბილი
ნიავი,

მალამოდ იყოს და ნუგეშად, ადამიანთა!..
ეს რომ სცოდნოდა, უკვდავების

კვართს უკერავდა, მწამს, მტერი მისთვის,
სიკვდილსაც არ გაიმუტებდა!

სურათი XV

გამოთხოვება

მთხრობელი – ასეთი გლოვა იშვიათად
ენახა ვინმეს! მცხეთას ესვენა დიმიტრი
და დინება ხალხის ჰგავდა მდინარეს,
აზვირთებულს სტიქის გამო! საყოველთაო
პანაშვიდებს იხდიდნენ ყველგან... პირქვე
დაემხო ქართველი თუ არაქართველი!

მისი სიკვდილით ერთ დიდ მუშტად
შეიკრა ერი! სიტყვას ითხოვდა თითოეულში
ისევ ღირსება!

გზა მოგვეცითო! ჯვარი კვეთდა სატანის
ბოგინს, – ამ პროცესიას მიჰყვებოდა გული
ქართველთა!..

ქვიშეთის მიწა განაგრძობდა ამაო
ლოდინს, რადგან მთაწმინდას მოითხოვდა
მისი დიდება!

მამადავითი შეკრდს ხსნიდა, რომ შვილი
ჩაეკრა, საქართველოსთვის კი ღმერთს
სთხოვდა მსგავსის გაჩენას!

ხუროთმოძღვარი მიაბარა რა მიწას ერმა,
სამარადისო ჰიმნით მორთო ხსოვნა აკაკიმ!..

გზა მოწამისა, თუმც არ იყო ასე
ადვილი, –

დღეს წმინდანია, დაიმკვიდრა ღმერთთან
ადგილი!

კალატოზებმა კვლავ განაგრძეს შენება
ტაძრის!.. დღემდე მსხვერპლს ითხოვს და
გმირს ელის იღბალი ქართლის!..

ესე აღმი (ეხელები)

იქ და აქ

ალიონზე რომ გაღვიძებამდე ათი წამი
ნახულობს სიზმრებს,
ასე პგონია, მთელი დამე კინოს უყურებს
მონატრებაზე, მოკვეთაზე, მოლოდინზე, მოთმინებაზე...
იმ სიზმრებით ერთი ხანი ღვიძლშიც ცხოვრობს,
წამოდგება საწოლიდან მერე ქალი,
უფრო სწორად წარსულის ექო,
და, როდესაც მარტო შეიგულვებს თავს,
როგორც ლანდი, ეპარება კარებიდან
გუგულიან კედლის საათს
(„რა ზლაზნით მიდის დრო ტიალი!“),
დედას, მეუღლეს, შვილებს, სტუმრებსაც
(„შინ ვერ დაგხვდებით, მეჩქარება, გთხოვთ, მაპატიოთ!“),
საწერ მაგიდას („ვის რაღად უნდა ნაჯღაბნი ჩემი?!“)
და ქოთნებით სავსე შუშაბანდს
(„რა დააშავეთ, ნეტა, რას გერჩით?“),
გასაღებს მხოლოდ ერთხელ ატრიალებს
(მოვალეობის მოხდის მიზნით)
და ფიკუსის ძირში დადებს
(თუ არ შეეშალა ან სულაც საკეტში არ ჩატოვა),
ეზოს თვალსაც კი არ მოავლებს
(„რომ მოვბრუნდები, მერე!“),
ჭიშკარსაც ჰაიკარად გამოიხურავს
და ზღვისპირისკენ,
ზღვისპირისკენ!
ზამთარ-ზაფხულ,
უთენიაც და კარგად შესაღამოვებულზეც,
როცა სავსეა აქაურობა ხალხით
და როცა მოსეირნებსაც კი ვერსად დაინახავ!



სხვები, ვისაც ყოველ შაბათს ვხედავ ტაძარში,
ჩვენი პატარა ქალაქის სასაფლაოსკენ მიდიან
ან შორიახლო სოფლებისკენ.

ეს კი...
მისთვის ღვიძლი შვილის საფლავად
ბედს ოდენ ზღვა გაუმეტებია – ცივი და მწარე,
მედუზებიან-თევზებიანი, მარილიანი,
მზისსხვებმთვარისშუქიანი,
ლურჯ-მწვანე და წითელყვითელფერებიანი
ზღვის წყლის სასაფლაო,
უზარმაზარი, უმიწისბორცვებო, უბილიკო,
უხეივნო, უმარმარილო...

გაწვება ხოლმე და ეფერება ზღვის სველ ზედაპირს,

მოლივლივეს, ატალლებულს, ქაფიანსაც...

ზღვას, რომელიც ვერ შეიძულა ვეღარაფრით.

იქნებ, პირიქით.

არ ეშინია მისი, არც ზგირთების.

ხანდახან უკვირს, ისე უყვარს მისი შხეფიც კი.

ფიქრებში წასულს ხომ ზოგჯერ ჰერნია,

ოდესმე ტალლები შვილის დანაბარებს გაუმხელს ფარულად,

ყველასგან საიდუმლოდ

(და თავს, რომელსაც არაფრით ზოგავს,

ინუგეშებს ამ უცნაურ აზრით);

ან იქნებ ერთხელაც

მეთევზის ნავებს და ამ გემებს შორიდან,

მონაბერ ქარებს და მოფრენილ თოლიებს

თან მოჰყვეს შვილი და იმისი სურნელი, ოღონდაც ცოცხალი,

დე, უძღებ შვილად, ან იქნებ – მისიონრად,

იქნებ – პილიგრიმად, უცხოელ მგზავრადაც,

ნილს ჰოლგერსონად ანდა მწირადაც

(თუმც იცის, იგი აღარ მოვა,

თავად უნდა წავიდეს მასთან)...

მობანავებს ის შესცექის, როგორც სტუმრებს.

ყვავილებიც მოაქვს ხანდახან,

შუაწვივამდე შევა წყალში და სათითაოდ ატანს ტალლას,

დაწნულ პაწია გვირგვინებსაც, ჯვარსაც

კვირტ-ყლორტიანს...

სანთელს ვერ ანთებს, უჭირს ზღვაზე; სცადა –

სათამაშო გემებს მიანდო...

ერთხელ კი მომცრო კატარლა რომ დაიქირავა

და ანთებულსანთლებიანი ლამპიონებით

ერთი ხანი ატარა ზღვაში,

თავად ძაძებშემოსილი იდგა – ზედავდა,

თითქოსდა მრავალ ასეთ კატარლას ლამის

ციცინათელებად აენთოთ უკუნი ლამის...

მერე რიურაჟზე

ეს ლუსკუმი

გარდიცვლებოდა უძინართა ტკივილ-სიზმარში,

იღვენთებოდნენ სანთელი როცა.

იქ –

გაიხარეს ზღვის შესახვედრად

უკანასკნელ და უსასრულო პაემაზე წასულთ სულებმა;

აქ –

გამხდარიყო მთლად უსაშველო, აუტანელი, გაუსაძლისი

მონატრებაც და მოლოდინიც.

...ზღვა კი იყო უშფოთველ.

ქალაქი ტრამვაის გარეშე

დედა სერაფიმას,
მონატრებით

ლიანდაგებისგან განძარცულ, გამეტებულ ჩემს ქალაქში
ტრამვაის მომენატრა სიწითლე,
იმისი ზარების გაწკრიალება და, იცინებ, —
ლარიბულ სალონების რუხი ფერის სახალხო სიცივე.
„აიღე, დაგჭირდება ტრამვაით სამგზავროდ“, —
მიყრიან ჯიბეში ხურდებს და მონეტებს.
მაინც ვერ ვეწევი —
გაქრა, ჩავუქროლე ოცნებებს...
ჰო-და, რა თავში ვიხლი დიდედის ლორნეტებს:
ახალ თეატრებში პარტერიც, ქანდარაც სონეტებს
ბევრითად ამჯობინებს „მაკბეტს“ და მონტეგებს
გაგებით უთანაგრძობს „ბავშვების მიერ ჩადენილი
სისულელის“ გამო,
თან თრთოლვით ელოდება
ბოთლების თავსახურავებში ჩამალულ მოგებებს
(ორკესტრის სიღრმეში თავგანწირვით ჩაბერეს კორნეტებს)!

ფხიზლად დარეკავს საათი შუალამეს
(შუა აგვისტოს ხვატი არ ნავლდება),
ძიღვი არ მეძალება და სიზმრებიც, რა თქმა უნდა,
რამდენი ზაფხულია, არ ახლდება.

გადასერილი მაჯების დასამალად ჩავკიდეთ ხელი ხელს,
თვალები ავიხვიეთ:
ნურვინ დაინახავს ქალაქის ქვის უბეში ცრემლს,
ბილიკებს, ცად ამავალთ, ავუვლით გვერდს,
მალულად თვალს დავადგამთ სკოლის წინ აწოწილ ხეს...

და აი, ჩემს ქალაქთან ერთად ვუზივარ მორყეულ მერხს:
მე შექსპირის ენის გაკვეთილი მიტარდება
(რა თქმა უნდა, ვერ ვირთხამ ფერხთ),
მას — მეცადინეობა პრაქტიკულ უნარებში
(პრაგმატულ ჩვევებში),
უხსნიან, თუ როგორ ისწავლოს ცხოვრება ტრამვაის გარეშე,
დაძლიოს ხსოვნა, რომ ართმევდნენ, აგლეჯდნენ...

როგორ ვუკარნახო...
მეშინია, გული არ გაუსკდეს...
გაკვეთილია და თავს გვერდზე ვერ ვაბრუნებ.
ჩუმად აღმომხდება:
„უშველე! არ დაჰყვეს!
არ დანებდეს,
გავედრებ!
თორემ ამაოა...
ო, რა საბრალოა ქალაქი
ფიქრებშიც აკრძალულ,
ხსოვნაში ამოშანთულ
და არსაითმქროლავი ტრამვაის გარეშე!“

ჩარგალში

შემომეფეთა მზიანი სახით ჩაფიქრებულს —
ის — ზეციური მე — მიწიერსა!
რანაირად, მეწყრის მოგარდნასავით უცრივ, ამომხედა
დევმა ნაცარქექიასა!
თითქოს ზეციდან ჩამომაცქერდა —
კლდე თავის მკერდს აგლეჯილ ლოდსა!
იმის სახლის წინ ვიდექ —
ბეჩავი მეფეთმეფის კარზე!
რით დამეჯვრებინა, იმავე ჰაერით რომ ვსუნთქავდი —
სწეული უკვდავების წყალზე.
ვერც მერე და ვერც მანამდის!
ცხადშიაც და სიზმარშიაც...
იმისმა მზერამ ელვასავით ჩამოანათა.
ამომხედა კიდეც და ჩამომაცქერდა — ცა
ერთუამიერად!
იმისი ძალა, როგორც რომ სიო,
მიელამუნა შიგ გულის ხარიხებს —
დაფლეთილთ, დაგლეჯილთ, დაჟანგულთ,
დამწვართ,
დაშანთულთ, დაკორტნილთ, დაღადრულთ,
დამწყდართ...
მიელამუნა და აახმოვან-აამღერა
სულის ამომატრიალებელი ნოტებით:

— ვარამო წყლისა და ხმელისაო,
დარდოვო დეკასო და ბუერასო,
ბალლამო სამშობლო ქვებნისაო,
მწუხარებავო მთელი მზიანეთის,
სიავევ, ჩამალულო, მთვარიან დამეთაო,
სევდავო სულდგმულთა და ქა-კლდეთაო,
ნაღველო შვლის ნუკრის თოლებისო,
გაუხარებლობავ ქვრივ-ოხერთაო,
გლოგა-ზაროვო არაგვის ქუხილისო,
წუხილ-ტირილო მელექსეთა სტვირებისო,
დასევდიანებავ მოხუც ციხელასო,
ტანჯვა-სნეულებავ ლუხუმისო,
გოლგოთავ, ეპლიანზე სავალო,
კაიყმობის და სტუმარ-მასპინძლობისაო —
სუყველამ ერთ კაცისოვის მაიცალეთ,
იმანაც გამაგახრევინათ თოლ-გული და,
ტანსაც ბარე ათასჯერ მოგიგდებდათ დასაჯიჯვნად,
მარჯუნეს, თით-მტევანს არ ჰკანკალებდეს
სისხლის მელანში ბატის ფრთის ჩასაწებად...

ჰოი, გამავახრევინათ თოლ-გული და
დაგეფერფლინათ უალცეცხლოდ...
ვაჟაი ჩვენ შავიწირეთ, ჩვენ მავიდნეთ
უხმალტყვიოდ!

ამაშუკეთი

(ის ისევ მოდის)

ამაშუკეთი.
ეზო-ეზო, ფერდობ-ფერდობ
შემოპარული სიძწვნე მოლის.
სული ყოველი სიხარულობს:
— ის ისევ მოდის!
გადაპენტილი ყვავილებით ტყემლის ხეები
აქეთაც, იქაც.
ქარი. ღრუბლები. ხოშკაკალი.
თოვა და მარტი.
ერთად მეყრება,
თავზე მეპნევა
შენკენ მზირალს
ხიდან — ტყემლის ყვავილი ციდა,
ციდან — თეთრი გზავნილი ფიფქად.
თავგზა მებნევა
ყვავილებს და ფანტელებს შორის.
ქარს მიაქს-მოაქს
ტყემლის ყვავილთა ფიფქების თოვა,
ქარი დაფრინავს
ცის ფანტელების ყვავილთა როკვად.
თავგზა მებნევა.
სალოსობს მარტი:
ტყემლის ყვავილი თეთრ ფიფქებში გადაურია.
სული მევსება.
კონკიასავით
კანკალ-ძაგძაგით
გამოვარჩიე
სტრიქონები
ფანტელთა და ყვავილთა შორის.



ჯანსულ ჩარკვიანისა
და
ნოდარ ლუმბაძის
ისტორიული ფოტო

გადაიღო ჯანსულ ჩარკვიანის მეგობარმა,
პროფესიონალი მძღოლმა გუგულა გიორგაძემ.
სურათი საგურამოშია გადაღებული. ორივეს
ამ პერიოდში ინფარქტი ახალი გადატანილი
ჰქონდა.

პლუზია

ხათუნა შავბეგიძე



მასში პოეტი მუდამ ცოცხლობდა, მაგრამ თუთო ფურცელს საკმარის გვიან, 2008 წელს, ანდო გულისტება. აგვისტოს ომბა საქართველოში იმგვარად შეძრა მისი არსება, რომ ლექსის ცრემლივით კულარ იკავებდა და ამითდა ჰპროვებდა შეებას.

ხათუნა შავბეგიძის პოეზია იმგვარია, რომელსაც მსჯელობა და ბევრი ლაპარაკი არ შევნის. ის უნდა შეიგრძნო, როგორც კელების სიო, ანდა ახლად გათიბული ბალაზის სურნელი. მასთან ჩვეულებრივი სიტყვები იღებალი ელფერით იმოსებიან და ძვირფასი ქვებივით იწყებენ ლიცეუმიცს.

ხათუნა შავბეგიძე არის სულით ხროუმაძე ქართული მოვლენა გენიალური პოეტების ქვეწიდან, საღაც ლექსით ცერარებების მაჟრობა უსტელობრივი მხელია. ვაჟა-ფშაველას კერძება უფლისახმი: „ნუ დამასვენებ ნურასიროს, მამოუკე შეძრწუნებული“, მისთვისაც ამქაფნად კვლაშე სანუკელ არსებობას ნიშნავს.

თუკი ხათუნას პოეტურ სახეებსა და მეტაფორებს ხშირად სუვრის არშია კელება, ესეც სავსებით გასაგება, ეს ლექსის ხომ სამშობლობრივ შორს, დიდ ძრიტანეთში იბადება?! ორმავი დაუსწრებდლობის ტეივილი სერავს მის გულსა და პოეზიას.

ხათუნა შავბეგიძე ორი პოეტური კრებულის ავტორია. გამოსაცემად მზად აქვს მესამე წიგნი. გთავაზობთ რამდენიმე ლექსის მისი მომავალი წიგნიდან.

გიორგი ლალიაშვილი

მრწამსი

მრწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლისა, მრწამს, ჩვენი ცისა და ჩვენი მიწის, ღვთისმშობლის ცრემლის, სულიწმიდისა, მკვდრეთით აღმსდგარი მაცხოვრის სიტყვის. მრწამს სამშობლოსთვის ნატანჯთა გმირთა და სიწმინდისთვის დაღვრილი სისხლის, ალალ გულებით გადებულ ზიდთა, ერთგულებისთვის მიცემულ ფიცის. მრწამს სიყვარულის, მრწამს სიკეთისა, მრწამს ჩვენი ქვეყნის გენის და ჯიშის! გვიან დამცხვარი მობლის კვერცხისა და მარლვის გადლონდან ფეხის და მირის. იესო ტკბილო, შენ გესავთ მხოლოდ, არ ვართ სრულებრივი თავით... ღმერთო, ჩვენს მამულს

მოხედე ოღონდ, სახელით მამის, მის, სულიწმიდის!

ფერეიდნელ გოგონებს

თქვენს სულებში რომ სამშობლო სახლობს, თვალებში ჩნდება ის ათინათი, ფერეიდნელო, ქართველო ქალო, ო, რარიგ ჰერხარ შოთას თინათინს. ას ქალში ვიცნობ თქვენს

ღვთიურ სახეს, დიდი ოპიზრის ფრესკაზე ნანახს, თქვენმა სიტურფემ, ქართლის სიკარგემ არ დაგვილია მოშურნე, არა. გიცქერთ და მტკიცა ეგ სილამაზე, საუკუნეთა, პირს წენის იარა... სანთლად ანთებულ თვალთა სინაზემ ოთხასი წელი გამოიარა! მარტყოფის ველზე უნდა ჰყვაოდეთ იავ და ვარდო, შვენოდეთ მამულს, საქმროდ- გედისა, ცოტნეს ჰყვარობდეთ, გვიჩენდეთ თქვენებრ

მზისთვალა ასულთ... მინდა, რომ ვუხმო ზღაპრულ მზეჭაბუს მყისვე აფრინოს ისპაპანს რაში, გამოიტაცოს მზეთუნახავი და დაგვიბრუნოს პირიმზე სახლში!

სიმწრით ნათქვამი

უთვალავ დროთა სრბოლაში
დარჩა ამბავი პატარა –
ერთმა ინგილო ქალამ რომ
მეფეს ქლიავი აყარა.
მაშინ, ვაჟკაცი მეფეი
თავის მიწა-წყალს შეელოდა
და ის პატარა ქალაიც
განა, მტრის შიშით მელობდა?
თავზედ ასეტყვა ქლიავი:
„ჩემს მხარეს რაზედ ედები?!“
მისი ბედი, რომ ხელთ შერჩა
პირმომღიმარი მეფე...
წავიდა ის დრო, წავიდა,
ჭირი იქ... აქ კი ვითომ-რა?
ის საინგილო მზიანი
იყო და არა იყო – რა...
კარგი არ მოდის ამბები,
ეს გულიც მიცემს ავადა,
ვაპტე, რა ბედი მოელის
ჩვენს ობოლ მხარეს ჯავახთა?..
ნუთუ, გავწირავთ უსიტყვოდ,
ნუთუ, ვერაფერს ვეცდებით?
იმ წმინდა ნინოს ნაფეხურს
უგულოდ ვთმობთ და ველევით?..
რას სჩადით, ჩვენო ქართველნო?
რად გინდათ მილიონები?
უსამშობლოს და უძარღვოს
ფრთიანი ჰქვიათ თაგვები.
გარინდებულა სავანე
წმინდანთა, დავითიანი...
ვაპტე! დიდი წნით შეგვრჩება
დავით გარეჯი ლვთიანი?!
ყაზბეგის ხილვა ნატერად მაქვს,
ნუთუ, დამრჩება ნატრული?
ის მხარე ჩვენი კლდიანი
მოჩხუბარიძის კალმული.
ყაზბეგს გადმომდგარ ხევისბრის
ხანჯალს გაუდის კრიალი:
„ამ მხარეს შვილი შევსწირე,
თქვენ მტერ ამრავლეთ ჭიალი?!
რას სჩადით გორიშვილებო?
მტრად რად ეკიდეთ ქვეყანას?
ნებით რად უთმობთ პატარძალს
იმ მოძალადე ვერანას?!

რად გაგიწირავთ ლამაზი,
მანდილს რადა ჰხდით თავზედა...“

„სამშობლო, დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა!,“
რას სჩადით, გორიშვილებო,
ცოდვას რად იდებთ თავზედა:
„სამშობლო, როგორც უფალი
ერთია ქვეყანაზედა!,“
წყალნი წავლენ და წამოვლენ,
წაჰყვება ოქროც, ვერცხლიცა...
უსამშობლოს და უძარღვოს
კაციც გასწირავს, ღმერთიცა!

გიორგი ანწუხელიძის ხსოვნას

ვაჟკაცო, ცოტნეს გადარე რაინდს –
ხელებშეკრული, განაწამები...
დაღლილ სახეზე გეწერა: „რაგინდ
დიდხანს მაწამოთ, არ გავ-წამ-დები!
წამ-ად კი არა, ეპოქად ვიქეც!
თუნდ, უმოწყალოდ მგვემეთ და მცემეთ...
„დაიჩოქეო“, სული მაქვს ვიღრე
არ დაგიჩოქებთ კაენის ძეებს!
„დაიჩოქეო!“ ბინძური ჩექმით
ძალაგამოცლილს მიბიძგებთ პირქვე...
მე მხოლოდ უფალს დავეჩოქები
და თქვენ – არასდროს, სული მაქვს
ვიღრე!

ძალა მეცლება... დედავ-დაგულო,
დალოცე შენი ნატანჯი შვილი...
ალალი იყოს, ჩემო მამულო,
შენთვის სხეულიც, სულიც და სისხლიც!

ჩვენი სამშობლო რომ ედემია

ჩვენი სამშობლო რომ ედემია,
მის მნახველს აბა, ვის გაუკვირდეს?
და განა უფალს უნებებია,
რომ ამ ედემში სულ ცრემლი წვიმდეს?
საქართველო ხომ უფლის სახლია,
აქ, ძელიცხოვლის სუფევს ტაძარი,
მიწაზე მდგომი უფლის მადლია
მარად საბრძოლო ამადაც არი!
ვაგლახ, თბილისი ორმოცჯერ დასწვეს,
რადგან სხვა ღმერთი მან არ იწამა,
იერუსალიმს ქრისტე აწამეს –
საქართველო კი მისთვის ეწამა.
აქ, ყველა ტაძარს და ციხე-გოდოლს,
მეფის სასახლეს და გლეხის ოდას
მებრძოლ ქართველთა ყიუინა ახსოვს –

ჯვარი უძღვდა წინ ყველა ბრძოლას! დღემდე მოვიდა... ბევრჯერ ნატანჯი, მიწას განრთხმული, კალოდ ნალეწი, ბევრჯერაც მომხდურს თავს დაალეწა დავითფერული, მარჯვედ ნალესი! როცა, სიმშვიდე ფრთას აფარებდა, წამით მახვილი სთვლემდა ქარქაშმი, ოქროცურვილი ნუსხურით სწერდა ღვთის სიტყვას ბერი წმინდა საყდარში. ისპაპანს იყო თუ ბიზანტიას, ეგვიპტესა თუ ანატოლიას, იქ აღავლენდა ქართველი ქალი საქართველოსთვის ლოცვას მაღლიანს. დღემდე მოვიდა... განა, ვის უკვირს? ვინ არ იბრძოდა, ვინ არ იღწვოდა? არხილოს კალოს იავარადქმნილ ჩვილ ბავშვთა სისხლი ტომებს იტყოდა... ქართველი კაცი ვაზს ახარებდა სიკვდილის მერცე, ღილკილოს ჩაწნილს, დემეტრე მეფე ანდერძად ჰქმნიდა „შენ ხარ ვენახი“ – გალობას ხმატკბილს. ერი და ბერი, მეფე, ყმა მისი, ვაჟკაცის ხმალი თუ ლოცვა ქალის, დარაჯად იდგა ღვთისმშობლის მიწის, დარაჯად იდგა იესოს კვართის! აპა, მოვედით ბრძოლით და ლოცვით, შენებით, შრომით იმერ-ამიერ, ღმერთო, დრო არის, რომ ჩვენს ედემში წყალობა წვიმდეს, მრავალუამიერ!

პაემანი თბილისთან

დღეს საგანგებოდ გავლამაზდები, რაც ხიბლი შემრჩა, დღეისთვის ვიზმობ, თხუთმეტი წლისა შენთვის გავხდები – პაემანი მაქვს შენთან, თბილისო! მეტების ხიდზე როცა გადავალ, ამომადევნებს თბილ სუნთქვას მტკვარი, მეტყვის მეტეხი, რომ ახსოეს კარგად მტკვარს და ქალს შორის ის საუბარი... ავივლი ბარს და გული დამდნარი გადაგევლება თავზე ცრემლებად და დავიღვრები შენით დამთვრალი შენთვის ლოცვად და შენთვის გედრებად. ჩემო თბილის! დედავ და დაო, შენ, მეგობარო, უხსოვარ დროის,

ვინც გეტყვის ჩემზე – მიგატოვაო ვიცი, რომ ჰყითხავ: „და განა, როდის?“ არც არასოდეს, ჩემო ზღაპარო, უსენოდ დღეც კი არ მიცხოვრია... შენ, სიყვარულო გულში ჩამთბარო, ჩემზე მდიდარი არვინ მგონია! ღმერთო, სიმდიდრე მე სხვა არ მინდა და სხვა ქონება აროდეს მსურდეს, ოღონდ, უცვლელად იდგეს მთაწმინდა და ჩემს ქალაქში სიცოცხლე დუღდეს! აბანოთუბანს და ნარიყალას თვალებით შევსვამ, შემდეგ ვისურვებ მუხლზე ვემთხვიო იმ ჩემს ნიკალას მკერდზე უცოდველ კრავს რომ იხუჭებს. ჩავუვლი ძველი აშულის ძეგლსაც, ვარ იეთიმ-გურჯის ამქარი ერთი, თბილის უმღერდა ცრემლიან ლექსს და ყველა სტროფისთვის მაღლობას ვეტყვი. ჭაბუკი ტატო, ჩაფიქრებული, სევდიან მზერას მომაპყრობს ისევ, ტოლ-მეგობრისგან დავიწყებული იმ ძველ სიყვარულს იხსენებს, ისევ... რა მღელვარეა გალაკტიონი! ფაფარს ზვირთებად უწეწავს ქარი, მუზის და ლექსის ბაგრატიონი – ერთგულ ვეზირად დაჰყვება ქნარი. სადაც ეს გულისთვალი მისწვდება, სად, აყოლილი სურვილს ვივლიდე, გოგი ცაბაძის ლექსიც იქ მხვდება – „თბილის-ქალაქოს“ ყველგან ვღილინებ... მივეახლები, როგორც მორჩილი ქაშუეთს, ანჩისხატს, სიონს, სამებას, ყველა სალოცავს აქვე მოვივლი, ყველა წმინდანის ღვთიურ ხატებას. და მაინც შენ ხარ, ჩემო თბილისო, ყველა ქართველის სახატე წმინდა! რამდენჯერ ვცადე, სულზე უტკბესო, მაინც ვერ გითხარ, რისი თქმაც მინდა... ვიცი, დიდ გრძნობას სიჩუმე მართებს, გულებს მივანდოთ სათქმელი, ოღონდ, თუ სიტყვა მაინც მოსწყდება ბაგეს ჩურჩულით ვუთხრათ ერთმანეთს, მხოლოდ... დღეს კი, მე შენთვის გავლამაზდები, რაც ხიბლი შემრჩა, დღეისთვის ვიზმობ... შენ, გულისერთავ, აქ მეგულები – პაემანი მაქვს შენთან, თბილისო!

ԸՐՈՎԱ ՀՈՒԹՅԱՌՈՅ- ՆԱԽԾՈՒԵՍՈՅՅՈՅՈ



Իշմել նելու և դա տեմպուր

Կոհիա քօնա, քօնա* —
կռմշյա մշցուցետ մոնա,
օյ դաշուղեծ տուզան,
դաշամունք մշցուցագ;
ցատենեծան քօնա —
կոմ մոմուցեծ, ցուրալու՞!..
րոմ դաշեցած մոնարս,
մոցցոյշըրո հոնարս...
իշմու ցոյշրո, քօնա,
ցաշոմթոլո մոնդա,
մոնդա ցոտերա մշցումարս,
րոցոր ցոտեց դոլան,
րոցոր աշեծս բու
սոլուրջյես —
ատոնատո մթուս!..
րոցոր ցելո մուտմշնցլ
մոլոնդոնոտ, քօնա!
զուրո, իշմու ուրնցեծո
վյալս ցակցցյա մոնարս,
մշեն ցրտո ցալումեծա
մոլուրս շրուցեց ցոյշրագ...
ցեր դաշամունք ցեցին —
յարումեծալու,
յրուցատ մոյրոնաց, տամամես;
մշեն ցեշեծտան հազորույն, —
մոցութացեծ ամաց!..
ձորդա — քօնա, քօնա,
մշեմոմթեց, զոն զար,
դամակարգութ և մոնցուցեծ
րա դարձու մնչցաց, մպարալու!..
համումշու ցա դալալոնո —
ամոցցյա ցմորագ...
մոցցեցեցո, մկյարձս մոցուրաց,
իշմու տաշու հոնաց...
մյուր արևած ցամեյշեցու —
կոհիա քօնա, քօնա!..

* Կոհիա քօնա, քօնա — նշանշրագ —
յարշու ցոշո.

* * *

Մշենք ցոյշր
մետուղած հեմուզու; —
մշենտան ցաշանդրոն —
հցենտուզու...
— հուգու արացու
յրհիս,
նու և կուկուկուց
հցենտոցու!..
Նայեցուլու
ցելու մներա
ցամուրցեծա, ալար
ցպերհիս...

* * *

... ցարդասուլ գլուց
զութուց հեմտան —
րոցորու սահնյարս,
լմերտու վյալոնծաս!..

* * *

Վյուելու յարո
արծեցա եցեծս,
լատարյամոծա —
րաս դաշուղեզա?!.
Մշցույլու յրուժանումեծո
ցանչրու մոնուցան
մշեսպերունցեն լամես...
— լրուցու ցորամի
ցորացա մուզարու,
յամիամիա,
մմշենու և նեծուրու!..
ծացմշու սոնմարմի
մթրեցեծս յմեծուցա,
սագլաւց մշցույլուտ,
մուսացարյած...
յարմի յարուցու
զութուց յալուց,
շմուսամարտու —
մուսամարտուցուտ...
ցաբրյուցու ցուուլուց
մուկյոնդատ յշիս,
անց տաշու և
մակլոնցելու...
և, տարյամոծա
յարու ցոյնշյեցուտ,
նախազա մորոց
յարուսեծր ցուլուց!..

Կամաց պատմություն



Կամաց պատմություն

Իսրայել Ռուբենի հայուղաբանը, ուսուցչության և գործադրության մասին համար առաջարկությունները պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկություններ են:

Եզրակացնելու առաջարկությունը:

Ռուբենի հայուղաբանը պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկություններ են:

Իսրայել Ռուբենի հայուղաբանը, „Եղանակային աշխատանքների համար առաջարկությունները պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկություններ են:

– Հայուղաբանը, միշտ պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկություններ են:

– Ի՞նչ է այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները?

– Այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկություններ են:

– Այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկություններ են:

– Ի՞նչ է այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները?

– Այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկություններ են:

– Ի՞նչ է այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները?

– Այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկություններ են:

– Ի՞նչ է այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները?

– Այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկություններ են:

– Ի՞նչ է այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները?

– Այս պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկությունները պատճենավոր աշխատանքների համար առաջարկություններ են:

მამა ზაზამ წმინდა ნინოს პარაკლისი გადაიხადა და ახლა, ვერცხლის ჯვრით ხელში, ამბიონიდან ქადაგებდა.

— მოგეხსენებათ, საქართველო ღვთისმშობლის წილხევდრი ქვეყანაა!

მამაომ იყენა და ერთხანს, მდუმარედ გვათვალიერა.

— ახლა რასაც გეტყვით, ეს ჩვენი, ქართველების საიდუმლოა. საიდუმლო, მოგეხსენებათ, რწმენით საცნობელი და სასოქტით მისაღებია. და, არა თავშესაქცევად, ანდა თავმოსაწონად სალაპარაკო რამ.

კვლავ გაჩუმდა მამაო და ორივე ზელით ჩაბრუჯულ ჯვარს დახედა.

— დედა ღვთისამ კარგად იცოდა ჩვენი, ქართველების ამბიციურობისა და ამპარტავნი ხასიათის ამბავი. ქვეყანას გადავჭირდით, ღვთისმშობელმა იქადაგა ჩვენთანო!. ამიტომ თავმოწონების ცოდვისაგან ჩვენს დასახსნელად, დედა მარიამი წმინდა ნინოს სახით მოგვევლინა ქართველებს!

მამაომ, ანალოდიაზე დაბრძანებულ წმინდა ნინოს ხატს გაპულება. ხატი ჩვენი სულიერი მმის, ვაჟას დაწერილი იყო. ქართული ხილაბანდით თავწაკრული წმინდნის უკან, მთის წვერზე ეკლესია ჩანდა. მთის კალთები თივის ზვინქით იყო მოჩითული.

— მსწრაფლშემწედ მოგვევლინოთ ღვთისმშობელი ნინო და რწმენაში გაგძლიეროთ!

დაგვლოცა მამაო.

* * *

— უკაცრავად, მამა ზაზა აქ არის? — სამრეკლოს სვეტებთან იკითხა ვიღაცამ.

— კი, ერს მიმართავს! — ჩვეული იუმორით უპასუხა მამა როსტომმა.

ერი, ეს ჩვენ ვიყავით — ერმალოზი, ვაჭალგი, გივი, მირიანი, კარლო და სხვები. ხო, მეც.

ნასაყდრალი

ამწვანებულ თხმელებში ჩაკარგულიყო მთის პატარა მდინარე. მისი ბუყბუქ-ჩხრიალი, შაშვების შტვენა, შარაგზაზე მომავალ მგზავრებს ახალისებდათ. გრანიტის მურა ფერის კლდეებზე ამოსული ფიჭვები გზას ჩრდილავდნენ. ამის გამო, ალაგ-ალაგ ტალახში უწევდათ ტობიალი სამეულს.

— ეს არი ჯო, ახლოშიაორ! აღარ მიველით?

— ცოტაც და ვსიორ. ისეთ წყაროს წყალს დაგალევინეფ...

— წყალი რათ მინდა. პური მშიან, ოოო! — შე ოხერო, შენ არ იყავ მატარებელში ნახევარი ქათამი რო დააყუდეე? — მოწუწუნეს შეუღრინა თემომ.

— განა მართლა მშიან. ნაქები იმერული სუფრი ნახვა მსურს! — წინწასულს დააღევნა გიამ.

ყველაფერი თელავში დაიწყო.

ერთი კვირის წინ:

— გულზე ხელი დაბრაგუნება კარქა გამოგდის! თუშეთი რა ლამაზია, არაა? ბიო, სუ რო გვპირდები, იმერეთი როდის უნ გვიჩვენო? — თემომ, ბატყანიჩმა.

— მე ნამყოფი ვაარ, იმერეთში! — მოფხიზლდა თვალებმიღულული გია — ზესტაფონში გაღლით, ჭუთაში ქორწილში...

— შენ გაჩუმდი! — შეუტია ბატყანიჩმა — შენა ზვარე, ნუნისი გაგიგიან? იცი რა ბუნებაა! ჰა? როდის წავიდეთ, ჰა?

წინწასული თემზე კლდოვან მოსახვევს გასცდა. გაოცებისაგან „ეეეე!“-ო, ლურჯი ცელლფანის პარკი შარაზე დადო, ხელი წინ გაიშვირა და თანამგზავრებს გამოხედა:

— ჯვარი, ეეეე!

* * *

ჩერიმელას სათავეში, ლიხის ქედს შეყუჟული პატარა სოფლის გასაოცრად, მე და ჩემი პატარა ძმა, დედის მშობლებს პაპას და ბაბოს ვეძახდით. ალბათ, შალაურიდან გამოგვყვა ბავშვებს.

პაპას იპოლიტე ერქვა.

სამეზობლო — სანათესაოში ყველას ქართული სახელები ჰქონდათ — იყო ორი ბორია, სამი ვალოდია, ორი მიშა....

მარტო იპოლიტე იყო ერთი.

არ მახსოვს, ვისგან მოვისმინე — რამდენიმე ჩვილი არ შერჩათ, თურმე. ურჩიეს, არაქართული სახელი დაერქმიათ ახალდაბადებულისთვის და უფლისთვის მიებარებიათ. ასე, რომ პაპა და პაპიდა გალინე, ათ წლამდე, თეთრი სტიქარით შემოსილნი, წერეთლის ეზოსთან, ზვარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში იზრდებოდნენ.

ზაფხულია.

ვიქენებოდი მე-5 კლასში, მერაბი პირველში. პაპას ზვარეში მივყავდით. წისქილეფთან ჭიდან წყალი დავლიერ. ცივი, უგემრიელესი. მაგრამ, ჩვენი ეზოს წყარო მენატრებოდა. მაინც ჩავხედე ცის მრგვალ ნაგლეჯს და ჩუმათ, კენჭი ჩავაგდე. ცენტრიდან ზოლები გაიქცნენ მუქი კედლებისკენ.

წინწასულებს გამოვეკიდე.

ბარგი პაპას მიჰქონდა. პაპა ძვალმსხვილი,

ჩადგმული ბერიკაცი იყო. ბერიკაცად მაშინ მეზვენებოდა, თორემ ახლა რომ ვარ, იმ ასაკის თუ იქნებოდა.

— დევისვენოთ პატარა! — მუქი მწვანე „ზმეიკიანი“ ჩანთა ქვის შენობის წინ, გზისპირას დადგა. მოსახვევს აქთ, კლდე დაბლდებოდა და მაყვლის ბურდებიანი ფერობით გრძელდებოდა. ზევით, ფიჭვებს იქით ძაღლის ყეფა და გადაძახილები ისმოდა. იქ, ფანქველაშვილები ცხოვრობდნენ, ვიცოდი პაპა ერთსართულიან, მაღალფანჯრებიან, ქვის შენობას უფრუბდა. ამ იდუმალებით მოცულ, მოგუგუნე, „შაშიშ“ შენობაში დენი „კეთლებოდა“. „ანდრეევიჩი“ მოლითში ქვესადგურის უფროსი იყო. ამიტომ, არ გამგირებია ელ.სადგურით მისი დაინტერესება. კუნჭის ვეძებდი, გზის იქით, მოყიყინე ბაყაყების გასაჩერებლად.

— ეს ქვები ზედა ზვარიდან, ეკლესიი-დანაა ჩამოტანილი! — გზისპირა, კუთხის კედელთან მისული პაპა ხორბლისფერ, გათლილ ქვებს დაკოურილ, დიდ ხელს უსვავდა — ორსართულიანი, ქვის ეკლესია იდგა. წირვისას, თითონ წერტელი გალობდა ხოლმე. 27-ში დაშალეს და ამ, სამანქანო დარბაზის ასაშენებლათ ურმებით ჩამეიტანეს.

მოსახვევში წაბლისფერი ცხენი შემოვარდა.

— ოჰ, გამარჯობა ანდრეევიჩ! — მათრაზიანი ხელი ასწია მეტყველე.

— გაგიმარჯოს ერემო. — ჩამოგივიდენ ბლარები? — აპაა! — რამდენი წლის იქნები ახლა შენე? — ჰკითხა ერემიამ მერაბის . პასუხს არც დალოდებია, გასაქცევად თავადერებულ ცხენს აღვირი დაუმოკლა — ანდრეევიჩ! მამეცი სუნკაი, ევიტან ამ გვერდოეფში და წყაროსთან დავტოვ.

— აჲ, რავა გეკადრება ერემო ჩემო. აგერ, შვილიშვილები მამეზმარებიან. კე, დაკაცდნენ უკა!

* * *

ამწვანებულ ჭალაში მდინარისა და თხმელების სურნელი იდგა. თბილისიდან ჩამოსული, სადგურის მაზუთიანი შპალების სუნში, ყოველთვის არჩევდა თავისი

ბაგშვობის ჭალის ნედლ სურნელს. ხელმარჯვნივ, გზის გასწვრივ, ჯინჭრებსა და ანწლებში, ალაგ-ალაგ ხავსიანი ქვის წყობა ჩანდა. მხოლოდ გვერდებჩამოშლილი, ჯვრის ფორმაშერჩენილი კუთხის კედელი წამომართულიყო...

რა იმაგრებდა?

რას ეკავა...

— ჰჰჰ?

— რა იყო მეტქი, აქა? ნასაყდრალიაა? — თელავურად მოუქცია ბატკანიჩმა.

ბურთგაჩრილი ყელიდან „ხო“ ვერ ამოუშვა. მალათ გაიღიმა და

— კიო, თქვა.

ეს ისე...

ნინობაა.

ენაწყლიანი თამადა განსხვავებულებს გვაძალებს.

— ბაკურციხეში ვართ, რთველში — ენა ამოიდგა თავიჩაქინდრულმა, შემთვრალმა ვაჟამ — წარაფეფში გავკრიფეთ ზვარი. სალამოს კაი სუფრა გაიშალა. მეტლახით მოპირკეთებულ მარანში ჩარჩოებში ჩასული ძეელი, შევკითლებული ფოტოები ეკიდა. ერთან შევყოვნდი. ბლუჟად დაყრილ ქოჩორიან, მთელი სახით გაღიმებულ, უღლვშიან კაცს სურათის ნახევარზე მეტი ეკავა. სადღაც, ბეჭების გასწვრივ ბედნიერებისაგან შემკრთალი, ფართოდ თვალებგახელილი, ტუჩებმოკუმული, ჩიხტიკოპინი თეთრი ქლი იმზირებოდა. ეტყობა, დაბწეულობის დასაფარავად შავჩოხიანის მხარზე ხელი ჩამოვდო. ხელი არა, ნეკა და არათითი. ორივენი ახალგაზრდები იყენებოდნენ. მათ უკან, მონაცრისფრო სახლებიდან ეიფელის კოშკი აღმართულიყო.

— ესა, ხო — ხელადიანი მასპინძელი ამომდგომლა გვერდში — ბებო და პაპა პარიშში არიან, სვადებიში!

ვაჟამ ჩანგალი აიღო და ჭიქაში მოტივტივე მწვანილის ფოთლის ამოღებას შეეცადა.

— ბებოს ნინო ერქვა? — დაინტერესდა ვიღაც.

— არ მახსოვეს.

— აბა, რატო მოყევი?

— რა ვიცი, ისე.

მანამდე კი, არ დავიზარებ და ვეცდები შეძლებისდაგვარად განვმარტო, სხვათა შორის, ეს ზნეობრივი აღზრდისთვის მასწავლებლის ვალდებულებაა (გაიფიქრა, იქნებ წინადაღების ეს წყობა გაცილებით სჯობს, — აღზრდისთვის მასწავლებლის ზნეობრივი ვალდებულებაა)...

და ამონარიდი წაიკითხა:

„ჭადის სუნმა მამაც აიტაცა. კუციდან ჭადი აიღო, გატეხა, გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯათ“ ლუქმა პირში ჩაიდგა. მთელ სხეულს განუზომელი მადა აღეძრა...“

მეორე ლუქმა...

სწვავდა ენას და მაინც სჭამდა“.

გულისცემაც გაუქმირდა და როცა ნაწარმოებიდან ამოიკითხა: „რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!!“ თავშეუკავებლად იტირა.

— აუუუ, დაიწყო რააა! რა უსმენს ახლა ამის ჩხავილს, — თქვა ვიღაცამ!

— ნუთუ სხვა მასწავლებელი არ შეიძლება გამოგვიყონ? — გამოეპასუხა მეორე.

— შიმშილი, სიცივე, ტკივილი, მარტოობა. უფრო ყოფითი მოიფიქროს, ყელში ამოვიდა რააა.

— ფეხსაცმელზე თუ დააკვირდით?

— ნიშნისგებით აღნიშნა პირველ მერჩხე მჯდომა მოსწავლე.

— აუ, ეს რომ კოკო შანელს ენახა, ფაიზადი გაგიჟდებოდა, — პასუხი არ დაყოვნა უკნაშ!

— გაბრიელა ტანსაცმლის დიზაინერი იყო, ფეხსაცმლისა არა! — შეუსწორა მოდის მიმდევარმა თანაკლასელმა გოგონამ. თან თავისი განათლების დასადუსტურებლად დასძინა: — გაბრიელა იგივე კოკო შანელიაო.

— ამ ჩემს ფეხებსო, — და ამის თქმას მოჰყვა ხარხარი.

„მასწავლებლისგან დასმულ კითხვაზე, „რატომ ქვა ნაწარმოებს ტრაგედია უგ-მიროთო,“ პასუხი გაისმა:

— იმიტომო!

და ეს გნიასი მართამ შეადარა ნოველის პერსონაჟი ბავშვების ხმას, თავისთვის დაასკვნა:

— ესაა თაობათა განსხვავებული მსოფლმხედველობა. ამაზე მეტს ვერავინ შეაგნებინებს.

II

...სკოლის კარები ყველაზე გვიან სწორედ მან გამოიხურა.

ხელში ძველმანი ტყავის პორტფელი ეჭირა; ცდილობდა გაცრეცილი ხელთათ-მანის მორგებას...

— ხელფასიც იგვიანებს! რისთვის

დაგბრუნდე სახლში!

პირველი შემთხვევა იყო, როცა ეცადა ქმრის სახლიდან წასვლის მიზეზი აეხსნა. ეცადა და მოახერხა კიდეც დასაბუთება:

— თავმოყვარე იყო და ვერ გაუძლო სიღუხვირეს. მეც ხომ არ წავსულიყავი სახლვარგარეთ? ბოლოს და ბოლოს, დამ-ლაგბელი მაინც დასჭირდებათ, დროული ხელფასის გადახდის სანაცვლოდ.

ხურდა მოიძია, დაენანა ისიც, მაგრამ თუ ტრანსპორტით არა, ფეხით სახლამდე სულს ვერ მიიტანდა.

ავტობუსში ასვლისთანავე მისი ფურადღება რადიომიმღებმა მიიქცია.

კითხვა საოცრად პრიმიტიულად ეღურდა, თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა სირთულეს?

დარეკვი ნომერზე... გვითხარით სწორი პასუხი, რამდენ მარცვალს შეიცავს სიტყვა „სირცხვილი“ და მიიღეთ საჩუქრად სანტეს რძის პროდუქტი.

სირცხვილია, უმაღლესი განათლების ლიტერატურის პედაგოგმა დარეკვის და საკუთარი გვარ-სახელით მოახსენოს ბანალური კითხვის ავტორს სწორი პასუხი, მაგრამ...

დარეკვად მაინც ღირდა...

უფრო სწორია ითქვას, ყველაფერი ღირს, რაც ადამიანს სჭირდება.

ისიც კი გაიფიქრა, სკოლი ის ადმინისტრაციაც თუ უსმენს, ეგბ მომდევნო დღეს დაგმონ მისი ეს საქციელი და უთხრან: — არ შეგრცხვათ, პატივცემულო კოლეგავ, რძის პროდუქტის გამო რომ დარეკვეთ სტუდიაშიო? ვის რას აუხსნი, რა იყო დარეკვის მიზეზი. კაცობრიობის ნახევარს ადამიანური მაინც არაფერი შემორჩა.

სუნთქვა შეეკრა. მწერალთა სახლთან შეჩერდა. სახლში მისვლამდე იქ გადაწყვიტა შესვლა.

შავი როიალი ეგულებოდა;

განწყობის მიუხედავად, ინსტრუმენტზე მოცარტის „რექვემის“ დაკვრა იმ დროს ახსენებდა, როცა მუსიკალურ სკოლაში ეუფლებოდა კლასიკური ნაწარმოების მაღალოსტურ შესრულებას, თითების სიმეტრიულ განლაგებას და შინ მისულის — გაუსაძლის, რამდენიმესაათიან მეცადი-ნეობას.

ეგბ დავუკრა, რათა გავექცე რეალობას. მუსიკა ხომ ქრისტესავით ყოვლისშემძლეა, ღმერთმანი.

III

...მწერალთა სახლში წიგნების
აუქციონია.

გამოფენა-გაყიდვა ყველა ჟანრის
ლიტერატურის.

ისმის წამყვანის ხმა:

— ჩვენ დაგვრჩა ჯ. ქარჩხაძის „ანტონიო
და დავითი“. დამსწრებო, შეგახსენებთ, ის
ქართული პროზის „ხელმწიფული“, რო-
მელიც სიტყვას „სამეფოსავი“ განაგებს.
ვამაყობ, რამეთუ პერიოდულად, უამისამ
გამოჩნდებიან ხოლმე მწერლები, რომლებიც
ყოველგვარ ეპოქალურ დანაკლისს ხელის
ერთი მოსმით ავსებენ.

„ანტონიო და დავითი“ მხოლოდ
ეროვნული ნაწარმოები კი არა, გენიალური
რელიგიურ-ფილოსოფიური ნამუშევარია, აწ
უკვე შედევრად რომ ქცეულა...

მე რომ შეილების მამა ვიყო, აუცილე-
ბლად ქარჩხაძის ნაწერით აღვხრდიდი მათ!..

და თუ რომელიმე ოჯახის ბიბლიოთეკა-
ში ვიპოვიდი დამტკერილ წიგნს დიდე-
ბული მწერლისას — ყოველგვარი
ახსნა-განმარტების გარეშე გადმოვიდებდი,
მტკერს გავაცლიდი, გულში ჩავიკრავდი და
ვიტყოდი: — ღირებულებისა და ფასეულო-
ბის დრო, ალბათ, მალე მოვა, ავტორო და
ნუ შეშინდები. მაინც გიპოვნის გონიერი
მკითხველი და „უძეგლოდ არ დაკარგავს“
შენს ნამოღვაწარს...

და აი, წიგნი ელოდება გონიერ მკითხ-
ველს!

ნუთუ მსურველი არავინა?..

... (იქნებ აჯობებს მრავალწერტილის,
პაუზის და დუმილის შესახებ დაიწეროს,
ვიდრე უბრალოდ სასევნი ნიშანი დაისვას).

როგორ არა!!! მაგრამ ვინც იცის ნამდვი-
ლი ლიტერატურის ფასი, ის ჯიბეს იქექავს.
ხურდა ფულით კი არათუ წიგნის ყიდვას,
გადადგილებასაც ვერ შეძლებს კაცი.

მაინც გაუმართლა, რაკი მსურველი
არავინაა, წიგნი სიმბოლურ ფასად გაიყიდა
(ამის შემდეგ კაცი ვერ იტყვის, მთლად
უბედურიაო).

შერცხვა ამისიც და დღეს ხელმეორედ
იგრძნო, რომ მეტისმეტად ბევრჯერ შეა-
წუხა სირცხვილის გრძნობამ.

IV

ზამთარი განაგებდა თბილისში.

ბოძთან აფიშას მოქრა თვალი:

„ლმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამი-
ანები“

თავისუფალი თეატრი, — მარია ლადოს
„ერთი უბრალო ამბავის“ მიხედვით.

ადაპტაციის ავტორი: ავთანდილ (ავთო)
ვარსიმაშვილი.

„ლმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიან-
ები“, დასწრება არც სჭირდება სპექტაკლს,
ისედაც ყველაფერია ნათელი.

სახლში შესვლისთანავე იგრძნო,
მოხუცი მამისა და უასკო ვაჟიშვილის
მზერა ხელებისკენ იყო მიმართული.

ქალს „ანტონიო და დავითი“ ეჭირა.

— ორი დღე ეს გვასაზრდოებს, ამასო-
ბაში, დაპირებისამებრ, ხელფასიც იქნება, —
თქვა მორცხვად და დანანებით.

— სათამაშოც?

— საჭმელიც?

— ყველაფერი!..

აბაზანაში გავიდა და მოგუდულად
იტირა.

დაიმშვიდა თავი, „უშემოსავლოდ
მთელი წელი ცხოვრობს საზოგადოება!..
ხელფასით თავის გატანა იოლი საქმეა,
უნდა შეგძლოთ, უხელფასოდაც არსებობა“.

(თეორიულად ნათელია ეს მოძღვრება,
პრაქტიკაში ხორცშესხმა შეუძლებელი).

შვილი მაინც გადამირჩინე, დედაო
ლვთისავ,

და „როგორმე ზამთარს თუ გავუძღლიო“,
„მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“...

ისევ ქრის.

ისევ წვიმს,

ისევ თოვს...

ზამთარი არ აპირებს დამარცხებას.

ლმერთო, მართლა დაგვიფარე ჩვენ და
ადამიანები!..

მეცნი მაზვიშვილი

გვჯერა, რომ ხაშმში რეზოს სახლ-მუზეუმი გაიხსნება

რეზო პირველად 1976 წლის 16 მაისს გვიცანი და ეს დღე ჩემთვის დაუკიტყარია. სწორედ ამ დღეს ჩაუყარეს საფუძველი საგარეჯოს რაიონის მშრომელებმა გარეჯის უდაბნოში სახალხო დღესასწაულს „გარეჯობას“.

ზემომისთვის მთელი რაიონი ემზადებოდა. თითოეულ სოფელს საკუთარი სახე და ტრადიციები უნდა წარმოედგინა. სოფლის საბჭოს თავმჯდომარებმა დასახმარებლად ადგილობრივი მოწინავე ადამიანები მიიწვიეს. ხაშმელებს ყველაზე გულიანად რეზო მიეშველა. მისი მითითებით და გემოვნებით თითქოს მწერლის მშვინიერი სამყარო გადმოიფინა ფაცხის ირგვლივ. წნელვით დაწნული ფაცხა მძივივით იყო ასხმული, ჯარასავით ერტყა ტყიდან ჩამოტანილი გამიშვლებული ხეები, კუნძები, რომლებიც ფრინველებს და მტაცებლებს წააგვდნენ. ფაცხა სოფლის ნობათით იყო გაფორმებული. იგრძნობოდა კუთხის კოლორიტი. ხაშმელი ქალბატონები პურს, შოთებს, ლავაშებს ლამაზად აკრავდნენ თონები, ზოგი „თათარი“ ქვაბებს დასტრიალებდა, ზოგი სადლვებელს აქანავებდა, სხვებს კარაქი ამოჰევდათ, ხინკალს ახვევდნენ, მწვადებს აშიშხინებდნენ, ხაშმურ საფერავს ხელადებში ასხამდნენ. მამაკაცები კალოზე ნამჯას შლიდნენ, კევრებში ცხენებს აბამდნენ. ერთგან კი ახალგაზრდები შეკრებილიყვნენ და სტუმრების დასახვედრად ემზადებოდნენ. ზოგნი შაირობდნენ, ზოგნი რეზოს მოთხოვობა „ცეტების“ ინსცენირებას აწყობდნენ.

მე, ჩემს კოლეგებთან ერთად, ყველა სოფლის „სამფლობელოს“ ვათვალიერებდი და როგორ გავიხარე, როცა ხაშმელებთან მივედი და იქაური სკოლის დირექტორმა ბატონი რეზო გამაცნო. ორივეს გულწრფელად გაგვიხარდა ერთმანეთის დანახვა და და-ძმურად გადავეხვიოთ. ასე დაიწყო ჩვენი

ალალი მეგობრობა. იმ დღეს ხაშმელებმა, პირველ „გარეჯობაზე“ პირველი ადგილი დამსახურეს და ამას ბატონი რეზოს ნიჭისა და გარჯას უმაღლოდნენ.

მას შემდეგ ჩვენ ყოველთვის საქმიანი ურთიერთობა გვქონდა. ბატონ რეზოს თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო, ხაშმი და უჯარმა, სადაც მისი ერთგული მეუღლე როზა და მისი ახლობლები ცხოვრობდნენ. თუ ამ სოფლებში რაიმე სიძნელეები წამოიჭრებოდა, მათ დაძლევას ერთად ვცდილობდით. ხაშმში სკოლის, საბავშვო ბაღის და კულტურის სახლის მშენებლობისთვის ერთად ვზრუნავდით, ვაწუხებდით შესაბამისი დარგების მინისტრებს. რეზოს მონდომებით ორივე სოფელში ახალი ობიექტი აშენდა. ჩვენი სათაყვანებელი მწერალი დიდ ყურადღებას აქცევდა ისტორიული ძეგლების აღდგენა-რესტავრაციას. გულით გაიხარა, როცა შეიტყო, რომ რაიონში შეიქმნა ნინოწმინდის აღდგენის ფონდი, რომელშიც თვითონაც შეიტანა წვლილი და ახლობლებიც ჩართო. მისი და ცნობილი პედაგოგების – ნინო ასათიანისა და ვანო ბედიაშვილის წყალობით ძეგლი დანგრევას გადაურჩა.

V საუკუნის ძეგლის – უჯარმის ციხე-სიმაგრის გასაწმენდად და აღსაღებად ჩამოსულ თბილისის სახლმწიფო



რევაზ ინანიშვილი და მისი მეუღლე – როზა



რევაზ ინანიშვილი მოსწავლეებთან

უნივერსიტეტის სტუდენტებს რეზონ გვერდიდან არ სცილდებოდა. ზრუნავდა მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესობაზე, ამ საქმეში აქტიურად ჩააბა სოფლის საბჭოს და მეურნეობის ხელმძღვანელობა. ახალგაზრდები ძალიან კმაყოფილები იყვნენ.

უჯარმაში ფუნქციონირებდა პრიმიტიულად მოწყობილი წყალტუბოს ტიპის სანატორიუმი, რაც რეზონს ძალიან აწუხებდა. რამდენჯერმე ერთად მივედით ბატონ ზეზვა ღულუნიშვილთან და ვთხოვეთ დახმარება. ბატონმა ზეზვამ რეზონს ხათრი ვერ გაუტეხა, გამოყო საჭირო ფინანსები და აშენდა კეთილმოწყობილი სანატორიუმი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას შესანიშნავად ეშვახურებოდა.

ბატონმა რეზონ დიდი მონაწილეობა მიიღო საშმასა და პატარძეულში აჭარლების ჩამოსახლების საქმეში. მისი დახმარებით დროულად აშენდა საცხოვრებელი სახლები. იგი მოსვენებას არ აძლევდა სასოფლო მშენებლობის მინისტრს სოსო ხარატიშვილს. ბატონი სოსო ხუმრობით მეტყოდა ხოლმე:— გოგო, შენ არ მეყოფი, რომ ახლა მწერლები და პოეტები შემომისიერ?..

ბატონ რეზონს უყურადღებოდ არც თეატრი დარჩენია. თელაველების თხოვნით, თელავის თეატრისთვის დაწერა შესანიშნავი პიესები „ლალე“ და „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“. ამ სპექტაკლების დადგმამ გამოაცოცხლა თეატრი, მისი შემოქმედებითი კოლექტივი, მისი ნიჭიერი რეჟისორი ნუკრი ქანთარია. როგორც თეატრის მსახიობები აბბობენ, რეჟისორთან ერთად, რეზონც წვრთნიდა თითოეული როლის შემსრულებელს და შეიქმნა შედევრი. ორივე სპექტაკლი თელავში დიდ დღესასწაულად იქცა &

რეზონ პირდაპირი და სამართლიანი იყო. ეჯავრებოდა პირმოთნეობა. იმთავითვე მოსდგამდა სისპეტაკე, რაინდობა და კაცთმოყვარეობა. მასში ძლიერად ჩქეფდა ეროვნული სისხლი და ეს იყო უმთავრესი ფესვი მისი შემოქმედებისა. იგი ცისა და ქვევნის შემამკობელი იყო ბოლომდე. მშვენიერებისადმი მისმა ტრფიალებამ



ასე გამოიყურება რევაზ ინანიშვილის სახლი ხაშმი...

შეაქმნევინა მნიშვნელოვანი ნახატებიც, რომლებსაც დიდ შეფასებას აძლევდნენ სპეციალისტები.

1991 წლის დეკემბრის ბოლო დღეები მთელი საქართველოსთვის და გარეკაზელებისთვისაც შემზარავი გამოდგა. იწვოდა და ინგრედა დედაქალაქი. იხოუპოდა ქვეყნის რჩეული ახალგაზრდობა. ასეთ დროს ზეციურ საქართველოში მიდიოდა – ჩვენგან სათანადოდ დაუტირებელი და დაუფასებელი ერის მოჭირნაზულე, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი.

როდესაც რეზოს უბედურების შესახებ მაცნობეს, საგარეჯოში ვიყავი და თავზარი დამეცა. შევატყობინე ეს საზარელი ამბავი საშმში მის ახლობლებს. თითქმის ყველა საგარეჯოელს უმძიმდა გული ამ უბედურების გამო, მაგრამ დედაქალაქში გაჩაღებული სამოქალაქო ომით შეშინებული ხალხი დაკრძალვაზე ვერ ჩამოვიდა. საქართველომ, მისმა მშობლიურმა სოფელმა და რაიონმა ამ ტრაგიულ დღეებში ვერ დაიტირა სასახელო შვილი.

მე და ჩემმა ბიძაშვილმა ჯუსო მეზვრიშვილმა, რომელიც მაშინ მანავის

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად მუშაობდა, როგორდაც მოვახერხეთ პანაშვიდებსა და დაკრძალვაზე ჩამოსვლა; იმ მბიმე დღეებში, ტყვიების ზუზუნში, დაკრძალვაც ადრიანად გაიმართა და მას, სამწუხაროდ, 40–50 ადამიანი და რამდენიმე მწერალი თუ დაესწრო. ასე შეუმჩნევლად გაუცალა ქვეყანას ბატონი რეზო. დღეუბის გაყინულ მიწას 1991 წლის 31 დეკემბერს მივაბარეთ.

ქალბატონი როზა მეტად სათნო და კეთილი ქალია. მას ბატონი რეზო უსაზღვროდ უყვარდა და ეამაყებოდა, რომ მხარში ედგა ჭირშიც და ლხინშიც, გულდათუთქული დაიარებოდა თავის ორ ვაჟთან ერთად. რეზოს საფლავსაც გულიანად უპატრონა და სოფელშიც მიხედა ეზო-მიდამოს. გადაწყვიტა, რეზოს სახელის უკვდავსაყოფად ხაშმში, რეზოს ძველი სახლის ბაზაზე, სახლ-მუზეუმი გაეხსნა, რასაც სახსრები ესაჭიროებოდა. მიაკითხა კახეთის სამხარეო აღმინისტრაციას, მისმა ხელმძღვანელობამ დახმარება აღუთქვა, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ამას თავი ვერავინ მოაბა.

გვჯერა, მალე ეს საქმე მოგვარდება და ხაშმში გაიხსნება რეზოს სახლ-მუზეუმი.

კრებულიდან „დაგვიანებული რეკვიემი“, 2006 წელი.

მოამზადა ლეილა ქიტოშვილი-სახლოხუციშვილმა

ქორქ ზიათ

ჩორან ზესასიშვილი



შესდექ!

გულის მიმწუხრში, ელვა დაივლის
გვიან შენიშვნეს ფერსიცვალება
და ვით შორი ხმა მთვარის დაირის,
ისე შეგაკრთობს შენი ზმანება.
წვიმს და გაუდის სულსაც წყარუნი,
დაგიმორჩილებს ფერთა ხმაური.
აქ მხოლოს ღია გადად გრამს სიყვარული,
ვით მოლოდნის დღესასწაული.
ეს სიყვარული ხსნა არის მაინც,
თუნდაც არ შევხვდეთ
უფსკრულის პირად
გაზაფხულია, თუ გული ბდავის,
შენ კი მოსულხარ, ჩანს, ჩემდა ჭირად...
შესდექ! ეს წამიც ერთადერთია,
შესდექ, მისითაც უნდა გადარჩე!
მზეც იყო, შენი დარდი ვისლა აქვს,
მხოლოდ გრისხავნ დამდნარს ავდარში.
შესდექ! და მერე წადი გულის ხმით,
კვლავ განსაცდელი გელის ურიცხვი.
გულო, ტრფობისთვის
ერთხელ შეთქმულო,
კვლავაც მოკვდები სიყვარულისთვის!..

სადამდე?

ეს რა ვნება გადამდე?
მოგდევ, ვეღარ შეგეშვი...
საქართველოვ, სადამდე,
უკვდავების კედელში?
სულ ბოლომდის ჩაგკირეს
ტანჯვითა და მოლხენით,
რომ ევონათ გაგწირეს,
გაზაფხულად მოხვდი.
არასოდეს გათავდე
ციხე-ბურჯი მაღალი!
საქართველოვ, სადამდე?
გეკითხება აღარვინ...

* * *

ცად მიხმეს, თუ შენ გნახე
აქ სიზმრიდან მოსვლამდი?...
ცისკარს კრძალვით ეპყრა ზელთ
იასამნის ლოცვანი.
ქარს მისდევდა ის სევდა –
სულის ერთი ფურცელი,
ვიღაცას კი იმედად
გულის გულში გუცემდი.
აღარ ვგრძნობდი სულს ობლად
სხვის ტკივილში შებმული...
მტკივა უსასრულობა
ველად ძირს დაცემული.
აღარ ვიცი, მოხვალ კი?
ან გიცნობდი ნეტავი?
მრჩება ტრფობის მოხარკეს
სევდა გაულეწავი.
ვარდის ნაზი კვირტებით
ვერ ვარიდე ქარი შენ,
მერამდენედ გიკვდები
აღსარების გარეშე.
რასაც გული ვერ იტევს,
იმ უინს მოვყევ აქ სწორედ
და მზეს, ვით ჩემს ცრემლის წვეთს,
შენს მზერაში ჩაგტოვებ...

ციკლიდან: „გაზაფხული“

მიწას გაეხსნა ძველი იარა
და ატმის სისხლი გადმოელვარა...
ამ გაზაფხულის ცისკრით კი არა –
შენი თვალებით ვხვდები ქვეყანას!
მერცხლის ფრთის სიო
შეაკრთობს იებს
და ცას თუ შევწვდი,
ღმერთის შემინდოს!
ხოლო შეზე ფიქრს რაკი ვერ ვძლიე,
ეს ფიქრი ჩუმად ხატავს ველ-მინდორს.
დუმილის კარი შემილეწნია
მთის ნასიზმრალი
ვერცხლის ტალღებით.
ეს გაზაფხულიც ჩემი ლექსია –
წაგიცითხავ და თან გადაგყვები...

სიშორის აღსარება

სულს ეს ზეცა ვერ იტაცებს,
მზერა ხატავს ველს ნისლებით
და მთებს, ჩემს ტკბილ ბერიკაცებს,
ღრმა ძილშიაც ვესიზმრები...
მსურს სიყრმეში მოვკალათდე,
მინატრია ასგზის გულით.
მე არა ვარ მოღალატე,
მე ვარ მხოლოდ განწირული.
მაგრამ ჩემს გზას თითქოს იტან,
რომ სევდა არ დაიბედო,
ამ პატარა სიცოცხლითაც
ვცოცხლობ შენდა საიმედოდ.
იქნებ ნისლი გადავთელო,
ისე შენს მზეს ვერ მივწვდები...
მე თვითონ ვარ საქართველო
უჩვულო ბედისწერით!..

საქართველოს

ანუ გასაუბრება ძველ ლექსებთან
ისევ ბეწვის ხიდზე ვდგავარ,
ისევ მცდიან ნისლები,
ხმალი ხელში შემომაცვდა
და სისხლისგან ვიცლები,
არაგველნო, მომაშველეთ
თქვენი ერთი ყიუინა,
აგრემც ყველა სალოცავი
ღმერთმა გადაგირჩინათ!
საქართველო ტკბილ ცრემლივით
თვალს მოადგა სამყაროს...
დავითს რაღა პირით შევხვდეთ,
ფარ-ხმალი რომ დავყაროთ?

ვასილ ბოსტაშვილი



საყდრისი

გადამირჩინე ღმერთო, საყდრისი
და მეციხოვნედ გადამაქციე...
ღამეს გადავხნავ მთვარის სახნისით,
უსაქციელოს ვხედავ საქციელს...

წყაროდ ქცეულა ცრემლი თამარის,
სიყვარულის და რწმენის საბადო.
უმძიმესია მიწა სამარის,
ტკივილი უხმოდ უნდა გაგანდო...



ვასილ ბოსტაშვილის ნახატი

ფარისევლებმა გაყიდეს სული
და სახეცვლილნი იქცნენ ტომრებად...
მაინც ვერ გაძლინენ ნაქურდალ ფულით,
მხოლოდ სმა-ჭამად უღირთ ცხოვრება!...

გადამირჩინე, ღმერთო, საყდრისი
და მეციხოვნედ გადამაქციე...
ღამეს გადავხნავ მთვარის სახნისით,
უსაქციელოს ვხედავ საქციელს...

ალპინიზმის ისტორიული



ივანე ჯაფარიძე,

დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის
პრემიების ლაურეატი, საქართველოს სპორტის
დამსახურებული მოღვაწე.

მწვერვალებზე ფეხის თითების გარეშე...

„დაღუბულ ახლო მეგობრის გახსენება ყოველთვის იწვევს ძველი ნაიარევის მწვავე ტკივილს, მაგრამ ამ გრძნობას მუდამ ახლავს ერთად განვლილი ცხოვრების შთამბეჭდავი სურათების აღდგენა და მათი ხელახალი, გულისხმიერი გააზრება“...

მრავალი ათეული წლის შემდეგ, გონიერი თვალით უკან რომ ვიხდებით, ვაანალიზებთ და ხელახლა აღვადგენთ ალიოშა ჯაფარიძის ლეგენდარული ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს, ვეცნობით მასალებს მისი მოღვაწეობის შესახებ, ლევან გოთუას ამ სიტყვებს, ჩვენდა უნებურად, მთამსვლელობის საოცარ სამუაროში შევყავათ, სადაც მკაფიოდ წარმოჩნდება ალიოშა ჯაფარიძის ნათელი სახე.

ალიოშა ჯაფარიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ორი გზით წარიმართა. ს ა მ ს ა ხ უ ე ბ რ ი ვ ი ხ ა ზ ი თ — ჰიდროენერგოპროექტის სისტემაში ჰიდროელსადგურთა გამოკვლევასა და დაპროექტებაზე განუწყვეტელი მუშაობით, საზოგადოებრივი ხაზით კი — ალპინიზმით მოღვაწეობით.

ალიოშას მთამსვლელობაში გამოჩენა, უფროსი ძმის — სიმონის ტრაგედიამ განაპირობა. იგი სტაჟირებაზე იყო ლენინგრადში, იქ გაიგო თეთნულდზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ და დაუყოვნებლივ დაპრუნდა საქართველოში.

კატასტროფა ამ გააძლიერა თეთნულდისადმი ინტერესი. ჩვენში თუ საზღვარგარეთ არ დარჩენილა მთამსვლელი, რომლისთვისაც თეთნულდი ყველაზე საინტერესო მწვერვალად არ ყოფილიყო მიჩნეული.

„თუ არა სიმონის სიკვდილი, მე იქნებ არასოდეს მეფიქრა მთებზე“, — წერდა ერთგან ალიოშა... ადვილად გასაგებია, თუ რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო ჩემი გრძნობა თეთნულდის მიმართ,

რომელმაც იმსხვერპლა სიმონი და დამებადა ურევე სურვილი თეთნულდზე ასვლისა. თეთნულდზე ფიქრობდა და ოცნებობდა ჩემი და ალექსანდრაც. გვწყუროდა შურისძიება, მაგრამ გვიმმიმდა ჩვენი ფიქრების მშობლებისათვის გამუდამება... საბედნიეროდ, ჩვენი შიში ამაო აღმოჩნდა, მშობლებმა უყოფმანოდ მოიწონეს ჩვენი განზრახვა. თავიდანვე კარგად იცოდნენ მათ, რისთვისაც ვემზადებოდით ჩვენ, სავსებით წარმოდგენილი ჰქონდათ, რამდენად საშიში და სახიფათო იყო ჩვენი გაზრახვა, მაგრამ ისინი ერთხელაც არ ცდილან გზა გადაეღობათ ჩვენთვის, ერთხელაც არ გამოუთქმათ უქმაყოფილება ჩვენი განზრახვის შესახებ, პირიქით, მამა თავიდანვე გვთხოვდა ისიც წაგვეყვანა თან. მიგვეცა საშუალება შორიდან მაინც დაენახა „საზარელი კლდეები“, დედა კი მოელი თავისი ძალ-ღონით გვეხმარებოდა მზადებაში, საკუთარი ხელით შეგვიკერა კარავი, თბილი ტანსაცმელი, ხელთაომანები და დაგვიმზადა ყველაფერი, რისი დამზადებაც შეიძლებოდა შინ. და ეს საკვირველი მოხუცები გვთხოვებიან თავშეკავებული მღელვარებით... არ ემჩნევათ არც ყოფილი, არც სინაული, რომ თანაგვიგრძნობდნენ და ხელს გვიწყობდნენ სახიფათო გზაზე შედგომის შამს“...

სიმონის დაღუბვის წლისთავზე, 1930 წლის ივლისში, თავის დასთან — ალექსანდრასთან ერთად, ალიოშა საკუთარი ხარჯით აწყობს ექსპედიციას თეთნულდზე და 12 ივლისს ჯერ მარტო, ხოლო 14-ში ალექსანდრასთან, მოხევე იაგორ კაზალიკაშვილთან და სვან ადსილ ავალიანთან ერთად ადის მწვერვალზე და ნაგების მყინვარის სათავეში კლდეზე ამაგრებს ლითონის ფირფიტას შემდეგი წარწერით:



ალიოშა ჯაფარიძე, 1945 წელი.

„კავკასიონის მწვერვალთა მესაიდუმლის სიმონ ჯაფარიძის ხსოვნას, მისი დამსხვრეული მისწრაფების აღსაღენად აქ მოსულ მისივე და-ძმისაგან. ივლისი, 1930 წ.“ აი, ასე თავისებურად მოვიდა მთამსვლელობაში ალიოშა ჯაფარიძე. მისმა მოსვლამ ახალი სული მთაბერა ალპინისტურ მოძრაობას საქართველოში.

თეთნულდის შემდეგ ალიოშა ჯაფარიძემ არაერთი მწვერვალი დალაშქრა კავკასიონზე, მაგრამ გამორჩეული და განსაკუთრებულია 1934 წლის პირველი ქართული და საბჭოთა ასვლა უშბაზე.

თითქმის 50 წლის მანძილზე, უშბაზე ასვლის რამდენიმე ათეული ცდიდან, რო მღებიც მირითადად, ევროპისა და ამერიკის გამოჩენილმა ალპინისტებმა ჩაატარეს, მხოლოდ ოთხი დამთავრდა სრული გამარჯვებით. და აი, დადგა დრო, როცა უშბის დამორჩილებისათვის „ბრძოლაში“, ქართველ მთამსვლელებსაც უნდა ეჩვენებინათ თავიანთი ძალა. უშბაზე ასვლის ინტერესს ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ ამ მწვერვალზე ნამყოფი ყველა მთამსვლელი, მსოფლიოში სახელგანთქმული ინგლისის ალპური კლუბის წევრი ხდებოდა.

934 წელს ცონბილი ექიმის, შემდგომში სპორტის დამსახურებული ოსტატის სოსო ასლანიშვილის თავმჯდომარეობით შეიქმნა „უშბის ექსპედიციის კომიტეტი“, რომლის გადაწყვეტილებითაც ექსპედიციის

შემადგენლობაში შევიდნენ: ალიოშა ჯაფარიძე – ხელმძღვანელი, ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორ კაზალი აშვილი, გიორგი ურიანი, სანდრო გვალია, ლევან მარუაშვილი და მიქელ პატარიძე.

1934 წლის 20 აგვისტოს ექსპედიცია სვანეთში ჩავიდა და სოფელ უშხვანარში, შემდგომში „უშბის დიასახლისად“ ცნობილ მაკრინე ქურდიანის ოჯახში გაჩერდა (სა განგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქედან მოყოლებული, შემდგომ, ათეული წლების მან მიღწე ეს ოჯახი, უშბაზე მიმავალ მთამსვლელთა უცვლელი საყრდენი იყო).

მოირიშე ჯგუფში ოთხი იყვნენ: დაბმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, მოხევე იაგორ კაზალიკაშვილი და სვანი გიორგი ნიგურიანი.

მწვერვალამდე 200-ოდე მეტრი რჩებოდა, დალლილებს დამებ მოუქერებელ ად გილზე რომ მოუსწრო. აქ ერთი ადამიანი თუ გაათევდა. უცილებელი გახდა 200 მეტრით ქვევით დაშვება. ენანებოდათ ტანჯვით გამოვლილი მანძილის დაკარგვა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. გადაწყდა უკან დაბრუნება. ალექსანდრა არ აპირებდა წასვლას. მას გამოცდილება კარნახობდა, რომ ამ კრიტიკულ მომენტში, მცირე დაბრკოლებამ შესაძლოა, ხელი ააღებინოს განზრახვაზე მის თანამგზავრებს. ალიოშამ ყისვე იგრძნო დის განზრახვა და დათანხმდა დარჩენილიყო. ამით და-ძმამ უკან დასახევი გზა მოჭრა. მათ უკვე იცოდნენ, რომ დილით ვერცერთი თანამგზავრი ვეღარ იტყოდა უარს ას ვლაზე, რადგან ზემოთ ქალი დატოვეს. ასე დარჩა ალექსანდრა უშბასა და დამეს შუა თოკით კედელზე დაკიდებული. მწვერვალისწინა უკანასკნელი ბარიერიც გადაიღლახა. და აი, ნანატრი გამარჯვება, უშბის სამხრეთი მწვერვალი ქართველ მთამსვლელთა ოთხეულის ფეხქეშაა. პირველი ასვლა უშბაზე წარმატებით დაგირგვინდა. დიდი ქვებისაგან აგებულ ნიშმი, უცხოელთა წერილების ნაცვლად, მწვერვალზე პირველად დარჩა ქართველ მთამსვლელთა ხელით დაწერილი პატარა ბარათი, ხოლო როცა დაღამდა და ნისლი გაიფანტა, მწვერვალზე მოციმციმე ცეცხლი გამოჩნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, უშბაზე ანთებული ცეცხლის საპასუხოდ, სვანეთის სოფ ლებში კოცონების ალი ავარდა და როგორც მოხდენილად წერდა ალიოშა ჯაფარიძე: „ამ კოცონებზე იწ ვოდა უკანასკნელი ნაშთები სვანების ცრუმორწმუნეობისა, უშბის წვერზე ადამიანის ასვლის შეუძლებლობის შესახებ“.

ქართველმა მთამსვლელებმა საერთაშორისო მნიშვნელობის წარმატება მოიპოვეს და საფუძველი ჩაუყარეს ახალ მიმართულებას მთამსვლელობაში – ტექნიკურად რთული მწვერვალების ათვისებას.

უშბის დაღაშქერაშ უდიდესი აგზორიტები მოუპოვა ქართველ მთამსვლელებს და ქართულ ალპინიზმს. 1930-იანი წლების დასაწყისიდან ალპინიზმის სწრაფმა განვითარებამ, ფართო, მასობრივმა ხასიათმა, ალპინისტური სექციების, განყოფილებებისა თუ ჯგუფების დაქსაქსულობამ, დღის წესრიგში დააყენა ისეთი ერთიანი, მძლავრი, გარკვეული იურიდიული უფლებებისა და მტკიცე მატერიალური ბაზის მქონე ორგანიზაციის შექმნის საკითხი, რომელიც უხელმძღვანელებდა და გეგმაზომიერ, სისტემურ ხასიათს მისცემდა ალპინისტურ მოძრაობას საქართველოში. ეს საკითხი ალიოშა ჯაფარიძემ ჯერ კიდევ 1935 წლის ოქტომბერში დასვა მთავრობის წინაშე, მაგრამ უშედევოდ. მისივე თაოსნობით 1936 წელს მთამსვლელთა საინიციატივო ჯგუფმა კვლავ მიმართა საქართველოს მთავრობას ალპური კლუბის დაარსების შესახებ. 1936 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით თხოვნა დაემაყოფილდა და დაარსდა საბჭოთა კავშირში პირველი და იმ დროისათვის ერთადერთი – საქართველოს ალპური კლუბი.

საქართველოს ალპური კლუბის გახსნის მომენტში, ალიოშა, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატმა სხვა გამოჩენილ მთამსვლელებთან ერთად, ინსტრუქტორად მიიწვია პამირის მაღალმთიან ექსპედიციაში. ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე ასვლის დროს, კორუუნებსკაიას პიკზე მისასვლელი გზების ძიებისას, მას ტერფები მოეყინა, რისთვისაც საჭირო გახდა ორივე ფეხის ყველა თითის ამპუტაცია. სწორედ ამ დროს მიიღო მან ცნობა ალპური კლუბის დამტკიცების შესახებ. უსაზღვროდ გახარებული იგი წერდა თავის მეგობრებს: „დღეს მივიღე დეპეშა ალპური კლუბის დამტკიცების შესახებ. ალსრულდა დიდი ხნის წლილი და ცდა. ახლა ჩვენზეა დამთკიდებული გაეთდება რამე თუ არა. საჭიროა თითოეულმა ჩვენგანმა მიიღოს თავის თავზე ვალდებულება შეძლებისამებრ ხელი შეუწყოს ამ საქმის გაშლა-განვითარებას, რომ უზრუნველყოფილი გვექნეს საბჭოთა კავშირში მოწინავე ადგილი“. ეს წერილი იმთ არის საინტერესო, რომ იგი დაწერილია ფერგანის საავადმყოფოში ოპერაციის

შემდეგ, როცა მას მოყინული ფეხის ათივე თითო მოკვეთეს. წერილში კარგად ჩანს ალიოშას უდრევები ნებისყოფა, გაუტეხელი სული და მომავლის რწმენა. იგი წუთითაც არ დაეჭვებულა, რომ ფეხის თითების გარეშეც შეძლებდა მთამსვლელობაში მოღვაწეობას.

ალიოშა ჯაფარიძე საქმეში უდალატო, პროცესული, მკაცრი და მომთხოვნი იყო, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავისადმი. შეცდომებზე პირდაპირ, მოურიდებლად მიუთითებდა ყველას და თავის შეცდომასაც მსჯელობისა და ანალიზის საგნად აქცევდა. პირადი გამოცდილებით, საკუთარ და სხვის შეცდომებზე სწავლით, იგი ზრდიდა მთამსვლელთა ახალ თაობას, ახალ კადრს.

ლევან მარუაშვილისადმი (მთამსვლელი, 1934 წლის უშბის ექსპედიციის მოხაწილე, შემდგომ ცნობილი გეოგრაფი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი) გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ალიოშა წერდა: „ჩემი ამბავი ალბათ უკვე იცი. მოვიყინე ფეხის თითები უსახელო მწვერვალზე ასვლის დროს, რომელიც მდებარეობს კორუნებსკაიას პიკის ჩრდილოეთით. ჯერ თვითონ მწვერვალი აღმოჩნდა საქართველოს საინტერესო, შემდეგ ამ ასვლით მშვენივრად დავზვერეთ და შევისწავლეთ გზა კორუნებსკაიას პიკისაკნ (სავსებით შესაძლებელი გზა) და, რაც მთავარია, აღმოვაჩინეთ დღემდე სრულად უცნობი მყინვარი, სიგრძით 5-6 კმ... ღირსშესანიშნავი მიღწევა იყო ეს ყველაფერი, რომ ფეხების მოყინვას არ ჩაემწარებინა და ნაწილობრივ ფასიც არ დაეკარგა ამ მიღწევისათვის“...

ცოტა მოვარანებით, ანალიზს უკეთებდა რა ასვლის დროს ფეხის თითების მოყინვის მიზეზებს, ალიოშა ჯაფარიძე საკუთარ შეცდომას კი არ ჩემალავდა და თავს კი არ იმართლებდა, ხმამაღლა ამბობდა: „ჩემმა გაკვეთილმა არ უნდა ჩაიაროს ფუჭად ამხანგებისათვის. სახიფათო გზით ასვლის და ჩამოსვლის სიძნელეებთან დაკავშირებული საკითხებით გატაცებულმა, მე ვერ შევნიშნე მოყინვის ის ნიშნები, რომლისთვისაც უნდა მიმექცია ყურადღება. მე მომატყუა ჩემმა თვითდამედებამ და, აი, ორი შეცდომა გახდა მიზეზი მოყინვისა, რომელიც ბევრად აუფასურებს ჩვენს მიღწევას...“ ალიოშას ჩანაწერებსა და წერილებში კარგად ჩანს, როგორ უფრთხილდებოდა და აფასებდა იგი წინაპართა ნაღვაწს, როგორ იბრძოდა და იწვოდა საქმისათვის, რათა მომავალში ნაკლები სიძნელები ყოფილიყო

გადასალახავი. რომ არა დაუოკებელი სწრაფვა სიახლისაკენ, გასაოცარი ენერგია და ენთუზიაზმი, უსაზღვრო სიყვარული მსობლიური მთებისადმი, ალბათ არ შეიქმნებოდა მისი წიგნები: „თეთნულდი“, „უშბა“, „პამირის მთებში“, მრავალი პუბლიკაცია, რომელთაც თავი მოიყარეს და-ძმა ჯაფარიძების უახლოესი მეგობრის, ცნობილი გეოგრაფის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დავით დონდუას რედაქტორობით 1949 წელს გამოცემულ „რჩეულ ნაწერებში“. ამ 500-გვერდიან წიგნში შესულ მასალებს ალიოშა ჯაფარიძე ზამთრის ცივ და გრძელ ღამეებში, სანთლისა და ჭრაქის შექედევნების წერდა, საძილე ტომარასა თუ ნაბადში გამოხვეული. მას ხშირად თავზეც დათენებია, მრავალდამეგატეხილს მაგიდაზეც ჩასძინებია, მაგრამ დაწყებული საქმე არასოდეს მოუტოვებია და ყოველთვის ბოლომდე მიუვევანია. ამ ჩანაწერებში ეცნობი მის ცხოვრებას და რწმუნდები, რომ იგი მართლაც იყო თავდაცუხოვავი და თავდადებული, რწმენით აღსავსე და უანგარო, დადიოდა გაუკვალავი ბილიკებით და „წმენდდა“ კავკასიონის მწვერვალებს უცხოელთა ბარათებისაგან. იგი არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით და ეძებდა ახალ გზებს, ახალ ხერხებს მთამსვლელობაში, რათა განემტკიცებინა ქართული ალპინიზმის მოწინავე პოზიციები იმპერიული ყოფის პირობებში.

ალიოშა ჯაფარიძის მოღვაწეობა მთამსვლელობაში 16 წელიწადს გაგრძელდა და ამ ხნის მანძილზე კავკასიონისა და პამირის მთინეთში გადაიარა 27 ზეკარი, დალაშქრა 76 მწვერვალი, რომელთაგან 22-ზე პირველად მან შედგა ფეხი, განახორციელა 106 ასვლა, მათგან 5-ჯერ იყო ასული 6000 მეტრზე მაღლა (ლენინის პიკზე ასვლის მცდელობისას), 11-ჯერ 5000 მეტრის ზევით. ამ თერთმეტ ასვლაში არის ევროპის უმაღლესი მწვერვალი იალბუზი (5642 მ) და კავკასიონის მთავარი ქედის უმაღლესი და უმნელესი მწვერვალი შხარა (5068 მ). შესრულებული აქვს საკავშირო და საერთაშორისო კლასის 6 მარშრუტი. 1934 წლის პირველი საბჭოთა ასვლა სამხრეთ უშბაზე საეტაპო თარიღია ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში. სწორედ ამ ასვლით დაიწყო ქართველ მთამსვლელთა ბრწყინვალე მიღწევების უწყვეტი რიგი. 1940 წელს შესრულებული ე.წ. ცენტრალური კავკასიონის დიდი ტრავერსე უჩვეულო საერთაშორისო ალპინისტური რეკორდი იყო. ასევე ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო 1943

წლის პირველი ზამთრის ასვლა სამხრეთ უშბაზე არაჩვეულებრივად მძიმე და სასტიკ მეტეოროლოგიურ პირობებში, ხოლო 1945 წელს განხრახული და განუხორციელებული ტრავერსის შესრულებული ნაწილიც კი – გულის მყინვარით ჩრდილოეთ უშბაზე ასვლა – საკმაოდ მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. უმაღლესი მწვერვალი, რომელიც ალიოშა ჯაფარიძემ დალაშქრა, იყო პამირში, კორენევსკაიას პიკის მახლობლად მდებარე 6570 მ სიმაღლის მთა, რომელსაც შემდგომ მისი სახელი მიენიჭა. ადრე დალაშქრულ მწვერვალებზე ასვლის დროს, იგი გაურბოდა გაეკალული მარშრუტებით სიარულს და ცდილობდა ახალი გზით მიეტანა მასზე იერიში. ალიოშა ჯაფარიძემ ახალი გზები დაადგინა 15 მწვერვალზე. ახლის ეს მუდმივი ძიება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მწვერვალზე ასვლის დროს იგი არასოდეს გამოტოვებდა გადასასვლელის ან ახალი მყინვარის ნახვის შემთხვევას. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა მწვერვალი სირთულის კატეგორიას, ყოველი მწვერვალი მისთვის სამზრის, ახალ კუთხეს წარმოადგენდა, საიდანაც უყურებდა მოებს, მის მრავალფეროვან ბუნებას და ცდილობდა უკეთ დაენახა, შეესწავლა და შეეთვისებინა იგი.

ალიოშა ჯაფარიძის მთამსვლური დიაპაზონის სიფართოვე, მისი სპორტული ინტერესების მრავალფეროვნებაშიც მეღაწდებოდა. იგი ერთნაირი მონდომებით ხელმძღვანელობდა, როგორც სპორტულ ასვლებს, ისე ალპინიადებს პირველი კატეგორიის სიმნელის მწვერვალებზე, გასამხედროებულ ტურისტულ ლაშქრობებს, მიუვალი მღვიმე-გამოქვაბულებისა თუ ბუნების ძეგლების კვლევას. გარდა გეოგრაფიული დაკვირვებებისა, ალიოშა ჯაფარიძე მაღალმთიანეთში აწარმოებდა სპეციალურ ჰიდროტექნიკურ, გლაციოლოგიურ, მეტეოროლოგიურ, ტოპოგრაფიულ, სპელეოლოგიურ, ბოტანიკურ და გეოლოგიურ გამოკვლევებს. მეცნიერული კვლევის საუცხოო მაგალითს წარმოადგენდა 1933 წელს მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული გეოგრაფიული საზოგადოების ფართომასშტაბიანი ექსპედიცია, რომელმაც გამოიკვლია ჭალაათის, ლელზირისა და ტვიბრის მყინვართა რაიონები. ექსპედიციაში მონაწილეობდა მწერალი აკაკი ბელიაშვილი, რომელმაც მუშაობის პროცესი და კვლევის შედეგები აღწერა 1935 წელს გამოცემულ წიგნში „4854 (ზუგდიდის დაბლობიდან თეთნულდის წვერამდე)“.

ალიოშა ჯაფარიძე ალპინისტური

ორგანიზაციების ხელმძღვანელი, საქართველოს ალპური კლუბის ერთერთი დამაარსებელი იყო. ამასთან ერთად, მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა დიდი კულტურული და ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის ღონისძიებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო მის მიერ ხვამლის, ორხვის, ორპირის, ტვიშის, შიომღვიმისა და უფლისციხის გამოქაბულების, მიუვალი კაცხის სვეტის აღწერა-გამოკვლევა. ცნობილი მთამსვლელი, გეოლოგი, კულტივისტი და ენციკლოპედისტი კოტე ჯავრიშვილი აფასებდა რა ალიოშა ჯაფარიძის მთამსვლელ მოღვაწეობას ახალგაზრდა კადრების აღზრდაში, წერდა: „ალიოშა ჯაფარიძე ალპინისტის აღზრდისა და დახელოვნების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, ალპინისტური ტექნიკის ზედმიწენით ცოდნასთან ერთად თვლიდა მთამსვლელის პირად გამოცდილებას და ამ გამოცდილების შედეგად გამომუშავებულ პირად თვისებებს. დიდ როლს აკუთვნებდა მონაწილეობა პირად ინიციატივას, მათ თვითმოქმედებასა და მოსახრებულობას. ასვლების პრაქტიკაში მას ახასიათებდა ჯგუფის ყველა წევრის ინდივიდუალურ თვისებათა გამოყნება სათანადო სამუშაოს შესრულებისადმი მიღრეკილების მიხედვით (თოვლის კვალვა, კლდეზე ცოცვა, ყინულის ჭრა), ყველა მონაწილის გამოცდა მეწინავის როლში და ა.შ.“ ალბათ, ალიოშასა და მისი მეგობრების ეს თვისებები განაპირობებდა მწვერვალებისაკენ ახალგაზრდობის უსახლვრო ღტოლევას.

ალიოშას შესახებ მწერალი და მთამსვლელი ღევან გოთუა წერდა: „ნამდვილი მთამსვლელობა, ყველა წესებითა და სიძნელეებით, ხდეს ხეობაში, შავანაზე ვნახე და აღწერე კიდევაც. ასე დაიწყო ჩემი და ალიოშას დამევობრება. ჩვენ არამარტო თოკი და მნელსავალი გვააზლოვებდა. გრა მარტო მწვერვალებისა და ბუნების სიყვარული. ჩვენში მთამსვლელობა მარტო მთაზე მსვლელობა არასოდეს არ ყოფილა, იგი ჩვენი ეროვნული ყოფით, ისტორიითა და გეოგრაფიით ნაკარნახევი ვაჟკაცური მოღვაწეობა იყო და არის! ალიოშას მეშვეობით ჩემს ანგარიშზეც მომრავლდა მწვერვალები, გადასავლები, მიუვალი გამოქვაბულები. მე თავის დროზევე ვეცადე ეს დაუგიწყარი გზები და დღეები კალმითა და წერაყინით აღმებეჭდა ჩემს ნარკვევებში. ასე იშვა „ხდედალეულნი“, „თეთრი სავალი“, „ვაჟას სამყაროში“, „ხვამლის ციხექვაბული“, „კაცხის სვეტის

საიდუმლო“ და სხვა. ამ ნარკვევების კალაბი თუ მე მეგუთვნის, წერაყინი და სული უსათუოდ ალიოშასია. ალოშას ზურგჩანთაში ასზე მეტი მწვერვალია, მრავალი საოცარი გამოქვაბული, კლდე-ქალაქი, ციხე თუ სვეტი... და აი, დაიწყო მისი საბედისწერო რკენა უშბა-შელდასთან. 1945 წლის დიდი ტრავერსიდან აღარ დაბრუნდა ალიოშა და მისი ჯგუფი. უშბაზე და მის ირგვლივ მრავალდღიანი საშინელი ქარბუქი ბორიალობდა, ყველაფერს ჯანღის შავ-თეთრი სუდარა ხშავდა. პირველი ძახილისთანავე მთამსვლელთა მრავალი ჯგუფი დაიძრა თავისი მებაირახტრის დასახმარებლად. ოდნავ იცრიალა თუ არა, ჯგუფებმა ყოველმხრივ შეუტიეს ჭარბად ჩამოთვლილ უშბის მისავლებს. თვითმფრინავებმა თავს დაუარეს ორკაპა მწვერვალს... და აი, უშბის ჩასხლეტილი უნაგირა. ყინულზე ვამჩნევ ალიოშას ამოკვეთილ საფეხურებს, მაგრამ თვით კი აღარსად ჩანს, თვითმფრინავი კი უვლის და უგლის... უკანასკნელი იმედიც გადაიწურა... ერთმა ჯგუფმა უნაგირადან პალო და თოკის რგოლი ჩამოიტანა. სადღაც, ამის ქვევით ყინვარდნილის ვება ქაოსში დარჩა ალიოშას და მისი სიკვდილის ძმების თეთრი სამარე“. 1950 წელს ქართველმა მთამსვლელებმა სპორტის დამსახურებული თსტატის კაკო მარის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განახორციელეს ალიოშა ჯაფარიძის ჩანაფიქრი და შესანიშნავად დააგვირგვინეს შეხლდა-უშბის უძნელესი ტრავერსი, რომელმაც შეიწირა ქართული ალპინიზმის აღიარებული ლიდერი და მათი უფროს მეგობარი.

ალიოშა ჯაფარიძე სიცოცხლეში ალპინიზმის ოსტატის, „პამირის გმირისა“ და სპორტის დამსახურებული თსტატის წოდებებს ატარებდა, ხოლო ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელი მიენიჭა საქართველოს ალპურ კლუბს, მწვერვალებს კავკასიონისა და პამირის მთებში. მშობლიურ სოფელ ხრეითში (ჭიათურის რაიონი), მამაპაპულ სახლში გავხსენით და-ძმა ჯაფარიძეთა მემორიალური სახლ-მუზეუმი.

თბილისში, ვერის ბაღში, პატარა კონცხშე საიდანაც მოწმენდილ ამინდში მშვენივრად მოჩანს ქართული და საბჭოთა მთამსვლელობის აკვანი – მყინვარწვერი, – თავის და-ძმასთან ერთად განისვენებს ალიოშა ჯაფარიძე – მთების უებრო რაინდი, რომელმაც თავი გასწირა ქართული კულტურისა და სპორტის სახელისა და დიდებისათვის.

ჯემბი ჯიშჩაჩინი

ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან

„...დედაშვილობამ, ბევრს
არ გთხოვ...“

„თომას საფლავზე არავითარი
ძეგლი არ აღუმართავთ. მან
ადამიანთა ხსოვნაში უკადავყო
თავისი სახელი.“

ბიჩერ სტოუ

ამ დღეებში კვლავ სამხრეთ კაროლინაში
მივემგზავრები; კუნძული-კურორტი
ჰილტონ-ჰედი უნდა მოვინახულო. იქიდან
ერთი საათის სავალზე ქალაქი ბლაფორნი.
მხოლოდ იქაა შემორჩენილი სამოქალაქო
ომამდე აშენებული სახლები. ჩრდილოეთიდან
მოსულმა ოკუპანტებმა ომის დროს
ყველაფერი გადაწევეს. რაღაც სასწაულით,
რამდენიმე სახლი გადარჩენილა, რომლებიც
1840 წელს ჯონ ჯეიმს კოულს აუგია. ერთ-
ერთ სახლში მუზეუმია გახსნილი.

კოული საშუალო შეძლების პლანტატორი
ყოფილა. მას ქვის შენობების საშუალება
არ ჰქონია, ამიტომ ხის ქოხები აუგია,
რომლებშიც ბრინჯის ყანებში მომუშავე
აფრიკელი მონები ცხოვრობდნენ.

ქოხების ნახვა დამეხმარება უფრო
ცხადად წარმოვიდგინო ბიჩერ სტოუს „ბიძია
თომას ქოხის“ გმირები, მათი ცხოვრება...

გუშინდელ დღესავით მანსონს, —
სკოლის ბიბლიოთეკიდან, გაცრეცილი, ხშირი
ხმარებისგან ერთიანად დამტნილი წიგნი
გავიტანე, რომელმაც ყმაწვილს ცრემლები
მადინა...

ვერც კი ვიხსენებ მეორე წიგნს,
ასე სამუდამოდ რომ აღმბეჭდოდა
მეხსიერებაში (მხედველობაში მაქვს
უცხოელი ავტორის წიგნი). მსურდა, ზოგი
რამ აღმედგინა ყმაწვილობისდროინდელი
შთაბეჭდილებებიდან; ისე მენახა მისისიპი
და ახალი ორლეანი, თომას ლანდი
მხლებოდა თან...

მეუღლებ წიგნი გამომიგზავნა.

...მშობლების, და-ძმების, ახლო
ნათესავების, მეგობრების სიკვდილის
მომსწრეს, როგორ მეგონა, კიდევ თუ
შემომრჩა ცრემლი...



„...ხლოას ნუ ეტყვით, რა დღეში მნახეთ
აქა, — განაგრძო თომაშ, თორემ მწუხარება
გაუორკეცდება საწყალს, უთხარით მხოლოდ,
რომ მე ჩემი დღით მოვკვდი. უთხარით
აგრეთვე, რომ მე აქ არავითარი ტანჯება არ
მინახავს, და ყოველთვის მახსოვდა ჩემი
ცოლ-შვილი. თუმცა გული მეტანჯებოდა,
რომ მათგან შორს ვიყავი, მაგრამ ასეთი იყო
ჩემი ბედი და მეც ვითმენდი მათ დაშორებას.
ვლოცავ ჩემს შვილებს და ვუსურვებ, რომ
ცხოვრებაში მუდამ სიმართლის გზით
იარონ. გადაეცით აგრეთვე ყველა ნაცნობს
ჩემი უკანასკნელი სალამი...“

ეტყობა, მართლა დავბერდი, გულჩვილობა
შემომეპარა. შემეშინდა, მართლა არ
მიღალატოს ძალებმა და აქ, უცხო მიწაზე,
ახლობლებისაგან ეგზომ შორს მყოფმა არ
განვუტევო სული... რა იცი, „სიკვდილი
ხომ ერთი ამოსუნთქვა...“

ზოგჯერ საღამოობით, ოკენის პირას
გასული, მთვარეს თვალს შევავლებ და
დაგვიქრდები, — სამშობლოდან რა შორსა
ვარ გადმოხვეწილი, — გამაურეოლებს...

იმ დღეს ჩემს მეგობარს, გეოლოგსა და
ურნალისტს ვანიკო ჯაფარიძეს დაუურეკე
თბილისში; ვუამბე ჩემი მოგზაურობის ამბები,
თუ რა ვნახე, კარლინასა და ჯორჯიაში,
ალაბამასა და ტენესიში, ილინოისა და
მისურიში.

— ამ დღეებში ოპაიოს შტატში ვაპირებ-
მეთქი წასვლას.

— ხანდახან პასპორტში ჩაიხედე,
პასპორტში, — მითხრა სიცილით.

ელდა მეცა! უკან მოვიხედე. მართლაც,
რა დრო გასულა! მისმა სიტყვებმა ცივი
შხაპივით იმოქმედა, თითქოს ფრთები
შემიტვეცა... არადა, რას ვერჩი, სიმართლე
მითხრა კაცმა! უბრალოდ, თავს არ ვუტყდები;
რაკი ჯანი მოძღვეს, კიდევ ბევრის ნახვა
მაქვს განზრახული, თორემ რა დროს ჩემი
ხეტიალია...

... საბრალო თომა! მისი ნატანჯი, ნაგვეში სხეული ცოლ-შვილისაგან შორს-შორს მიაბარეს მიწას...

მისთვის ერთადერთი ნუგეში ისლა იყო, მისმა გაზრდილმა, კეთილშობილმა ჯორჯმა ცოცხალს მოუსწრო, მანვე დაუხუჭა თვალები...

„ჩემო ძვირფასო აღმზრდელო, ჩემო სიყრმის მეგობარო, მეტი არაფრის გაკუთხა არ შემიძლია შენთვის. ნება მომეცი ამით გემსახურო და ტანი ჩემი მოსასახამით შეგიმოსო...“

მე? მე რომ აქ შემომაღამდეს, ამ უკიდეგანო, უცხო მხარეში, სრულიად უცნობ ადამიანებს შორის, ვინდა დამიზუჭავს თვალებს? მაშინ მპავდარიც კი ვეღარ ვედირსები სამშობლოს მიწას... თანაც, რა საზიზღარია საგოზავით წებოვანი აქაური წითელმიწა...

...ზოგი ვაი-ქართველისგან შერისხული აკაკის სულს ვეთაყვანე – „დედაშვილობამ, ბეგრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო...“

ღმერთო დიდებულო! მხოლოდ ერთს გევედრები, – გამაძლებინე, ვიდრე ჩემი ბედკრული სამშობლოს მიწაზე დავდგამ ვეხს...

მერე მოხდეს რაც მოსახდენია...

P.S. ოპაიოში მაინც წავედი. მთელი შტატი შემოვიარე, ცინცინატიდან კლივლენდმდე; სანდასკში, ერიას ტბის პირას, თანამემამულებსაც შეეხვდი, პუპური ლეპიშვილსა და როინ მეფარიძეს; ოპაიოს ფანტასტიკურ მღვიმეშიც ვიყავი, შტატის დედაქალაქის კოლუმბუსის მახლობლად. ახლა პატარა, პროვინციულ ქალაქში ვარ, ლებანონში, რომლის ღისშესანიშნაობათა შორის უმთავრესია 1803 წელს აგებული სასტუმრო „ოქროს ვერდი“ (Golden Lamb). ამ სასტუმროში სხვადასხვა დროს ამერიკის 10 პრეზიდენტია ნამყოფი; ასევე გამოჩენილი ადამიანები, – დიკენსი, მარკ ტკენი, ბიჩერ სტოუ...

აქ თვალისწინივით უფრთხილდებიან წარსულის ხსოვნას. იმ ოთხებში, რომლებშიც ცნობილი ადამიანები ცხოვრობდნენ ხელუხლებლადაა შენარჩუნებული იმდროინდელი ინტერიერი, ავეჯი, ზოგიერთი ნივთი. ირგვლივ ყველაფერი სიძველით სუნთქვას, სასტუმრო მუდამ გადაჭვდილია. უფრო ხანდაზმული ეტანებიან აქაურობას. ალბათ, გასახსენებლად გარდასულ დღეთა... თავისული მივიტანე...

სასტუმროს დირექციის თავაზიანი ნებართვით, ოთხში, რომელშიც ოდესლაც ბიჩერ სტოუ ცხოვრობდა ყვავილების

ლებანონი, ოპაიოს
შტატი, აშშ

სეზამ, გაიღე!

ანუ ფიქრები მამონტის
მღვიმის კარიბჭესთან

ოცი წლის ვიყავი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში რომ მივედი, კარტოგრაფიის განყოფილებაში. ეს იყო 1959 წელს.

ერთი წლით ადრე ინსტიტუტში დაარსებულა კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორია. ლაბორატორიაში მუშაობინენ მღვიმებზე, ბუნებაზე შეკვარებული ადამიანები, ნამდვილი ფანატიკოსები, – შალვა ყიფანი, ზურაბ ტატაშიძე, გურამ თიკანაძე, არსენ ოქროვანაშვილი, ბორის გერგედავა...

გურამ თიკანაძე ფოტოზელოვნებამ გაიტაცა და უწინაალ „დროშაში“ გადავიდა.

სპელეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობა რომ შემომთავაზეს, სიმოვნებით დავთანხმდი, თუმცა მღვიმე არასოდეს მენახა. ასე მოვხვდი პირველად იაზონისა და სათაფლიას, ნავენახევისა და საკაუას, გოდოგანისა და ქვილიშორის, ყუმისთავის, აბრსკილისა და ოტაპის მღვიმებში. მე მღვიმების აგებმგა მეგალებოდა.

აღმოჩენის სიხარულიც იმავე წელს განვიცადე.

სათაფლიას ნაკრძალის ტერიტორიაზე, ცნობილი მღვიმის მახლობლად, სულგანათებულმა პეტრე ჭაბუკიანმა მშრალ ხევთან მიგვიყვანა. ხევი კლდესთან იხშობოდა.

ბატონმა პეტრემ თავისი განუყრელი ხელჯოზი ხავსიან ლოდს მიუკაცუნა.

– დანამდვილებით ვიცი, ამ ნაზვავის ქვეშ მღვიმეა, მაგრამ ვერასოდეს მოვიცალე შესასვლელი გამეწმინდა. სცადეთ, იქნებ თქვენ შესძლოთ.

ნესტიანი, ხავსგადაკრული ლოდები გვერდზე გავზიდეთ. ერთ საათში ფსკერზე ხერელი გახსნა, საიდანაც პატი უბერავდა. ამან ძალა შეგვმატა. თავგამოდებით ვეკვეთეთ ლოდებს. ჩასასვლელი იმდენად გავაფართოვთ, ადამიანი გაეტეოდა.

დაწოლილები წინ გაეხობდით. ვიწრო ხვრელით რამდენიმე მეტრში ნაღვენთებიან დარბაზში აღმოვჩნდით. ფსკერზე კამგამა ნაკალული გაედინებოდა, რომელიც ნაზვავიდნ ჟონავდა.

ოთხასი მეტრის სიგრძის მღვიმე ორიოდე საათში ავგეგმე ბორის გერგედავასთან ერთად.

საოცარი გრძნობა დაგვეუფლა. დავაბიჯებდით ტალანებში, სადაც ჩემნამდე ძეხორციელს არ დაუდგამს ტერფი; არც თავლწინ გადაშლილი ზღაპრული პეიზაჟი უხილავს ვინმეს...

მურჯ დღეს ბატონმა შალვა ყიფიანბა და ზურაბ ტატაშიძემ თბილისში დეპეშა აფრინეს, – გეოგრაფიის ინსტიტუტის დამარსებელსა და პირველ დირექტორს, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილს აუწყებდნენ, რომ ახალ მღვიმეს პირველ აღმომჩენთა უფლებით გეოგრაფიის ინსტიტუტის სახელი ეწოდა!

იმ წელს ბუნებამ დიდი გამოცდაც მოგვიწყო, – ოჩამჩირის რაიონში, ცნობილი აბრსკილის მდვიმის მახლობლად, ოტაპისთავის მდვიმის ბოლო დარბაზში ძლიერმა წყალდიდობამ მოგვისწრო; მე და არსებ ოქროჯანაშვილს ეს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაგვიჯდა; დარბაზი ჩვენს თვალწინ სანახევროდ აიგვსო წყლით! ვიწრო ხერელი, რომლითაც დარბაზში შემოვედით, წყალმა დაფარა და ჩაკეტილ სივრცეში აღმოვჩნდით, მაგრამ არსენის გაბედულებამ მისნა... მას შემდეგ მდვიმეში წყალდიდობამ რამდენჯერმე მომისწრო, მაგრამ ის პირველი გაკვეთილი მაინც განსაკუთრებული იყო...

იმ დღიდან მდვიმები ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

მახსოვს, პირველი წიგნი მდვიმებზე იყო ცნობილი ფრანგი საელეოლოგის ნორბერ კასტერეს „ათი წელი მიწისქეშ“, რომლის წინასიტყვაობა გამოჩენილმა ქართველმა გეოგრაფმა, მრავალი პრემიების ლაურეატმა, პროფესორმა ლევან მარუაშვილმა დაწერა. იგი ამავე ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

პირველად მაშინ გავიგე ამერიკისა და მსოფლიოს უდიდეს და უაღმაზეს – მამონტისა და კარსლბადის მდვიმებზე.

ექსპედიციიდან დაბრუნებისთანავე კარ სტოლოგია – სპეციალისტი გადამიყვანეს, სადაც დღემდე ვმუშაობდი.

ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვიარე საქართველოს კარსტული ზოლი, – რაჭა და სამაჩაბლო, იმერეთი და სამეგრელო, აფხაზეთის კარსტული მასივები, – არაბიკა, ბზიფი, წებელდა, ფანავი... ასობით მდვიმისა და უფსკრულის შესწავლაში ვმონაწილეობდი; პირველად ავგეგმე ახალი ათონის მდვიმე, რომელიც მაღა კეთილმოწყობილ და მდვიმეებს შეფარგვებული ასეულ-ათასობით ადამიანი ათვალიერებს. ზოგიერთ მათვანს ეროვნული პარკის სტატუსი აქვს მინიჭებლი!

მინახავს პოლონეთისა და ბულგარეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის, უნგრეთისა და იტალიის ულამაზესი მღვიმეები; რა თქმა უნდა, ყირიმის, ურალისა და შორეული აღმოსავლეთის მღვიმეებიც მინახავს, მაგრმ კვრასოდეს წარმოვიდგენდა, ოდესებ ამერიკის მღვიმეებსაც თუ ვიზილავდი!

მოხდა სასწაული ჩემთვის! – ორი წლის წინ, გეოგრაფიის ისნტიტუტის დირექტორის, პროფესორ ზურაბ ტატაშიძისა და იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტის, აკადემიკოს რევაზ სეფიაშვილის დახმარებით ამერიკაში ჩამოვედი.

ხომ გრანდიოზულია მიწისწედა ამერიკა, გამაოგნებელი, თავბრუდამხვევი ინფრასტრუქტურით, მაგრამ არანაკლებ გრანდიოზული ყოფილა ამერიკის მიწისქვეშთი!

ათეულ-ათასობით აღრიცხული და გამოკვლეული; 140-ზე მეტი კეთილმოწყობილი მდვიმე, – აი ამერიკელ სპელეოლოგთა ნაღვაწი! ამდენი მდვიმე მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არაა აღრიცხული! კეთილმოწყობილ მდვიმეებს ყოველწლიურად ასეულ-ათასობით ადამიანი ათვალიერებს. ზოგიერთ მათვანს ეროვნული პარკის სტატუსი აქვს მინიჭებლი!

ამერიკის მდვიმების გაცნობას ერთი სიცოცხლე არ ეყოფა. ვცდილობ, სურვილი ნაწილობრივ მაიც დავიკმაყოფილო. უკვე მოვინაზულე კონცია „რუბი ფოლსი“ მიწისქეშა ჩანჩქერით ბოლო დარბაზში; და „დაკარგული ზღვის“ მდვიმე – მსოფლიოში ყველაზე დიდი მიწისქეშა ტბით – ჩატანუგასთან, ტენესის შტატში; შესანიშნავი არქეოლოგიური ძეგლი, – „რასელის მდვიმე“ და დიდებული „კათედრალური“, – აღაბამას შტატში; განუმეორებელი ოპაიოს მდვიმე – შტატის დედაქალაქის, კოლუმბუსის მახლობლად, მაგრამ მამონტის მდვიმის ნახვას ვერა და ვერ ვეღინსე.

როგორც ბიბლიაშია, – ითხოვე და მოგეცემა; ექვებე და იპოვი; დააკაუნე და გაგიღებენ (მათე 1.1), და მეც შევთხოვდი უფალს, – საქართველოში მამონტის მდვიმის უნახვად ნუ მიმაბრუნებ-მეთქ.

უფალმა ისმინა ჩემი თხოვნა...

დღეს აქ ვარ, მსოფლიოში ყველაზე გრძელი (550 კმ!!) – მამონტის მდვიმური სისტემის კარიბჭესთან... რამდენიმე წუთში ასრულდება ჩემი ოცნება!

– გმადლობ უფალ!

სეზამ, გაიღე!

კვივ სიტი; კენტუქის შტატი, აშშ

წიგნი თბილისსა და ნიუ-იორქს შორის გაქრა...

მეტად სამწუხარო ამბავი შემატყობინებს თბილისიდან, — ჩემი ძვირფასი მეგობარი, დიდებული პოტი და ჟურნალისტი ლაშა გახარია გარდაცვლილა...

უმაღ ჩვენს საერთო მეგობარს გიგლა გობეჩიას დავურეკე. ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია ლაშას ლექსები. ბევრჯერ გვითხოვია მისთვის, — თავი მოეყარა და წიგნად გამოეცა...

— რაო! ჯერ ადრეაო! — ჯიუტად იმეორებდა; სასტიკად მომთხოვნი იყო საგუთარი თავისადმი.

გიგლასგან გავიგე, — ცოტა ზნის წინ ლაშას ლექსების ორი კრებული დაბეჭდილა.

— რაჩვეულებრივი შეხვედრა მოუწყვესო მშობლიურ რაიონში, წიგნის პრეზენტაციის დროს...

სამწუხაროდ, უკანასკნელი აღმოჩნდა მისი გამოსვლა ფართო საზოგადოების წინაშე...

* * *

ორი კვირის წინ თბილისიდან მორიგი ფოსტა გამოიგზავნეს. დღეებს ვითვლიდი, ისე მეჩქარებოდა, რაკი ვიცოდი, — ლაშას წიგნს მიგზავნიდნენ...

დღეს, როგორც იქნა, ფოსტა მოვიდა. ყველაფერი უკლებლივ მოვიდა, — კობა ხარაძის მიერ შედგენილი ენციკლოპედიური ცნობარი ქართველ მოგზაურებსა და გეოგრაფებზე; პროფ. სოსო სიგუას მიერ შედგენილი აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის წიგნი, — „ჩვენ გგაქვს საერთო სამშობლო“; ლინა ბარათაშვილის „შზითვის წიგნი“; ჟურნალ „პრეს-პრემიერის“ ბოლო ნომერი, 30-მდე სხვადასხვა გაზეთი, მაგრამ სამწუხაროდ, ლაშა გახარიას წიგნ აღარსად იყო!

მაშინვე შინ დავრეკე — ერთი და სამ კილოგრამიანი ბანდეროლები გამოუგზავნიათ დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ცენტრალური საფოსტო განყოფილებიდან; გადაუხდიათ 66 ლარი. ერთ ბანდეროლზე დაკრულია 37 (!) მარკა, რომელიც ბეჭდით თერთმეტჯერაა დამოწმებული!

— ბანდეროლები ჩვენს თვალწინ შეფუთაო მეტად სათხო ქალბატონმა, — მითხრეს ჩემიანბმა.

ამერიკაში გზავნილები დაუზიანებლად მივიღე. გამოდის, რომ ლაშა გახარიას „ლექსების კრებული“ სადღაც, თბილისსა და ნიუ-იორქს შორის „აორთქლდა“...

თავდაპირველად აღვმტოთდი. ფაქსის გამოგზავნას ვაპირებდი საფოსტო განყოფილებაში, მაგრამ გადავითიქრე. იქნებ გაგიკიდილეთ, მაგრამ... გამიხარდა კიდეც!

ცუდ წიგნს ვინ იპარავს? ცუდ წიგნს მაკულატურად აბარებენ. ზოგჯერ უფრო მაცრადაც ექცევაან, — საჯაროდ წვავენ, თუმცა ამას უფრო „ცუდი“ ავტორის „ხათრით“ სჩადიან...

თავი დავიმშვიდე, — ვინც ის წიგნი ამოიღო, ალბათ, ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარული იყო; ლაშას წიგნის ფასი და ყადრი იცოდა, მაგრამ ყიდვის საშუალება არ ჰქონდა-მეოქი.

მე კიდევ გამომიგზავნიან ლაშას ლექსების კრებულს;

ასე რომ აღალი იყოს, ვინც წაიღო...

* * *

ძვირფასო ლაშა! ვაგლახ, რომ ჩვენი შეწვედრა 1999 წლის 2 ნოემბერს, გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ უკანასკნელი აღმოჩნდა...

იმ დღეს ვაჟა ეგრისელი და ნარო კოლხელიც შემოგვიერთდნენ. ტრანსპორტის ხმაურს გავერიდეთ, გამომცემლობის ეზოში შევედით. იქ, შედარებით სიმყუდროვეში, წაგვიკითხე შენი „ოდა სიყვარულს“... გაგვალცე, გაგვალცე, მაგრამ ჩვენი თხოვნა, — შენი ლექსები წიგნად გამოგვეცა, კვლავ შორის დაიშირე...

ორი კვირის შემდეგ, ამერიკაში წამოვედი 12 თვით. სამწუხაროდ, გამიგრიძელდა აქ ყოფნა, — 4 წელია, აქ ვარ...

ვაგლახ, რომ ამიერიდან ვერასოდეს გავიგონებ შენს ხმას...

ისე, ყველანი სიკვდილის შეილებ — ჩემს ბედკრულ სამშობლოში დაბრუნებამდე ნუ დამიღამებს გზასავალს. — მოხდეს, რაც მოსახდენა...

...ძვირფასო ლაშა! სხვა არაფერი შემიძლია; თერთმეტ აპრილს კლივოტერში წავალ, ბერძნულ ეკლესიაში, სანთელს დაგინთებ და უფალს შევავედრებ შენს სულს...

ფლორიდა, აშშ

ოთახი ფაინანსი



ლივორნო...

სიკვდილს ჩაეძინა პიკასოს ბაგეზე,
უანა თავს იკლავდა ღამით შინ,
ელისეს მინდვრები
ჰყვებოდნენ მხატვრებზე
ჭორები დაპქონდათ პარიზში.

ლივორნო, მადამ ლივორნო,
მონმარტრი, შატო-ბელ-გარდი,
ლუვრი, მოდილიანი, უტრილო,
რივერა, სუტინი, რემბრანტი.

სადა ხარ, ვისთან ხარ მოდილიან,
გამშრალა ცრემლი და მწუთხეა
პარიზში ძველებურად მოგელიან,
უანაც დაგეძებდა წუხელის.

სენი შეეყარათ სენის ნაპირებსაც,
რამდენი ხანია ვინ მოსთვლის,
ახლა ატირდება ნოტრ-დამი –
ტაძარი პარიზის ღვთისმშობლის.

აპა, მომწიფდა ზამთარიც აშარა
და ირგვლივ ყველაფერს
თეთრი გადაედო,
მიწიდან გაისმის უანა... უანა... უანა...
მოგძახის მთვრალი ამადეო.

სიკვდილს ჩაეძინა პიკასოს ბაგეზე,
უანა თავს იკლავდა ღამით შინ,
ელისეს მინდვრები
ჰყვებოდნენ მხატვრებზე
ჭორები დაპქონდათ პარიზში.

ოქტომბერივით სავსე გაქვს მხრები,
ვერ მოგაყარე ყვავილთა წყება,
მე ყოველ ზამთარს უშენოდ ვხვდები
და გული ათას რამეზე მწყდება.
გარეთ სუსხია, გამიღე კარი,
ვიცი, ძნელია, მე ესეც მესმის
და თოვლი, შენი შეშლილი ქმარი,
საცაა მოვა და გუნდას მესვრის.
ახლა, როდესაც სიზმრებს ვალავებ,
ვით ჩემს ოთახში დაგროვილ ნივთებს,
შემოაფრინდა ცისკარს მამალი,
როგორც სიცივე-დახეთქილ ფილტვებს.
რამდენი რამე სათქმელი დამრჩა,
არ მახსოვს, რწმენა როდის დავკარგე,
ციდან მოფრინავს ცისფერი ყანჩა
და მოაქვს ფრთხით თოვლის ფარდაგი
სული გაუქცა ცას და მიწასაც,
ღვთისმშობლის ხატთან იწვნენ ვარდები
და სევდით დაღლილ კვაზიმოდოგებს
ელანდებოდათ ესმერალდები.
გარეთ სუსხია, გამიღე კარი,
ვიცი, ძნელია, მე ესეც მესმის
და თოვლი, შენი შეშლილი ქმარი,
საცაა მოვა და გუნდას მესვრის.

ავტოპორტრეტი

მიდი – მოვდივარ აღმაც და დაღმაც,
რას ველოდები ნეტავ, ვინ იცის,
და ხშირად როცა მახარებს რაღაც,
გულის სიღრმეში ღმერთი იცინის.
დავეძებ, ვსუნთქავ, ვცხოვრობ ვიღაცით,
ვერ გამიგია, სად ვარ და რა ვარ
და, როგორც კაცი ჭრელი ნიღაბით,
საკუთარ სახეს ვაჩენ და გჩქმალავ.
ვეფოფინები გაღეულ დღეთა,
ჩრდილებს და ფიქრებს,

როგორც სამარხებს,
ხშირად მატყუებს სიყალბე ფერთა,
და ყველაფერზე ისე ვხარხარებ,
რომ სულერთია თვალის გახელა
და ისმის მხოლოდ მოთქმა-გოდება,
ვინ გამიჩინა დარდი იმხელა,
რომ თვითონ დარდიც შეგეცოდება?!
მიდი მოვდივარ აღმაც და დაღმაც,
რას ელოდება გული, ვინ იცის,
და ხშირად როცა მახარებს რაღაც,
გულის სიღრმეში ღმერთი იცინის.

არ დამიბერდე

არ დამიბერდე ყინწვისის ცაო,
არ დამიობდე, წყალოვ ტეხურო,
ღმერთო, სიცოცხლე... ეგებ მაცალო,
რომ ჩემს სამშობლოს შემოვეხურო.

ვიცოცხლებ დიდხანს,
თუკი მადროვებ,
შევაბერდები ზარზმას, ოპიზას,
იმ სამახაბლოს მოვიგალობებ,
სადაც ირემი უფრთხის თოფის ხმას.

სადაც მზე ბორგავს მამლის ყივილზე,
სადაც ბავშვები ჰეგანან ღობეებს
და უდარდელი უივილ-ხივილით,
თოვლის ნამსხვრევებს მოაგორებენ.

სადაც მღერიან ნანას ოდიშის,
სადაც ცხენისწყალს სისხლი
სდის მტერთა,
ააფრიალეთ კიდევ დროშები,
დროშები მინჩხთა და ჭყონდიდელთა.

რამ დამამუნჯოს, რისთვის დავმუნჯდე,
მტერი ჯერ კიდევ უნდა მოვსხიპო,
რადგან მტკვარი და მღვრიე დურუჯი,
წუხელ მონალოლთა ურდოშ მოხვრიპა.

მალენა...

მალენა, შენი თმები ღელავენ,
ქალაქს აუდის თოვლის ალმური
და დაგაქვს ტანი ისე ქალური,
რომ სარკმლებიდან ბრძებიც გხედავენ.

ჭიაკოკონობს მთვარე თითბერის,
ციდან ჩამორბის „თოვლი ლტოლვილი“
და შენი თხელი, წვრილი თითების
გემო დაჰყვება, თანდაყოლილი.

მალენა შენი ტუჩის წადილით,
სავსეა ქუჩა მომლოცველებით
და მიაბიჯებ თვალებდახრილი
ზოგჯერ ბავშვილით და მოჩვენებით

ირეკლავს მზის სხივს შენი საყურე,
მკვდარზე ცივია თოვლი ობოლი,
ქალაქს ცისფერი ჭორი ატყუებს,
რომ სამჯერა ხარ გამოთხოვილი.

მალენა, შენი თმები ღელავენ,
ქალაქს აუდის თოვლის ალმური
და დაგაქვს ტანი ისე ქალური
რომ სარკმლებიდან ბრძებიც გხედავენ.

მზე და გოგონა

მზეს დაემალა სახლში გოგონა,
გოგონამ ყველა ჭვრიტე დაგმანა,
გაკვირვებული მზე ჩამოლონდა
და ფერწასული შუბლი დახარა.


მერე გამოხტა ქარი როხროხა
და გულიანად ჩაიხარხარა,
მზემ საბოლოოდ ამოიოხრა
და ცივ კრამიტებს თავი ახალა.



თოლემანი

ცეც ზეჩებისი

ლელა ზურგაძინი დაიბადა 1977 წელს. თხუ-ს ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 15 წელზე მეტა მუშაობს პრესაში – წერს სტატიებს, არის საბაზშვი გამოცემების რედაქტორი, მშობლებისთვის განკუთვნილი ვებგვერდის – mshoblebi.ge-ს რედაქტორი. თარგმნის უცხოურ ლიტერატურას და წერს მოთხოვებს, რომელთაგან რამდენიმებ სწავლას წარადგინებულ კონკურსზე ჯილდო მიიღო.



ძალიან მოხუცი კაცი უშველებელი ფრთებით

გამოიცელ გარსია მარქესი

ზედიზედ სამი დღე გადაუდებლად წვიმდა და ძლივს ასწრებდნენ სახლში შემძვრალი კიბორჩხალების მოგერიებას; ორი ჯოხებს ურტყამდნენ, პელაიო კი მათ წყლით დაფარული ეზოს გავლით ზღვისგან მიათრევდა და წყალში ყრიდა. გასულ ღამეს ახალშობილს სიცხემ აუწია; ჩანს, სინესტემ და სიმყრალემ გამოიწვია. სამშაბათიდან სამყარო საყოველთაო სევდამ მოიცვა: ცა და ზღვა რაღაც მოფერფულისფრო-მონაცრისფრო მასად აიზილა ერთმანეთში; პლაჟი, რომელიც მარტში ქვიშის ნაპერწკლებით ბრჭყვიალებდა, ჭუჭყისა და დამპალი მოლუსების ტბორად გადაიქცა. შეადღისასაც კი ისე ბნელოდა, პელაიო ვერაფრით არჩევდა, პატიოს¹ შორეულ კუთხეში რა შარიშურობდა და ვინ კვნესოდა ასე საბრალობლად. მხოლოდ სულ ახლოს მისულმა აღმოაჩინა, რომ ეს მოხუცი, ძალიან მოხუცი ადამიანი იყო, რომელიც ტალახში პირქვე ჩამხობილიყო და წამოდგომასა ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა – უშველებელი ფრთები უშლიდა ხელს.

მოჩვენებით დამფრთხალი პელაიო ცოლისკენ – ელისენდასკენ გაიქცა, რომელიც იმ დროს ავადმყოფ ბავშვს ცივ

საფენებს ადგიდა. ორიგენი გარინდულნი შეჰყურებდნენ ჭუჭყში მწოლიარე არსებას. მაწანწალასავით ეცვა. უფერული თმის რამდენიმე ბულული შიშველ თავის ქალაზე მიკვროდა, პირში თითქმის არ დარჩენდა კბილები და სახეზეც არავითარი ანგელოზური დიდგულება არ ეწერა. უშველებელი შევარდნის ფრთები, ნახევრად გაბრდევნილი, ეზოს გაუგალ ტალახში ჩაფლულიყო. პელაიო და ელისენდა ისე დიდხანს და დაუინებით ათვალიერებდნენ, რომ ბოლოს მიეჩივნენ მის უცნაურ სახეს და ლამის ნაცნობადაც მოჩვენათ. ცოტა გაუთამამდნენ და გამოელაპარაკნენ კიდეც, მანაც რაღაც გაუგებარ დიალექტზე, ზღვაოსნის ხრინწიანი ხმით უბასუხა. ხანგრძლივი მსჯელობის გარეშე, ისე, რომ იმავ წამს გადაავიწყდათ მისი უცნაური ფრთები, გადაწყვიტეს, რომ ის რომელიდაც უცხოური ხომალდის მეზღვაური იქნებოდა, რომელმაც ქარიშხლის დროს კატასტროფა განიცადა. თუმცა ყოველი შემთხვევისთვის მაინც უხმეს ამქვეყნად ყოვლისმცოდნე მეზობელს. ამ უკანასკნელს თვალის ერთი შევლებაც ეყო, რომ მათი წინადადება უკუეგლო.

– ეს ანგელოზია, – უთხრა დაბეჯითებით,
– უეჭველია, ბავშვისთვის გამოგზავნეს,

მაგრამ საბრალო ისეთი ბებერია, ასეთ ნაიღვარს ვერ გაუძლო და მიწაზე დაენარცხა.

მალე მთელ არემარეს მოედო, რომ პელაიომ ნამდვილი ანგელოზი დაიჭირა. ვერავინ გაბედა ხელი აეწია მის მოსაკლავად, თუმცადა ყოვლისმცოდნე მეზობელი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ანგელოზები სხვა არავინ არიან, თუ არა ღვთის წინააღმდეგ ძველისძველი აბბოსის მონაწილენი, რომელთაც ზეციური სასჯელის აცილება მოახერხეს და მიწას შეფარნენ. დღის დარჩენილი ნაწილი პელაიო სამზარეულოს ფანჯრიდან ადევნებდა მას თვალს, თან ყოველი შემთხვევისთვის ხელში თოკი ეჭირა, საღამოს კი ტალახიდან ამოათრია ანგელოზი და საქათმეში ქათმებთან ერთად გამოიკეტა. შუალამისას, როცა წვიმამ, როგორც იქნა, გადაიღო, პელაიო და ელისენდა ისევ განაგრძობდნენ კიბორჩხალებთან ბრძოლას. ცოტა მოგვიანებით ბავშვს გამოეღვიძა და ჭამა მოითხოვა – სიცხეს მთლად დაეწია. მაშინ კი დიდულოვნების შემოტევა იგრძნეს და გადაწყვიტეს, რომ ანგელოზისთვის ტივს შეკრავდნენ, მტკნარ წყალს და სამი დღის სამყოფ პროდუქტს მისცემდნენ და ტალღების ნებაზე მიუშებდნენ. მაგრამ როცა გამოენისას პატიოში გავიდნენ, სოფლის თითქმის ყველა მცხოვრები დაინახეს: საქათმის წინ შეჯგუფულები ყოველგვარი სულიერი მღელვარების გარეშე შეცყურებდნენ ანგელოზს და მავთულის ბადის ნახვრეტებში პურის ნამცეცებს ტენიდნენ, თითქოს ზოოპარკის ცხოველი ყოფილიყოს და არა ზეციური ქმნილება.

შვიდი საათისთვის პადრე გონსაგა მოვიდა, უჩემულო ამბით შეშეოთებული. ამ დროს საქათმესთან უფრო საპატიო მაყურებელი შეიკრიბა – ახლა ყველა იმაზე მსჯელობდა, რა მომავალი ელოდა ტყვეს. მიამიტებს მიაჩნდათ, რომ მას სამყაროს ალკალდა² დანწინავდნენ, უფრო საზრიანები კი ვარაუდობდნენ, რომ მას გერერლად ქცევის ბენიერება ხვდებოდა წილად, რომელიც ყველა ომს მოიგებდა. ზოგიერთი ფანტაზიორი გამოითქვამდა მოსაზრებას, რომ ჯობდა აქ დაეტოვებინათ როგორც მწარმოებელი, რათა ფრთოსნებისა და ბრძენი ადამიანების ახალი ჯიში გამოეყვანათ, რომელიც ქვეყნიერებაზე წესრიგს დაამყარებდა. პადრე გონსაგა, სანამ მღვდელი გახდებოდა, ხის მჭრელი

იყო. მავთულის ბადესთან მისულმა ნაჩქარევად გაიხსნა ყველაფერი, რაც კატებიზისიდან იცოდა, და მერე მოითხოვა, საქათმის კარი გაეღოთ, რომ ახლოდან შეეხდა ამ უღლონ მამრისთვის, რომელიც გაშეშებული ქათმების გარემოცვაში თვითონაც უშველებელ უსუსურ ფრინველს დამსგავსებოდა.

კუთხეში იჯდა, მზისთვის მიეფიცხებინა თავისი გადაშლილი ფრთები, სკინტლებსა და საუზმის ნარჩნებს შორის დასვენებული, რომლითაც გამთენისას გაუმასპინძლდნენ. როცა პადრე გონსაგა საქათმეში შევიდა და ლათინურად მიესალმა, ყველაფრისადმი გულგრილმა არსებამ ოდნავ ასწია თვალები, რომლებიც თითქოსდა აბლაბუდებით ჰქონდა დაფარული და რაღაც წაიბუტბუტა თავის დაალექტზე. მღვდელმა იქვეა, აქ ყველაფერი რიგზე ვერ არისო, რაკი ამ ქმნილებას ღვთის ენა არ ესმოდა და არ იცოდა მის მსახურთა პატივისცემა. ყურადღებით მიაჩერდა და აღმოჩინა, რომ ეს თვითმარქებია ანგელოზი მეტისმეტად ჰგავდა ადამიანს: მაწანწალობის აუტანელი სუნი სდიოდა, ფრთებში პარაზიტები უფუთფუთებდნენ, მსხვილი ბუბულები მიწურ ქარებს გაეცითა, და სართოდაც, მის უპოვრულ სახეში არაფერი შეესაბამებოდა აღმატებულ ანგელოზურ რანგს. პადრე გონსაგამ საქათმე დატოვა და მრევლს მოკლე ქადაგებით მიმართა იმ ხიფათების შესახებ, რომელსაც მცირედმორწმუნეობა შეიცავს. მათ შეახსნა, რომ ეშმაკს ნიღბის მორგების მავნე ჩვეულება აქვს, რათა გულჩეილები აცდუნოს. ბოლოს პადრემ სამართლიანად შენიშნა, რომ თუ ფრთები არ არის არსებითი ელემენტი შევარდენსა და თვითმფრინავს შორის სხვაობის განსასაზღვრად, მით უფრო ნაკლები ხარისხით შეიძლება ისინი გამოდგეს ანგელოზების ამოსაცნობად. თუმცა მაინც აღუთქვა მრევლს, ეპისკოპოსისთვის მიეწერა წერილი, რათა მას მიეწერა პრიმასისთვის, იმას თავის მხრივ – რომის პაპისთვის, რამეთუ საბოლოო ვერდიქტი ყველაზე უმაღლესი ინსტანციიდან უნდა მოსულიყო.

სიფრთხილისკენ მისი მოწოდება უნაყოფო ნიადაგზე მოხვდა. ცნობა დატყვევებული ანგელოზის შესახებ ისეთი სისწრაფით გავრცელდა, რომ რამდენიმე საათის შემდეგ პატიო ბაზრის მოედანს დაემსგავსა და ჯარის გამოძახებამ მოუწიათ, რომ შაშხანებით დაეშალათ ბრბო, რომელსაც ყოველ წუთს შეეძლო სახლი

გადაეწყოთ. ელისენდას ზურგი ეტკინა დაუსრულებელი ნაგვის წმენდისგან და თავში შესანიშნავი აზრი მოუკიდა: პატიო შემოედობა და შემოსვლის საფასურად თითოეულისგან, ვისაც ანგელოზის დანახვა მოესურვებოდა, ხუთი სენტავო აეღო.

ხალხი მარტინიკიდნაც კი მოდიოდა. ერთხელ მოხეტიალე ცირკი ჩამოვიდა, მფრინავი აკრობატით, რომელმაც რამდენჯერმე გადაიურინა ბზულით ბრბოს თავზე, მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება, რადგან მას ღამურის ფრთები ჰქონდა და არა ანგელოზის. სასოწარკვეთილი სწეულები მთელი კარიბის სანაპიროდან მოემართებოდნენ განკურნების ძიებაში: უბედური ქალი, რომელიც ბაგშვობიდან ითვლიდა თავისი გულისცემას და უკვე თვლა არეოდა; ტანჯული იამაიკიდან, რომელიც ვერაფრით ახერხებდა დაძინებას, რადგან ვარსკვლავების ხმაური ტანჯავდა; მთვარეული, რომელიც ყოველ დამე დგებოდა, რომ დღისით გაკეთებული დაენგრია, და სხვა ნაკლებ საშიში დაავადებებით გათანგულნი. ამ ალიაქოთში, რომლისგანაც მიწა ზანზარებდა ხოლმე, პელაიო და ელისენდა კი გადაიქანცნენ, მაგრამ ბენიერებიც იყვნენ – თითქმის ერთ კვირაში ფულით გამოავსეს ლეიბები, მომლოცველების მწერივი კი, რომელიც ანგელოზის სანახავად თავის რიგს ელოდა, სულ უფრო იჭიმებოდა, ჰორიზონტის მიღმა ჩაკარგული.

ანგელოზი ყოველივე ამით სულაც არ ჩანდა კმაყიფილი. მისი სამყიფელის შესასვლელთან მომლოცველების მიერ დატოვებული სანთლების ჯოჯოხეთური სიმხურვალით სასოწარკვეთის პირას მისული იმითდა იყო დაკავებული, რომ საქათმეში ეძებდა ადგილს, სადაც ცოტა უფრო მყუდროდ მოთავსდებოდა. თავდაპირველად ქაფურის კრისტალებით ცდილობდნენ მის გამოკვებას, რომლებიც, თუ მეცნიერ მეზობელს დაუჯერებდით, ანგელოზების მთავარი საკვები ყოფილა. მაგრამ მათზე უარი თქვა, ისევე როგორც უარს ამბობდა მადის აღმმტელ საუზმებზე, მომლოცველები რომ ეზიდებოდნენ – არავინ იცოდა, იმის გამო, რომ მართლა ანგელოზი იყო, თუ უბრალოდ სიბერისგან. მხოლოდ ბადრიჯნის ხიზილალას მიირთმევდა. ჩანდა, რომ მისი ერთადერთი ზებუნებრივი თვისება მოთმინება გახლდათ, განსაკუთრებით პირველ დღეებში, როცა ქათმები უნისკარტებდნენ, მის ფრთებში ჩაბუდებულ პარაზიტებზე ნადირობისას, და

როცა ხეიბრები აგლეჯლნენ ბუმბულებს, რომ ჭრილობებზე მიედოთ, ნაკლებ ღვთისმოშიშნი კი ქვებს ესროლნენ, რათა წამომდგარიყო და მისი უკეთ შეთვალიერება შესძლებოდათ. მხოლოდ ერთადერთხელ გამოიყანეს წყობილებიდან, როცა ფერდზე გახურებული შანთი მიადგეს, რომლითაც ხბოებს დაღვდნენ – ისე დიდხანს ოწვა უძრავად, ხალხმა გადაწყვიტა შემოწმებინა, ხომ არ მოკვდა. საწყალი შეკრთა, წამოხტა, რაღაცას გაპყვიროდა თავის გაუგებარ ენაზე, ცრემლებით ავსებოდა თვალები, რამდენჯერმე შემოპკრა ფრთები და ქათმის სკინტლისა და მტკრის ბუღი დააყენა, და ეს მოულოდნელი სულის გამყინავი შემოტევა მიღმიერი სამყაროს სუნთქვას ჰგავდა. მართალია, ბევრმა ჩათვალა, რომ ეს ტკივილის ჩვეულებრივი რეაქცია იყო და არა სიბრაზის, ამ შემთხვევის შემდეგ მაინც ცდილობდნენ არ შეეშფოთებინათ, რადგან ყველა მიხვდა, რომ მისი სიმშვიდე ქარიშხლის სიმშვიდეს ჰგავდა და არა პენსიაზე გასული სერაფიმის პასიურობას. ტყვის ჭეშმარიტი ბუნების უმაღლესის მიერ ამოხსნის მოლოდინში პალრე გონსაგა ამაოდ ცდილობდა თავისი ქარაფშუტა სამწესოს გონში ჩაგდებას. მაგრამ ჩანდა, რომში აზრზეც არ იყვნენ, თუ რას ნიშნავს სიჩქარე. ღრო იმაში გადიოდა, რომ დაედგინათ, ჰქონდა თუ არა უცხოს ჭიპი, აღმოჩნდა თუ არა მის ენაში რაიმე მსგავსი არამუჯლისა, რამდენი მისნარი შეიძლებოდა მოთავსებულიყო ქინძისთავზე და ხომ არ იყო ის უბრალოდ ფრთიანი ნორვეგიელი. ბრტყელ-ბრტყელ წერილებს ალბათ დასასრული არ ექნებოდა, აქეთ და იქით, იქით და აქეთ, საუკუნის აღსასრულამდე, ერთხელაც ბედისწერას რომ არ მოელო ბოლო მდვდლის ტანჯვისთვის.

ისე მოხდა, რომ იმ დღეებში კარიბის სანაპიროზე მოხეტიალე მორიგი ატრაქციინი ჩამოვიდა. ნაღვლიანი სანახაობა იყო – ქალი, რომელიც ობობად გადაქცეულიყო იმის გამო, რომ ერთხელ შშობლებს არ დაუჯერა. ქალი-ობობას ნახვა უფრო იაფი ღირდა, ვიდრე ანგელოზის, გარდა ამისა, ნებადართული იყო მისთვის ნებისმიერი შეკითხვის დასმა მისი უჩვეულო გარეგნობის თაობაზე, მისი დათვალიერება წინიდან თუ უკნიდან, რათა არავის გასჩენდა ეჭვი აღსრულებული ღვთიური სასჯელის ჭეშმარიტებაში. ეს იყო ცხვრის ზომის ამაზრზენი ტარანტული, ნაღვლიანი ქალის თავით. ხალხი განცვიფრებაში მოდიოდა არა

იმდენად ამ ჯოჯოხეთის ბინადრის გარებრული იერის გამო, რამდენადც იძ მწუხარე გულწრფელობით, რომლითაც ქალი-ობობა თავისი უბედურების წვრილმანებს ჰყვებოდა. პატარა გოგონა ერთხელ ცეკვაზე გაქცეულა შშობლების ნების საწინააღმდეგოდ და როცა მოელი ლამის ცეკვის შემდეგ ტყის ბილიკით შინ ბრუნდებოდა, საზარელმა ქუხილმა ცა ორად გააპო, გახსნილ ნაპრალში დამაბრმავებელი მეხი გამოვარდა და გოგონა ობობად აქცია. მისი ერთადერთი საკვები გატარებული ხორცის ნაცეცები იყო, რასაც ხალხი ხანდახან პირში უყრიდა. მსგავს სასწაულს – მიწიერი სიმართლისა და ღვთიური სასჯელის განსახიერებას – ბუნებრივია, უნდა დაეჩრდილა ქედმაღალი ანგელოზი, რომელიც მზერის ღირსადაც კი არ აგდებდა უბრალო მოკვდავებს. გარდა ამისა, ის რამდენიმე სასწაული, რომელსაც ხალხის მონაჭორის თანახმად ანგელოზს მიაწერდნენ, მის გარკვეულ გონებრივ არასრულფასოგნებას უფრო ააშკარავებდა: უსინათლო მოხუცმა, რომელიც შორი მხარიდან მოსულიყო განსაკურნებლად, თვალის ჩინი ვერ დაიბრუნა, სამაგიეროდ სამი ახალი კბილი ამოუვიდა; დამბლადაცემული ფეხზე ვერ დადგა, მაგრამ კინაღამ ლატარია მოიგო; კეთროვანს კა წყლულებიდნ მზესუმზირები ამოეზარდა. ეს ყველაფერი დაცინვას უფრო ჰგავდა, ვიდრე წმინდა საქმეებს და საფუძვლიანად შეარყია ანგელოზის რეპუტაცია, ქალმა-ობობამ კი თავისი გამოჩენით საერთოდაც გადაუსვა ხაზი. სწორედ მაშინ საბოლოოდ დაემშვიდობა პადრე გონსაგა მტანჯველ უძილობას და პელაიოს პატიოც ისევ გაპარტახდა, როგორც მაშინ, როცა სამი დღე ზედიზედ გადაულებლად წვიმდა და კიბორჩხალები ოთახებში დასეირნობდნენ.

სახლის პატრონები ბედს არ ემდუროდნენ. შეგროვილი უულით დიდი ორსართულიანი სახლი ააშენს, აიგნითა და ბაღით, მაღალ ფეხებზე შემდგარი, რომ ზამთარში კიბორჩხალებს არ შეეწუხებინათ, და ფანჯრებზე გისოსებით, რომ ანგელოზები არ შეფრენილიყვნენ. ქალაქთან ახლოს პელაიომ კურდღლის საშენი მოაწყო და საბოლოოდ თქვა უარი აღვასილის (3) თანამდებობაზე, ელისენდამ კი გალაქტელი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი იყიდა და ბევრი აბრეშუმის კაბა, რომელიც მზეზე ფერს იცვლიდა და როგორიც იმ დროს კვირაობით

მესაზე ყველაზე წარჩინებულ სენიორებს ეცვათ. საქათმე ერთადერთი ადგილი იყო, რომელსაც პატრონები ყურადღებას არ აქცევდნენ. თუ ხანდახან მაინც რეცხავდნენ ან შიგნით ნაგავს წვავდნენ, ეს სულაც არ აეთლებოდა ანგელოზის სახეიროდ, არამედ რამენაირად რომ შებრძოლებოდნენ იქიდან გამომავალ სიმყრალეს, რომელიც ახალი სახლის ყველა კუთხეში ავი სულივით იჭრებოდა.

თავდაპირველად, როცა ბავშვმა ფეხი აიდგა, აკვირდებოდნენ, რომ საქათმესთან მეტისმეტად ახლოს არ მისულიყო. მაგრამ თანდათანობით მიერჩივნენ ამ სუნს და ყველა შიშმა გაუარათ. ასე რომ, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ბაგშვი სარძევე კბილებს გამოიცვლიდა, დაბრკოლების გარეშე დაიწყო საქათმეში შემრომა მავთულის ბადის სხვადასხვა ნახვრუტიდან. ანგელოზი მასთანაც ისეთივე უუმური იყო, როგორც სხვა მოკვდავებთან, მაგრამ ძაღლური მორჩილებით იტანდა მის ყველა სასტიკ ბავშვურ საქციელს. ჩუტყვავილა მათ ერთად მოიხადეს. ექიმმა, რომელიც ბავშვს მკურნალობდა, ვერ გაუძლო ცდუნებას და ანგელოზიც გასინჯა. აღმოაჩინა, რომ მას ძალიან სუსტი გული ჰქონდა და თირკმელებიც არაფრად უვარვოდა – საოცარია, აქმდე კი როგორ იყო ცოცხალი. თუმცა ექიმი ყველაზე მეტად მისი ფრთხის აგებულებამ გააოგნა. ისინი ისე ბუნებრივად აღიქმებოდა ამ აბსოლუტურად ადამიანურ ორგანიზმში, რომ გამოცანად რჩებოდა, სხვა ადამიანებსაც რატომ არ ჰქონდათ ასეთივე ფრთხი.

იმ დროისთვის, როცა ბიჭუნა სკოლაში წავიდა, მზესა და წვიმას საბოლოოდ დაენგრია საქათმე. გათავისუფლებული ანგელოზი წინ და უკან დაბორიალობდა, დაუძლურებული მოგარეულივით. საძინებლიდან ცოცხით მის გამევებას ვერ ასწრებდნენ, რომ უკვე სამზარეულოში ედებოდათ ფეხებში. თითქოს ერთდროულად შეეძლო რამდენიმე ადგილას ყოფნა. პატრონები ეჭვობდნენ კიდეც, რომ ის ორდებოდა, საკუთარ თავს იმეორებდა სახლის სხვადასხვა კუთხეში და სასოწარევთილი ელისენდა გაპყვიროდა, რომ ეს ნამდვილი წამება იყო – ანგელოზებით სავსე ამ ჯოჯოხეთში ცხოვრება. ანგელოზი ისე მოსუსტდა, რომ თითქმის ვეღარ ჭამდა. ჩამქრალი თვალებით ვეღარაფერს არჩევდა, ძლივს დაბარბაცებდა, საგნებს ეჯახებოდა; ფრთებზე რამდენიმე გაქუცული

ბუმბულიდა შემორჩენოდა. პელაიოს შეცვლა, საბანში გაახვია და ფარდულში წაიყვანა დასაძინებლად. მიაშინდა შენიშნეს, რომ ღამლამობით სიცხე ჰქონდა და ისე ბოდავდა, როგორც ის ბებერი ნორვეგიელი, ერთხელ აღგილობრივმა მეთევზეებმა ზღვის ნაპირას რომ აიყვანეს. პელაიო და ელისენდა გვარიანად შეშფოთდნენ – ბრძენ მეზობელსაც კი არ შეეძლო მათვის ეთქვა, რა უნდა ექნათ მკვდარი ანგელოზისთვის.

მაგრამ ანგელოზი სულაც არ ფიქრობდა სიკვდილს: ეს ყველაზე მძიმე ზამთარიც გადაიტანა და მზის პირველივე სხივთან ერთად მომჯობინდა. რამდენიმე დღე უძრავად იჯდა პატიოში, უცხო თვალთაგან მოფარებული, მერე კი მისი თვალები ისევ გაღიავდა, უწინდელი შუშის გამჭვირვალობა შეიძინა. ფრთებზე დიდი მკვრივი ბუმბულები წამოეზარდა – ბებერი ფრინველის, რომელიც თითქოს ახალი საფარველით იძოს ბორი. თვითონ ანგელოზმა, ჩანს, ყველა ამ ცვლილების მიზეზი იცოდა, მაგრამ უცხოთაგან გულდაგულ მალავდა. ხანდახან, როცა ფიქრობდა, რომ მისი არავის ესმოდა,

ვარსკვლავების ქვეშ ჩუმად ღიღინებდა ზღვაოსანთა სიმღერებს.

ერთ დიღას ელისენდა ხახვს ჭრიდა სადილისთვის. უცებ სამზარეულოში ზღვიდან მობერილი ქარი შემოიჭრა. ქალმა ფანჯარაში გაისხდა და დედამიწაზე ანგელოზის უკანასკნელ წუთებს შეესწრო. უხერხულად, მოუქნებლად ემზადებოდა ასაფრენად: მოუხერხებელი ნახტომებით გადაადგილდებოდა, თავისი ბასრი ფრჩხილებით მთელი ბოსტანი გადახნა და მზეზე მქრქალად მოელვარე ფრთების ცემით კინაღამ სულ გათელა ამობიძინებული მცენარეები. ბოლოს და ბოლოს შეძლო სიმაღლის აკრეფა. ელისენდამ შვებით ამოისუნთქა, თავის გამოც და მის გამოც, როცა დაინახა, როგორ გადაუფრინა დასახლების უკანასკნელ სახლებს, თავისი უშველებელი, ბებერი შევარდნის ფრთების ქნევით. ელისენდამ ბოლომდე გააცილა მზერით, სანამ ხახვის ჭრა არ დასრულა და სანამ ანგელოზი სულ არ მოეფარა თვალს, და ის უკვე დაბრკოლება კი არ იყო მის ცხოვრებაში, არამედ უბრალო წარმოსახვითი წერტილი ზღვის ჰორიზონტზე.

ესპანურიდან თარგმნა ლელა ზურებიანმა

¹ პატიო – საცხოვრებელი სახლის ღია შიდა ეზო, სხვადასხვა მხრიდან კედლებით შემოფარგლული;

² ალკალი – ესპანეთში, პორტუგალიაში, ან ლათინური ამერიკის ქვეყნებში მერი ან მთავარი მოსამართლე;

³ ალგვასილი – (ესპ. alguacil – ჩინოსანი, ვეზიირი) ესპანეთში უმცროსი თანამდებობის პირი, რომელიც სასამართლოსა და ტრიბუნალის ბრძანებების შესრულებაზეა პასუხისმგებელი, კანონის შესაბამისად.

ნინო მჭედლიშვილი

პედაგოგი-ფილოლოგი, მთარგმნელი, პუბლიცისტი. თარგმნა თანამედროვე ქართველი პოეტების: თემურ ჩალაბაშვილის, ოთარ ურუშაძის, რომან ზუკავიშვილის, გაა პიპინაშვილისა და თინათინ მაჭავარიანის რჩეული ღვერები ქართულიდან გერმანულად, გერმანული ექსპრესიონისტების გოფრიდ ბენისა და მარია ლუიზა კაშნიცის ღვერები - გერმანულიდან ქართულად, ტარას შევჩენკოს ღვერები უკრაინულიდან ქართულად, ქართველ მეფე-პოეტთა რჩეული ღვერები, მათი შემოქმედებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა ქართულიდან გერმანულად და რუსულად, ფრანგი პოეტის პატრიკ ვილიამსონისა და კანადელი პოეტის უილ სირის რჩეული ღვერები - რუსულიდან გერმანულად.



ტ ა რ ა ს შ ე ვ ჩ ე ნ გ ო



ტარას შევჩენკოს (1814-1861) დაბადებიდან 200 წელი შესრულდა. გამოჩენილი უკრაინული პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მხატვარი, საზოგადო მოღვაწე და მოაზროვნე უნივერსალური ტალანტის, ინტერესების მქონე ადამიანი იყო. მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება უკრაინულ ხალხს მიუძღვნა. მთარგმნელი წლების განმავლობაში ცხოვრობდა უკრაინაში, იქვე მიიღო განათლება ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტში, რომლის დღეტორებად ადრე შევჩენკო იყო. ქალბატონი ნინო მჭედლიშვილის სურვილია, მიუძღვნას კლასიკოსის ქართველი თარგმანი მის საიუბილეო თარიღს, და, ამით პატივისცემა და სიყვარული გამოხატოს უკრაინული ხალხისადმი...

გადამღერება

სიტყვა „იგორის პოლკის შესახებ“, მოთქმა იაროსლავნასი

პუტივლში დილით ადრიანად...
ცორემლი სდის, იტანჯება იაროსლავნა,
მღერის და მოთქვამს საცოდავად,
გულიდან აფრქვევს დარღიანად:
„რატომ არ ვარ მე თოლია დაცალებული,
გავფრენილიყავ გუგულივით,
გამალებული,
ვიფრენდი დონზე გალადებული,
ფრთა მექნებოდა კაიალში დასველებული,
რომ თავადის სხეული გაციებული
არ მენახა მე ისრით განგმირული.
ახლა კი მოვპან მას ღრმა იარებს
და სისხლი გულიდან აღარ იარებს“.

ოხრავს და მოთქვამს იაროსლავნა,
მის ბაგეთაგან არ ისმის დაღლა,
აღვიძებს იგი ზარით დილას,
თავადის ცოლი, პუტივლში, ახლა:

„შენ, ჩემო ჩქარო, მალო, ბოროტო,
ფრთამსუბუქი, ჩემო ბატონო,
გაბრაზებული, ნეტავ, რად ხარო?
ფრთებს შემოჰკრავ და
დაპქრისარ, ქარო
მებრძოლებისთვის, ვიცი, არ დარობ,
მინდორ-ველად ჰქრი,
ისვრი ისრებს და...
ჰქლავ ჩემს ვაჟკაცებს, როგორ ავდარობ!
დაუფიქრებლად ესროლე,
სულაც არ დარდობ,
ისარი... თავადს... მომიკალ...
ამისთანა და... რა ხარო?!
ცოტაა შენთვის გემები და ზღვა?
არ გყოფნის ჰაერი, ზეცა და სხვა...
უბედურება მომიტანე, რად მინდა რამ?
და სიხარული მომტაცე...
სტეპში დაკარგე, გაატიალე.

დარდობს და ოხრავს,
მოთქვამს ადრიანად
ქალაქ პუტივლში, იაროსლავნა,
ეველება ფართო დნეპრს ჭაღარას,
— მომიკვდა თავადი —
ზარის შემოჰკარ ნაღარას.
წინაპართა მიწას დარაჯობ, მედინები,
ანგრევ კლდეებს და ამბობ არას,
ლირსეულო, ჩემო დნეპრო, წყლების
ხარ თავადი,
მომიტანე მე სიხარული, თუნდაც მცირედი,
რომ გავუშალო მე მას საწოლი
ცივი და ბნელი, რომ დაწვეს თავადი....
ჩემი ცრემლები ზღვას ვერ გაავსებს,
ავადი.“

და ტირის... მოთქვამს იაროსლავნა
პუტივლის კედელთან დილით,
ადრიანად,
მზე ამოგორდა, მზე წმინდა მთლიანად,
შეჰყურებს და ეველება, იაროსლავნა:
„მზეო, ჩემო უწმინდესო, მზეო!
მოუტანე ყველას ნათელი
და სიხარული
მოხვედი და მზეობ, მხოლოდ
ჩემი დარდის გაქარვება
ვერ შეძელი, მზეო.
ცეცხლოვანო ოქროს გვირგვინო,
ვერ გავიგე ან რად უნდა იგვირგვინო?
განა მოხვედი იმადლა
სტეპში ბალახი გადაწვა?
მინდვრად იგორის ამალა
მიწაზე უღმრთოდ გადაწვა.
მე კი დარდს კი არ მიქარვებ,
გინდა, რომ ჩემს დარდში ჩამწვა.
ასხივებ რისთვის? ან რისთვის იწვი?
მომიკვდა თავადი, მეც უნდა მოვკვდე,
ეს ნიშნავს აღსასრულს, მეც
ცეცხლში ვიწვი.

ლიკერიას

სახსოვრად — 5 აგვისტო, 1860 წ.

სტრელნა

ჩემო ძვირფასო მეგობარო
და სიყვარულო!
ჩვენ ჯვრის გარეშე ვის დავაჯერებთ,
ან მღვდლის გარეშე ვის დავარწმუნებთ.
თავისუფლებაწართმეული
მონა საწყალი —
— მონობაში ჩასძინებია,
როგორც ღორს ტალახში!
მხოლოდ ღმერთი და რწმენა
ჩვენი საწყავი.
ჩემო ძვირფასო მეგობარო
და სიყვარულო!
პირჯვარს ნუ იწერ, არ დაიფიცო,
არ ილოცო
არავისათვის, რადგან ამქვეყნად
ყველა ცრუობს,
ბიზანტიელი სავაოფი, ცრუა იგიცა,
მხოლოდ კი ღმერთი,
არ ცრუობს ერთი.
არც დაგსჯის, არც შეგიწყალებს
ის ერთადერთი,
ვართ თავისუფლებამოწყურებული ჩვენ,
კაცნი მისნი
და არა მონები სხვისი.
ჩემო ძვირფასო მეგობარო
და სიყვარულო!
თავისუფალი, თბილი ღიმილი
მაჩუქე, ჩემო,
თავისუფალი, ძლიერი ზელი გამომიწოდე,
რომ კარგო ჩემო,
გადავლახოთ ეს ტალახი,
ის მოგეცემს ძალას,
დაგვეხმარება დავასამაროთ
ეს მძიმე ტანჯვა,
ბოლო მოედოს წყნარ, მხიარულ
სამარეში ყველაფერ ამას.

ԾՐԻՆ ԵՎՇԱՅՈՎԸ

Ճռի յշտունոյ – 1984 წյալն քամտաշրա տօնունու օյանց չափանիշներուն և սեղլունու և սեղլմիտու շնորհընությունու առմունազլութեալունուն յայշլությունու; 1986 წյալն – տօնունու օլուս քաշքազածու և սեղլունու շընեա յետա և սեղլմիտու օնսէթությունու և սինյուռնուլու տարգմենու շմալուցն յշտունո.

1985-98 წյալն օպու և յայտաշըլուն մշբնոյրեածատա այսդժուն արկուռոցուրու քալուցն ընդուրու տանամենումյունու... և նվազլունու առմունազլու և յայտաշըլուն յինսերունուն յաշրւյելունուն օնսէթունու... 1994 წյալն արագլությունու ժշմարնա դասիցու և յայտաշըլուն մշբնոյրեածատա այսդժուն մուտա րշտաշըլուն և սեղլունուն յարտույլու լությունությունու օնսէթությունու...



ամյամած արուն ամաց օնսէթությունու շյուրուն մշբնոյր-տանամենումյունու.

1999 წյալն դաւցա և յանանդուրա գրությունու լուսերությունու տյմանց – „Ռմուճա գրություն գանձանալությունուն ընտառյանուն“ յետու արածուլու շընեա և յինսերունուն յարտաշըլուն մոյշյուցուն և յայտենու; 2006 წյալն – և աջոյթյուրու լուսերությունու տյմանց – „որզանց և անանունուն ամառ լույսությունուն մարտվուրուն“ (ըշտունմշյուցյունությունու անալունու)“:

Ժյուլու յարտույլու միշտլունուն, և յայտաշըլուն օնսէթունուն, տյուլուցուն և և ներա և յայտենունց յամույշյան դասելությունու 200 նամերուն.

Գրմանյունու, րշտաշըլուն, արածուլու յերծուան տարշման ամենուն ամենուն, ալլայիանդուն աշխամինուն լոյմանուն, թյա և յայտաշըլուն արածուլու և անսերուն մշբնոյր-լությունու և և ներա...

ալլայիանդուն աշխամինուն

Александр Пушкин

Քամտրուն և աղամուն

յարութեալու նշան ծյուրավն,
տուզուն ծյուն ագրուալցն;
և ան ծազմուատ ագրություն,
և ան մեցուատ լուսալցն,

և ան մորոյեալու և եզենի շընագ
հալաւ աամայրցն,
և ան ցուան մծացրուն դարաւ
և արկմելու մույսայնեցն.

արուն իցեն ժայռու յունու
ծեղլու, և յազուու և յացեց,
իցմու յարցու մոեցու, ըագ
մոյսուիցու և արյմելու?

յարութեալուն մեշուուն և յանց
դայնայլու մուն,
տուուսերուն իցբար նշանի նշան
և ուն ար մոցեմոնա?

Մյացեատ, լույսուլու մշբնուարու
ծեղլու և յակածուցն,
իցյա և ան յայցն, մոցաթուուն,
ոյնցն, և յազու յայլուն.

ЗИМНИЙ ВЕЧЕР

Буря мглою небо кроет,
Вихри снежные крутя;
То, как зверь, она завоет,
То заплачет, как дитя,
То по кровле обветшалой
Вдруг соломой зашумит,
То, как путник запоздалый,
К нам в окошко застучит.

Наша ветхая лачужка
И печальна, и темна.
Что же ты, моя старушка,
Приумолкла у окна?
Или бури завываньем
Ты, мой друг, утомлена,
Или дремлешь под жужжаньем
Своего веретена?

Выпьем, добрая подружка
Бедной юности моей,
Выпьем с горя; где же кружка?
Сердцу будет веселей.

გთხოვ, მიმღერო კვლავ იმ ჩიტზე,
ზღვის მიღმა რომ ცხოვრობს,*
და – ქალწულზე, წყაროს წყლისკენ
დილით მიდის როგორ. * *

ქარიშხალი ზეცას ბურავს,
თოვლის ბუქს ატრიალებს;
ხან ბავშვივით ატირდება,
ხან მხეცივით ღრიალებს.

შევსვათ, ტკბილო მეგობარო
მნელი სიჭაბუკის,
ჭიქა სად გაქვს, მიგვატოვოს,
იქნებ, სევდამ გულის.

ზამთრის გზა

1825

გადატალლულ ნისლებს წყნარად
მკრთალი მთგარე მისდევს.
ბაც შუქს აფენს სევდიანად
სევდით მოსილ მინდვრებს.

ზამთრის გზაზე, ნაღვლიანზე,
სწრაფად მიდის მარხილი.
ერთფეროვან, გამბულ ხმაზე
ისმის ეუვნის ძახილი.

აქვს რაღაცა მშობლიური
მემარხილის მღერას,
ხან ხმა მესმის მხიარული,
ხან კვრძნობ გულის სევდას...

არც ცეცხლი, არც ბნელი ქოხი,
მხოლოდ – თოვლი... ჩნდება
ზოგან ზოლიანი ძელი,
სხვა არავინ მხვდება...

ვნაღვლობ, ვდარდობ... ხვალე, ნინა,
დავბრუნდები, კარგო, ხვალ,
ჩავფიქრდები ბუხრის წინ და
ვდარააფრით მოგწყვეტ თვალს.

და საათიც ჩამორეკავს,
შემძივლის თავის წრეს,
ღამე მარტო დაგვტოვებს და
ვერ გაგვიყრის ვერვინ გზებს.

ვნაღვლობ, ნინა: ვარ გრძელ გზაზე,
მემარხილეს სძინავს,
ეუვნი უღერს გაბმულ ხმაზე,
მთვარეს ნისლი ბინდავს.

1826

თარგმნა გოჩა კუჭუხიძემ

Спой мне песню, как синица
Тихо за морем жила;
Спой мне песню, как девица
За водой поутру шла.

Буря мглою небо кроет,
Вихри снежные крутя;
То, как зверь, она завоет,
То заплачет, как дитя.
Выпьем, добрая подружка
Бедной юности моей,
Выпьем с горя; где же кружка?
Сердцу будет веселей.

1825

ЗИМНЯЯ ДОРОГА

Сквозь волнистые туманы
Пробирается луна,
На печальные поляны
Льет печально свет она.

По дороге зимней, скучной
Тройка борзая бежит,
Колокольчик однозвучный
Утомительно гремит.

Что-то слышится родное
В долгих песнях ямщика:
То разгулье удалое,
То сердечная тоска...

Ни огня, ни черной хаты,
Глушь и снег... На встречу мне
Только версты полосаты
Попадаются одне...

Скучно, грустно... завтра, Нина,
Завтра к милой возвратясь,
Я забудусь у камина,
Загляжусь не наглядясь.

Звучно стрелка часовая
Мерный круг свой совершил,
И, докучных удаляя,
Полночь нас не разлучит.

Грустно, Нина: путь мой скучен,
Дремля смолкнул мой ямщик,
Колокольчик однозвучен,
Отуманен лунный лик.

1826

* იგულისხმება ხალხური სახუმარო სიმღერა – „За морем синичка не пышно жила” (მთარგმნელის შენიშვნა)

* * ამ შემთხვევაშიც ხალხური სახუმარო სიმღერა იგულისხმება – „По улице мостовой [...] шла девица за водой, за холодной ключевой” ...



უშანბ სახითხუსიშვილი

მთარგმნელი ყველასთან მართალი უნდა იყოს

გამიგონია, წამკითხავს კიდეც, რომ პოეზიის მთარგმნელი მეტოქეა ავტორისა, პროზის მთარგმნელი კი — მონაო. მაგრამ არა მონია, ეს შეფასება სწორი იყოს. ეტყობა, ამთა იმის თქმა უნდათ, რომ ლექსის მთარგმნელი უფრო თავისუფალია, უფრო იოლლად შეუძლია ფანტაზია გამსლოს, ერთგვარად გაეპაქრის კიდევაც ავტორს. პროზის მთარგმნელი კი უფრო შებოჭილია, მორჩილად მისდევს დედანს, უფლება არა აქვს, ტექსტს ოდნავადც კი გადაუხვიოს.

არ ვიცი, ქართულ სინამდვილეში საიდან, ან რატომ გაჩნდა ასეთი განსხვავებული შეფასება პოეტური და პროზაული ნაწარმოების მთარგმნელებზე. ქართულ ენაში ორივე საქმიანობის შემსრულებელთათვის მხოლოდ ერთი სიტყვა-ტერმინი გვაქვს: „მთარგმნელი“, ე.ი. მთარგმნელია ყველა, ვისაც ერთ ენაზე შექმნილი მხატვრული ნააზრევი მეორე ენაზე გადაქვს. ზოგიერთ ენაში, მაგალითად, ლატვიურში, ამ სიტყვა-ცნების გმოსახატავად ორი სხვადასხვა ტერმინი არსებობს. პოეტური ნაწარმოების გადამდებს „ატძეიურტაის“ ეწოდება, პროზაული ნაწარმოებისას კი — „ტულკუოტაის“. „ძეია“ პოეზიაა, „ძეიულის“ — ლექსი. „ატძეიურტაის“ პირდაპირ რომ ვთარგმნოთ, „გადმომლექსებელია“, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სიტყვატერმინს ლატვიურშიც „ტულკუოტაის“ — უფრო საერთო მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, როცა ამბობენ, „ტულკუტაიუ სემინარს“ /მთარგმნელთა სემინარი/ ან „ტულკუოტაიუ სექცია“ მთარგმნელთა სექცია/, მონაწილეებში პროზის მთარგმნელებიც იგულისხმებიან და პოეზიისაც.

კიდევ ვიმეორებ, არ მიმაჩნია მართებულ შეფასებად, როცა პოეტური ნაწარმოების / ვთქათ ლექსის/ გადმომღებს /მთარგმნელს/ ავტორის მეტოქედ მიიჩნევენ, პროზაული ნაწარმოების /მოთხოვთ/ მთარგმნელს კი — მონას.

ჩემი ღრმა რწმენით და გამოცდილებითაც პროზაული ნაწარმოების მთარგმნელი იქნება თუ პოეტურისა, იგი მონაც უნდა იყოს და მეტოქეც. მონა თავისი ენისა

და იმ ენისა, საიდანაც თარგმნის. სიტყვა „მეტოქე“ ცოტა გამაღიზანებლად უდერს. არ ვიცი, რომელი მთარგმნელი მიიჩნევს თავს მეტოქედ, ან ვის, რა დონის ავტორს ეტოქება, ესეც საკითხავია.

მეტოქე კი არა, ჩემი აზრით, მთარგმნელი /გადმომლექსებელიც!/ მართალი, პატიოსანი უნდა იყოს. მოწიწებით და პატივით უნდა ეპყრიბოდეს სათარგმნ ნაწარმოებს, მის ავტორს, ამგვარი დამოკიდებულებით კი — იმ ენას, საიდანაც თარგმნის და, რაღა თქმა უნდა, იმ ენასაც, რომელზეც თარგმნის; ანუ მთარგმნელმა, რაკი ამ საქმიანობას ხელი მოჰკიდა, ორივე ენა ზედმიწევნით უნდა იცოდეს. თუ მეტოქეობაა, ავტორს, ნაწარმოების შექმნელს, მთარგმნელი ენის ცოდნაში, თანაც ორივე ენის ცოდნაში უნუდა გაეჯიბროს და აჯობოს კიდეც!

ცნობილია, ადამიანს სულ რაღაც ოთხასი-ხუთასი სიტყვა სჭირდება / რა თქმა უნდა, აქ გრამატიკის ცოდნაც იგულისხმება/, ნებისმიერ ენაზე რომ ილაპარაკოს. მწერალს, ცხადია, ხუთასი სიტყვა კი არა, ათასობით სიტყვაც არ ეყოფა ნაწარმოების დასაწერად. მთარგმნელმა კი, მე თუ დამიჯერებთ, გაცილებით მეტი სიტყვა უნდა იცოდეს, თანაც ორივე ენაში, დენის ენაშიც და მშობლიურ ენაშიც.

შეიძლება ზუსტად ვერ გამოვხატე სათქმელი. ვეცდები ავხსნა. როცა ავტორი ქმნის ნაწარმოებს, „აშენებს ახალ შენობას“, ყველგან ექცეს, არჩევს მასალას, საუკეთესო, მყარ მასალას, რომლითაც ეს შენობა უნდა ააგოს, არ მოწონება რომელიმე საყრდენი? მის ნაცვლად ახალს შეუდგამს. ესეც დააჭვებს, სხვას დაუწევს ძებნას. ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს, სად და როგორ დაძებნა ის მასალა, რომლითაც „მშვენიერი შენობა“ ააგო.

ავტორმა ეს „შენობა“ თავისოთვის და თავისი ხალხისოთვის ააგო. ხალხს მოსწონს, ტკბება მისი მშვენიერებით, ყველაფერი ხიბლავს, ფასადიც და ინტერიერიც. და კიდევ ათასი რამ, რაც მისი სულის სიმებს ნაზად ათრთოლებს, გულ-ღვიძლს ძრავს, ძარღვებში ჩქარი ნაკადულივით ახმაურებს სისხლს.

აი, ასეთი „შენობა“ იხილა მთარგმნელმა და სურვილი გაუჩნდა, თავისი ხალხიც დაატებოს ამ „შენობის“ შშვენიერებით, გადაწყვიტა მისი გადმოტანა, ე.ი. თარგმნა თავის ენაზე. როგორ გადმოიტანოს? რა ქას, პირდაპირ გადმოტანა არ ხერხდება. რომც მოახერხოს, არაფერი გამოუვა, რადგან უცხო გარემოში ეს უცხო სხეული ვერ ჩაჯდება.

სწორედ ამ დროს უნდა გამოჩნდეს მთარგმნელ-მშენებლის ოსტატობა, მისი ცოდნა და გამოცდილება. მთარგმნელი უბრალო მშენებელი კი არა, მშენებელ-ინჟინერი უნდა იყოს. აქ უნდა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები, რომ ნაწილ-ნაწილ დაშალოს ეს „შენობა“ და ისე გადმოიტანოს. არაფერი არ უნდა დარჩეს შეუძირებელი, თითოეული დეტალი საგულდგულიდ უნდა გასინჯოს და აქური მასალა მიუსადაგოს. თუ ნამდვილად კარგი მშენებელ-ინჟინერია და მასალაც მიუსადაგა, „შენობა“ დიდებული გამოუვა.

ზემოთ მეტოქეობა ვახსენეთ. გამოგოთყდეთთ, რომ, როგორც მთარგმნელს, არასოდეს გამჩენია აზრი, მეტოქეობა გამეწია ავტორისათვის და არც მის მონად მიგრძნია თავი. რასაც ვთარგმნი, ვცდილობ, ყოველთვის პატიოსნად ვთარგმნო. შეცდომა არ გამეპაროს, ტყუილი არ ვთქვა და არ ვაზარალო დედანი /ავტორი, რა თქმა უნდა/ და არც თარგმნის მკითხველი. ავტორსაც უნდა გავუძართლო ნდობა და მკითხველსაც. მე ხომ მათი შეამავალი ვარ. ისინი უჩემოდ ვერ დაელაპარაკებიან ერთმანეთს და რაკი ეს მისია ვიკისრე, ამიტომაც პატიოსნად, კეთილსანდისიერად უნდა მოვიქცე.

მასენდება, მე და ჩემმა მეგობარმა / აწ განსვენებულმა ჯ. სილაგაძე/ პირველი ნაწარმოები რომ ვთარგმნეთ და რედაქციაში წარვადგინეთ, რაკი ლატვიური არავინ იცოდა, რუსული თარგმანი მოგვთხოვთს. ჩვენ ისიც არ ვიცოდით, ის რომანი რუსულადაც თუ იყო თარგმნილი. თუმცა ყოფილა. ვიშოვეთ, ლატვიიდან გამოგვიგზავნეს. წაიკითხეს, შეადარეს და თარგმანი დაგვიწუნეს. ჩვენი თარგმანი რუსულისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა. აცხონოს ღმერთიმა დიდებული ქართველი, მწერალი ნიკა აგიაშვილი, რომელიც შესანიშნავი მთარგმნელი ბრძანდებოდა. იმან გვიხსნა: – „რას ერჩით ამ ყმაწვილებს, შესანიშნავად უთარგმნიათ. ამათ ქართულს წუნს ვერ დასდებთ. რუსულს თუ არ მიესადაგება, ეს არც არის გასაკვირი. რა იცით, რომ იმ რუსმა ზედმიწევნით თარგმნა? რუსი მთარგმნელები რომ დედანს არაფრად დაგიდევენ, ეს ცნობილი ფაქტია“.

ბატონი ნიკას ნათქვამი სულ მალე დადასტურდა რიგაში, ერთ-ერთ სემინარზე ის მთარგმნელიც გავიცანით, რომელსაც,

როგორც იტყვიან, ინჩიბიჩი არ გაეგებოდა ლატვიურისა.

კიდევ ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო. 1985 წელს ლატვიელებმა დიდი იუბილე – 150-ე წლისთავი – გადაუხადეს გამოჩენილ მწერალს, „დაინების მაძას“ – კრიშიან ბარონს. იუბილეზე მე და რენე კალანდია ვიყავით მიწვეულები. ერთ-ერთმა მომზესენებელმა, რომუალდ დობროვენსკიმ, თავისი მოსხენება ასე დაიწყო: „ამბობენ, ქართული პოეზია ძლიერიაო, მაგრამ მე მასში ვერავითარ სიძლიერეს ვერ ვხედავ“. ამის თქმა იყო და რენე კალანდია ფეხზე წამოხტა, მკაცრად შეუტია მომზესენებელს, თქვენ რა გესმით ქართული პოეზიისა, ანდა რა უფლებით ლაპარაკობთო. დარბაზი აჩოქოლდა. უხერხული მდგომერეობა შეიქმნა. შორი-შორს ვისხედით და ამიტომ ვერ მოვახერხე რენეს დაწყნარება. თუმცა ლატვიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ლვოტისნიერმა გუნარ პრიედე ეს ადვილად შეძლო. რენესთან გადაჯდა და დამშვიდა. ჩემს გვერდით ლატვიელი პოეტი დაინა ავუოტიანია იჯდა და იმას მივმართე: – „ქალბატონო დაინა, შეძლება ბატონი რენე არაკორექტულად მოიქცა, მაგრამ მეც, როგორც ქართველი, საშინლად გამაღიზანა მომზესენებლის სიტყვებმა“. ქალბატონმა დაინამ დამამშვიდა: „ეგ მოხსენება წაკითხული მაქსის, იქ ქართული პოეზიის საწინააღმდეგო არაფერი წერია, აი, მოვისმინოთ და თავად დარწმუნდებით.“

და, მართლაც, როცა დობროვენსკიმ სიტყვა გააგრძელა, ამაში მაღვევე დავრწმუნდი: „ასე ვფიქრობდი ლატვიურ პოეზიაზეც, მაგრამ როცა ლატვიური ენა შევისწავლე და ლატვიური პოეზია დედანში წავიკითხე, ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ლატვიელებს დიდებული პოეზია პქონიათ. ალბათ, ასეთივე დიდებულია ქართული პოეზიაც. ამიტომ, ბატონებო, სანამ თარგმანს მოჰკიდებდეთ ხელს, მანამ ენა ისწავლეთ! ეს ყველას გეხებათ, დიდსაც და პატარასაც!“

რა თქმა უნდა, ცამდე მართალი იყო დობროვენსკი. მთარგმნელთა შორის ორი მესამედი რუსი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ლატვიური ენა არც ერთმა არ იცოდა!

რამდენმა რუსმა მთარგმნელმა იცის ქართული ენა? ვერ გეტყვით, მაგრამ საერთოდ რომ არ იციან, ეს რუსულად ამტეტყველებულ ქართულ პოეზიას აშკარად ეტყობა. ახლა წარმოიდგინეთ, ამ რუსული თარგმანის თარგმანი რა დონისა იქნება. თუმცა რუს მთარგმნელებს გალაკტიონ ტაბიძისა თუ გიორგი ლეონიძის მეტოქედ კი არა, თავი უფრო მაღლა უჭირავთ. ამის თქმას ჩვენთან ერიდებიან, სხვაგან აშკარად ამბობენ.

კიდევ ვიმეორებ, მთარგმნელი პატიოსნად უნდა ასრულებდეს იმ საქმეს, რასაც ხელი

მოჰკიდა. მან, პირველ რიგში, ენა ზედმიწევნით უნდა იცოდეს, ენა ორიგინალის და ის ენა /საკუთარი ენა!/ , რომელზეც თარგმნის ამ ორიგინალს. გარდა სალიტერატურო ენისა, მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს იმ ხალხის ისტორია, უნდა ერკვეოდეს იმ ენის დიალექტებში, რადგან, ხშირად ავტორის მიერ ნახმარი სიტყვა თუ სიტყვის ფორმა დიამეტრიულად ცვლის წინადაღების შინაარსს, სულ სხვა ელფერს აძლევს მას. მთარგმნელს უნდა შეეძლოს ასეთ სიტყვასა თუ ფორმას, თავის ენაშიც დაუტებნოს ზუსტი შესატყვისი. უნდა იცნობდეს იმ გეოგრაფიულ გარემოს, სადაც ნაწარმოების პერსონაჟები ცხოვრობენ, საქმიანობენ, ერთმანეთს ხვდებიან.

ნამდვილი მწერალი არცერთ სიტყვას არ ხმარობს შემთხვევით. ყველა სიტყვა თავის ადგილას აქვს ჩასმული და მისი ამოგდება თარგმანში, ანდა გამოტოვება, დიდი დანაშაულია.

მაგონდება ასეთი შემთხვევა. ალბერტ ბელის რომანს ვთარგმნიდი. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი რა აზრსაც დასაწყისში გამოთქვამდა, დასასრულში

იმავე აზრს დიამეტრიულად უარყოფდა. თუმცა საკითხი მოითხოვდა, რომ ის აზრი არ უნდა შეცვლილიყო. დიდხანს მაწვალა ამ ორმა ფრაზამ, ორმა ერთიმეორის გამომრიცხავმა წინადაღებამ. იძულებული გავხდი, ჭეშმარიტების დასადგენად ავტორს შევხვედროდა. შევხდი; ერთად წავიკითხეთ ის საეჭვო ადგილები, გავანალიზეთ და ჩემი დაეჭვება საფუძვლიანი აღმოჩნდა. ახლა წარმოიდგინეთ ავტორის გაოცება. დიდი მაღლობა გადამიხადა და იმავე დღეს ლამის მთელმა ლატვიამ შეიტყო, რომ მე ერთი სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად მანძილს არ დავერიდე და თვითმურინავით ჩავფრინდი რიგაში.

მაშინ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი სიტყვასათვის არ ჩავფრენილვარ რიგაში, მაგრამ ჩემთოვის, როგორც მთარგმნელისათვის, ასეთი შეფასება ყველაზე დიდი სტიმული იყო. ეს შეფასება ხომ მთარგმნელის პატიოსნებას, საქმის ერთგულებას უსვამდა ხაზს. მთარგმნელი კი ყოველთვის მართალი და პატიოსანი უნდა იყოს როგორც ავტორის ისე მკითხველის წინაშე.

მთავარიც მხოლოდ ეს არის!



თამაზ შაიშევაცვიცი



* * *

ყაყაჩოს კაბა მაცვია,
გულზე მკიდია ლოდები...
წავალ და სამოთხის კართან
წყაროზე დაგელოდები!...

ქორწინა

გვირილა

ამომასუნთქე ჩემო გვირილავ...
გადამიყარე ზამთრის ქარები,
ვიდრე სიცოცხლის ნათელ-ბინდიან
სამოსახლოდან გავიპარები...

ვიდრე თვალებში სერაფიმების
ფრენაგალობით ამიბრწყინდები
და სასუფევლად მოგიფონებენ
სიჩუმის შავი მარგალიტები...

იმ გაზაფხულშიც, გზად ლამაზ ბედად
შენი ცრემლებით დავიფარები...
და სიყვარულის ზანზალაკებად
ამლერდებიან ჩემი თვალები...

ამომასუნთქე ჩემო გვირილავ...
გადამიყარე ზამთრის ქარები...

ნინო ჩხეილაშვილი

ფიქრები ნოდარ მამაცაშვილის წიგნზე...

ციკლიდან: „წერილები ჩემს
ემიგრანტ ვაჟს“

ჩემთვის შვილო, მოგიყითხავ სიყვარულით
და გიგზავნი ერთ საინტერესო წიგნს –
„ნაწვიმარი მოგონება“, მისი ავტორია
ნაოდარ მამაცაშვილი. მწერალი, რომელიც
მეტისმეტად სწობურ საზოგადოებაში
რომ არ ვცხოვრობდეთ, გაცილებით
პოპულარული იქნებოდა... ვიდრე არის!
კარგი ბელეტრისტია, ფლობს სიტყვას და
რაც ასე მთავარია, იცის, სად და როდის
დასვას წერტილი; ჰო, ნუ გეცინება. ახლა
ისეთი ქაოსია ჩვენთან მწერლობაში (და
არა მხოლოდ მწერლობაში), ყველა ისე
წერს, როგორც მოებრიანება და... როგორც
ეს „ახალ მოდას შეჰვერის“... ეგრეთ
წოდებულ პოსმოდენისტულ მოდას; რას
იზამ, ეტყობა, ეს ის სახადია, რომელიც,
ბევრმა უნდა მოიხადოს..

თუმცა, ამაზე სხვა დროს, ახლა მინდა
ამ წიგნზე გესუბრო:

კრებულში შეტანილ მოთხრობათაგან
ერთ-ერთი ისაა, რომელმაც თავის დროზე,
რევაზ ინანიშვილის პრემია დაიმსახურა
და მინდა სწორედ ამ მოთხრობასა და ამ
კონკურსზე გესაუბრო:

შურნალ „ანეულთან“ არსებული ეს
კონკურსი აგერ უკვე მეზუთე წელიწადია
ტარდება და მის ობიექტურობასა და
აქტუალობაში წლიდან-წლამდე უფრო
მეტად ვრწმუნდებით;

თუმცა ახლა ამ მოთხრობებზე მინდა
გესაუბრო: ორი მოთხრობაა. პირველმა
„ძალაუფლების მომზიდველობის კანონმა“,
მეორე პრემია დაიმსახურა, მომდევნო
წელიწადს კი მოთხრობა – „წითელი
მოხელის ვნებანი“ უიურის სპეციალური
პრიზით დაჯილდოვდა. იცი, არ მიყვარს,
საერთოდ, პრემირებულ ნაწარმობებზე
ყურადღების გამახვილება, თუმცა, მინდა,
ვთქვა, რომ ეს შემთხვევა ტიპური არ
არის;

ნინო ჩხეილაშვილი



ორივე მოთხრობა ჩვენი ყოფის
ანარეკლია, კიდევ ერთი გაფრთხილება.
გაფრთხილება იმაზედ, რომ ჩვენი თავი
(ჩვენი ქვეყნა) ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს
და რომ წარსულის შეცდომებზე უნდა
მოვახერხოთ, უკეთესი მომავლის შექმნა
და... შევქმნიდით კიდეც, ბედოვლათების
ქვეყანაში რომ არ ვცხოვროვდეთ...

მოთხრობის – „ძალაუფლების
მიმზიდველობის კანონის“ პირველი
ქვეთავიც ასეა დასათაურებული: აქა ამბავი
ბედოვლების ქვეყნისა. ეს ბედოვლეთი,
საკამათო არაა, საქართველოა!..

ვიცი, ეს მხატვრული ტექსტი
რაღაცით შენი ბავშვობის საყვარელ
წიგნს – არჩილ სულაკაურის „სალამურას
თავგადასავალს“ მოგაგონებს, ეს გავლენა
აშკარაა, თუმცა მწერალი მანც ახერხებს
ეს „დაგროვილი გამოცდილება“ საკუთარ
შემოქმედებით ლაბორატორიაში გადაადნოს
და ინდივიდუალურობა შესძინოს,
იმდენად სახიერად დახატოს მოთხრობის
პერსონაჟები;

რაკი მწერლის შემოქმედებითი
ლაბორატორია ვახსენე, მინდა აქვე გითხრა,
რომ ავტორი საკუთარ შემოქმედებით
მეთოდებზე საუბარს არ გაურბის. პირიქით,
ცდილობს ახსნას ის, რაც მისთვის ასეთი
დამახასიათებელია: ყურადღებით წაიკითხე
„ერთი მოთხრობის პროექტი“ და მიხვდები,
თუ როგორ მუშაობს მწერალი, როგორ
გამოკვეთს მთავარ სათქმელს და როგორ
უპირისპირდება იმგვარ მწერლობას, ახლა
რომ გასავალი აქვს და რაც წერილის
დასაწყისში ვახსენე:

„ჰო, მოთხრობა ძველმოდური უნდა იყოს, ე.ი. ბუნდოვანუცნაურად უნდა წერო. ეპიზოდები არამცდაარამც თანამიმდევრულად არ შეიძლება დაალაგო (გოიმობაა). სიუჟეტიც მკვეთრი არ გვინდა, უხერხულია, რას იტყვიან (მეცხრამეტე საუკუნეა?). ხასიათები გაორებული, ექსცენტრული.“ და ასე, ახლა ამ ციტატას ბოლომდე არ დავასრულებ, რადგან ამ მოთხრობების კითხვის ქენ გიბიძო და კიდევ ერთხელ შეგახსენო ის, რაც ალბათ არ იცი: რაკი, აქ, საქართველოში წერის, მხატვრული ტექსტის შექმნის „ახლებური მოდა“ მკვიდრდება და კლასიკური სტილი თანდათან ფერმკრთალდება;

აი, ასე, ჩემი კარგო... მგონი „ვიმზადებით“ ევროპაში შესასვლელად და საამისოდ ვივიწყებთ იმას, რაც მოთავრია, რაზედაც დგას კლასიკური ლიტერატურა.. ჰო, ნუ გელიმება შენებურად, ორონიულად, აქ, ჩვენში ევროპელობა ზუსტად ისევე ესმით, როგორც მანდ ქართველების მთავარი სატკივარი... მაგრამ, მგონი, გადამთიელთ კი არა, შენც აღარ გტკივა შენი ქვეყანა; აღარა გტკივა, რადგან, აღარ გიყვარს ის, რაც ქართულია!..

ნოდარ მამაცაშვილის ეს წიგნი კი ამ ტკივილსა და სიყვარულზე გიამბობს;

...

და ახლა ისევ დაწყებულ სათქმელს დავასრულებ: მეორე მოთხრობაც ხომ ვახსენე – „წითელი მოხელის ვნებანი“ და ამ უცნაურ კაცზე მინდა რომ მოგიყვე: ეს კაცი გაგანია კომუნისტური რეჟიმის

დროს ერთი ფუნქციონერი იყო, მაგრამ... უცნაურ სიზმარს ხედავდა: როგორი იყო ეს უცნაური სიზმარი იცი?... არ იცი! არ იცი... რადგან მსგავსი სიზმარი შენ არასოდეს გეზმანება, ერთი უბრალო მიზეზის გამო – დამოუკიდებელ საქართველოში დაბადე (ზუსტად, 1992 წლის 22 იანვარს, პუტინის თვის სწორს, როცა დავგარეთ ასე ნანინანატრი დამოუკიდებლობა), მაგრამ ვერ შეიტკე თავისუფლება, რადგან ერად და სახელმწიფოდ ვერაფრით ვერ ჩამოვყალიბდით და მაინც რატომ?

გივიქრია ამაზე?

და თუ არა... მაშინ მოახერხე. ამ წიგნთან ერთად მოგიწევს ამაზე დაფიქრება, რადგან აქ მხოლოდ ჩემთვის ასე ახლობელ წარსულს კი არა, შენთვისაც ახლობელ პრობლემებს წაწყდები, რადგან ამ წიგნში შენი თანატოლები ცხოვრობენ...

იქნება... ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, ინტერესით წაიკითხავ, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესით მინდა წაიკითხო კიდევ ერთი ვრცელი მოთხრობა: „პადრე ლორენცოს „საიდუმლო მისია“, რაც ასე მაგონებს დღევანდელ ყოფას და თუ ჩვენი დღევანდელი ყოფა (რეალობა) ხშირად უგუნძბობას მგვრის, ეს მოთხრობა იმედის ნაპერწკალს შობს და სულიერ მხერის მანიქებს...“

ჩვენ არ გადავგვარდებით... (ისე დავრჩებით ქართველებად)!


შენ, შენ კი... რომ გგონია, მხოლოდ შენ გესმის ეს როკი და შენ და შენმა თაობამ ჩაკიდა ხელი დედამიწის ჭიპს... არც ასეა საქმე!

და იცი რა?.. „ახლაც მაქს ერთი საიდუმლო რიტუალი. როცა ჩვენებს სახლიდან გავიგულებ და მარტო ვრჩები, კომპიუტერის დინამიკებს ბოლომდე ვუწევ, ლივერპულელ ოთხეულს ვრთავ. ოთახი ზრიალებს. და რაღაცნაირი ნიშნისმომგები ქმაყოფილებით (რომლის ფარული აზრი მხოლოდ მე ვიცი) ვეძლევი ნეტარებას. არის ამაში რაღაც დაგვიანებული, გაუცნობიერებელი პროტესტის უსტი“.

მიხვდი, ვინ არის ეს ოთხეული და თავისუფლებასთან რომ ასოცირდება ჩვენი თაობისთვის?! ჰოდა, თუ მიხვდი... უბეში შეინახე ეს ბეღურასავით წიგნი და ისევე გაუფრთხილდი, როგორც პატაწინა ჩიტს – ერთგულების უცნაურ სიმბოლოს...

P.S.

შვილო, იქნებ, ამ ზაფხულს მაინც დაბრუნდე სამშობლოში...



ქოქინი

ბიოჩიბი ხათაშვილი

* * *



* * *

წამი თითქოს გადაიქცა ნაცრად,
მომიძებნა დრომ ახალი ნაკლი,
წარმავალი მიწიერის ნაცვლად
ჩემში ლურჯი პოეზია დაპქრის,

სიძლიერე მოთმინებას მიგსებს,
მომაკვდავი სიჩუმეა ირგვლივ,
ბედის ხათრით დავატარებ ისევ
მარტოობის გამორჩეულ გვირგვინს,

კვლავ მცირედი მეუფლება შვება,
გადაღლილი ახლა უფრო ვარგვებ,
რომ სხეული საპყრობილე რჩება,
თვალები კი ვარსკვლავების სარკე,

რა რთულია მწვერვალივით იყო
და გახსოვდეს ორი მხარე მედლის,
როცა დიდი მწუხარება მიჰყრობს,
სწორედ მაშინ მიხარია ხვედრი,

წამი თითქოს გადაიქცა ნაცრად,
მომიძებნა დრომ ახალი ნაკლი,
წარმავალი მიწიერის ნაცვლად
ჩემში ლურჯი პოეზია დაპქრის...

როცა მოერგო თეთრ დამეს ფონი,
ქარი ურტყავდა ჩაკეტილ კარებს,
გადავიღალე ბნელ სახლში ყოფნით
და უცნაურად გავედი გარეთ,
სხეულის სითბო მიძლებდა ცოტას,
დრო ინიშნავდა სუსხიან სასჯელს,
ქუჩას ისეთი იერი ჰქონდა
დავივიწყებდი ასიდან ასჯერ,
უძლურად მყოფი ალვების რიგი
ცახცახს ეჭირა ყოველი მხრიდან,
ტყუპი ფოთლები ესვენა ირგვლივ
და ქარი ცივად საფლავზე ყრიდა,
თვით შემოღვიძელი კვდებოდა მაშინ,
ცოცხალი სევდაც ვიგრძენი უცებ,
შეჩერებული მცირე ხნით გზაში
ვუზიარებდი გადამხდარს ფურცელს,
ვღელავდი, რადგან რუდუნით ვწერე,
ვინ მიხვდებოდა, თუ რაზე ვწერდი,
თითქოს ლექსიდან გამოსვლის მერე
მარტოდ ვიჯექი სამყაროს გვერდით,
და მოჩვენებით სიმშვიდის კარაგს
ამაოდ ვშლიდი ღრუბლების ხელით,
აღარ მტოვებდნენ ფიქრები წყნარად
მე კი ვიყავი ფიქრებთან წრფელი,
მაინც დაპქროდა ქალაქში შლეგა,
ვერ ისვენებდა იმ დამით მკრთალი
და დღემდე, სადაც დავდივარ, ყველგან
მგონია, მეძებს ისევ ის ქარი...

* * *

დღეს თოლიები არ ჩანან მტკვარზე,
ხე ითვლის ფოთოლს,
როგორ აცივდა,
მე მგონი ხვალ-ზეგ უთუოდ მოთოვს.

ვრჩები ჩემსავით გათოშილ ბალთან,
ირწევა წნორი.
რა უსასრულო ზამთარი ჩადგა
მაშინ ჩვენს შორის..

* * *

თეძოსთან ახლოს, ღია-წითელ მოკლე კაბაზე
ნატიფი ხელი უნებლიერ გაისვი და
ის მდგომარეობა სათანადოდ ვერ შევაფასე,
მივაბიჯებდი ოცნებებით მე თითქოს დანის
პირზე და ვემორჩილებოდი შენდამი ვნებებს,
გამბედაობას აზრი ვკითხე, მინდოდა თუნდაც
ორიოდ სიტყვა მეთქვა, მაგრამ არ დავანებე
თავი ხმაურს, იქ ერთადერთი კედელი დუმდა
და როცა ისევ გამოგხედე, მართლაც, დიადი
გრძნობის გავლენით დავაპირე იმ წამსვე წერა,
ხოლო სალამოს მზესთან ერთად რომ ჩავდიოდი,
ვარსკვლავებს შორის ენთებოდა უმანკო მზერა...

* * *

მახსოვს, ყორანი როგორ კიოდა,
მძიმე მათრახი შავ ულავს მოვცხე,
მე გამოვრბოდი საიქიოდან,
გზად კი ვხვდებოდი მკვდრებსა და ცოცხლებს,
იქ ტრიალებდა უცხო ჰაერი,
ვერ ვუჯერებდი ამ დიდრონ თვალებს
რომ ვარვარებდა სულ სხვანაირი
მუქი წითელი მხურვალე მთვარე,
არ ჩანდა შველა, სუფთა ხელები,
თავს ვერ იკლავდა ლამის მძევალი,
თითქოს ელოდა დიდ დაბნელებას
სარკის მაგვარი თეთრი მწვერვალი,
იქ იყო მწუხრი, იქ იყო სევდა,
არსად ისმოდა თბილი ნამღერი,
ამის შემყურეს ძლივსლა მახსოვდა
ჩემი გვარი და ჩემი სახელი,
მახსოვს, ყორანი როგორ კიოდა,
მძიმე მათრახი შავ ულავს მოვცხე,
მე გამოვრბოდი საიქიოდან,
გზად კი ვხვდებოდი მკვდრებსა და ცოცხლებს...



ლაშა სელეპი



ქალი ვარდია!

სახეზე ღიმილს,
ტუჩებზე ნამს,
ღამით მოვპარავ
პატარა ქალს!
თვალებზე ციმციმს
ლოყაზე წამს,
საგულეს ვუძღვნი
ღაუღაჟა ვარდს!
სახეზე ღიმილს
ტუჩებზე ნამს,
თვალებში ციმციმს
ლოყაზე წამს,
თვალებში მიწვიმს
ბაგეზე მწვავს,
ქალი – ვარდია!
მარადეუამს მწამს!

* * *

ალბათ ჩემი გახარება
შენი ღიმით მოვა,
და იწყება გაზაფხულზე
კვირტთა ჩამოთოვა!
შეიქმნება ცისკრის ქიმზე
ფერთა შემოღომა,
აინთება ცისფერ ცაზე
წითლად გულის ფორმა!
ჩემი წყლულის დაამება
ალბათ შენით მოვა,
როს ყვავილთა გაზაფხულზე,
შეიქმნება თოვა!

ჭარმაგი...

მე ის ბაბუ მომენატრა,
ვისი უმიც ქართული,
მომართული საზეიმოდ,
იყო ძველი რაჭული.
კოხტა თითებს დაისველებს,
სიტყვა მამაკაცური
გასჭრის ყოველს, არ ელევა,
სასაუბრო ხალხური.
ჩაწერილი ძველი სიტყვა,
საქციელი ვაუური,
გამოხედვით მამაცური,
ბერი, ხნობა კაცური.
დიდებული უზეს ცოდნა,
გამოცდილი ზრახული,
მიაგებოს მომავლისას
ცნება წინათ დარგული.
რა ვქნა, ბაბუ? მომენატრე,
და გამიხდა ნახული,
წმინდა მთებში დააბიჯებ,
განძი გადანახული!

* * *

არ მინდა მითხრა: მიყვარხარ,
თუ არ გიყვარვარ მანამდის,
შენი ცრემლების ყურება
გულზე ლოდივით გადამდის.

არ მინდა მითხრა: ნახვამდის,
თუ არ მიდიხარ ხვალამდის,
აშენებამდე მენგრევა
გზა მიმავალი სახლამდის.

არ მინდა ბურუს-მოხვეულს
გავდეს ტრფიალი დიადის,
დაგიბადე და მიყვარხარ...
აწ, მეყვარები მარადის!

აკადემიური გამოფენის გამოცემი

ახლო გამოცემა...

ოცნება...

ოთხ ათეულ წელზე მეტია, ნიუ-იორქში ცხოვრობს და მოღვაწეობს შესანიშნავი ხელოვანი, ცნობილი მხატვრის მიხეილ ჯანაშვილის ქალიშვილი ცისანა ჯანაშვილი. ცხრამეტი წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი ისრაელში გაემგზავრა, ერთი წლის შემდეგ კი ამერიკაში გადასახლდა. ცისანას მშობლებისგან დაჰყვა თავისი ბავშვობის ქალაქის განუზომელი სიყვარული და თაყვანისცემა. მის ნამუშევრებში იგრძნობა ღრმა სულიერი განცდა, ბავშვობის ქალაქთან განშორებით გამოწვეული სევდიანი მოტივები...

... ოცდასამი წლის განშორების შემდეგ, 1997 წელს, ქალბატონი ცისანა საქართველოს ქადაგი და თავისი ნამუშევრების პერსონალური გმოფენა გამართა. თბილისმა გულში ჩაიკრა საქართველოზე მოფიქრალი უმშვენიერესი ქალბატონი და ლილებული მხატვარი... იგი ოცდაათამდე გამოფენაში მონაწილეობდა. პრესტიული დაკვეთებიც ჰქონია, მაგრამ თბილისში გამართული გამოფენა მისი ცხოვრების მთავარი ნიშანსვეტი იყო.

— წინასწარ არავინ იცის, როგორ წარიმართება ცხოვრება, შემოქმედებითი საქმიანობა, მაგრამ იმ წუთებს ვერაფერი გააფერმერთალებს, ვერაფერი გადასწონის, თბილისში რომ განვიცადე... — თქვა მან, — თბილისზე ფიქრის გარეშე ერთი დღეც არ მიცხოვრია... ჩემი ხარჯუხი, თელეთის ცამეტი, სადაც ბავშვობა გავატარე; ბაგები, ჩემი საბურთალო, 126-ე სკოლა, ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, მასწავლებლები, მეგობრები...

გამოფენის გახსნის დღე ზღაპარს უფრო ჰგავდა... ვერასოდეს წარმოვიდგენდი ასეთ ყურადღებას... თუნდაც იმ ერთი დღისთვის ღირდა სიცოცხლე... ვარდების თაიგულებში ჩამძირეს... გამოფენაზე მოვიდნენ უურნალისტები რადიოდან, ტელევიზიიდან, გაზეთებიდან... სწორედ მაშინ გავიცანი ბატონი ივანე ჯაფარიძე. უურნალისტებთან მუდამ თავშეკავებული, სიტყვაბუნწი ვარ, მაგრამ ბატონი ვანო ჩემი სულის ისეთ სიმებს შეეხო, ამალაპარაკა. შემდეგ, გადაცემის ჩანაწერი ამერიკაში გამომიგზანა. ყველას უზომოდ მადლობელი ვარ, ვინც იმ დღეებში ჩემს მიმართ ყურადღება გამოიჩინა. გაზეთებში დაბეჭდილ რეცენზიებს თუ გამოხმაურებებს, როგორც საჩუქარს, საგულდაგულოდ ვინახავ, მაგრამ ის რადიოგადაცემა განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის... როდესაც ნაღველი შემიპყრობს, მაგნიტოფონს ჩავრთავ და გადაცემას ხელახლა უსმენ. ის უბედისებით ცოცხლდება და თითქოს, კვლავ ჩემს თბილისში ვარ...“

ბოლო წლებია, ქალბატონი ცისანა განსაკუთრებული აღმაფრენით მუშაობს დიდ



ქართველ მამულიშვილთა პორტრეტებზე. რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო: თამარ მეფე თუ დავით აღმაშენებელი, ვაჟა-ფშაველა თუ გალაკტიონი, ფიროსმანი, ტერნტი გრანელი, ტიციანი, გიორგი ლეონიძე, ლევან გოთუა, ოტია იოსელიანი, ნატო ვაჩანაძე, უშანგი ჩხეიძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ზვიად გამსახურდია, ბორის გაბონვი, შალომ კობოშვილი, გერცელ ბააზოვი, ჯემალ აჯაიშვილი, ჯუმბერ ლევავა და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოვლა შორს წაგვიყვანს. მის ნამუშევრებს აღტაცებაში მოყავს მნახველი, ხოლო ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ოთარ სეფიაშვილს ცისანას რამდენიმე ნამუშევარი შედევრად მიაჩნია.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ცისანა ჯანაშვილის რამდენიმე ნამუშევარმა უკვე დაიდო ბინა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში, მაგრამ მისი სურვილია, წელს, ქართულ-ებრაული ურთიერთობისა და 26-საუკუნოვანი მეგობრობის იუბილესთან დაკავშირებით თავისი რამდენიმე ფერწერული ტილო და ჩანახატი უსახსოვროს საქართველოს.

ჯოლოვანი ზოგადობა
... „ო, ფუნქცის თანამდებობა, რაზე მიუტო მიმდინარება?
ნაწარმები გრძელის სახი?“
„ფრანგული ტილო“

აკაკი გრეხვაძის აქ უეძნილება ამასთო და მისიან და
ჯოლოვანი ზოგადობა სახის უქმნა დაგვისახე...
... „დიდი, სიცილი თვალი ძალის უმცირესობაზე ციცლის აღრიცველი,
სწორი გრძელის უმცირესობაზე უმცირესობის გამნენას სახის, ხოლო
უკანი კი, მრავალი მრავალი და ხათის უკანი ფარის ფარის ფარის
გონიერას, რომელმაც საჭყარისათვის გახუროსა...“

ჩემთვის თვით აკაკი ჯოლოვანი ზოგადობა!
კომპოზიცია ფინანსის რისტორია „დაფურული იქნა
და მიმდინარეობის უკანი ფარის“ ... კინოსტუმის ჭოტი თავისი, „
ერთი ასეთია - , სიცილი ხათის უკანი ფარისია...“
ეს როდენის მეცნიერების უკანი უსტუმანი ინკუნაბულის აურისამანი.

კინოსტუმი : - „ ვის კონია! - მესახებ ზოგადობა, - სასახლითი...
გამარტინის ქადაგისათვის რა უნდა იხსენიოს ქადაგისათვის?...“

კინოსტუმი ვარდის უწოდებული.

- „ კარის სიმძლავები . კინოსტუმი, შემ ხომ ჩემი კამარჯულის
ნარ! თუ უ აქ უნივერსალური, შემ რომ იმანა, უ არ უწოდა
ჩემ გამრავლების განა...“

... բաժանութեամբունք կ' այլուրդիմիմ, ռութ ֆաշովէ.
Նախնիք, Շուտովս զի՞նց ոմանցովէ, օղովուոցու - կոշտնի...
- պարզութեամբ, ովքը գուշակ! պարզութեամբ զմանի,
մաս ամենու մաս ուղարտեամբ պահանջութեամբ մաս համար հայեամբ
առաջ պահանջութեամբ...

Ցոյս կ'ըս կոշտնի մոշասն, Ցոյս - կոշտնամիւ...
Քինոս եղիս ևնոն, Տառապունց ժողովու ուս պահանջութեամբ:
Ինչու, ինչուն!... ոյ, մալու, մեյսո! Հիմ են ևս զոյցում
յից!

Այ ընտես ուս մանուքան զամանութեամբ վահուածուու զմեցաւեցիս.
Վիճու միւրու և կոշտնիուուց մոշասն հաջ կոշտնիս, Վայուած
Տեսեցու մաս զոնցուն.

... Ցոյսու Տայս եղիքի մայսն մաս կոշտնիու պահու,
յեմու, Յունչինաւ տայս և կոշտնիու.

Ցոյսու և կոշտնիու զմեցութեամբ. Ամ ինութիւ ուն
յենքենս սահմանս կոշտնիու?...

Ցոյցուու, Տայս եղիք յակուսուու մանուքուու.

... Բաժնածու Տայսուաց առա միս, մայսն պայսիու
համարու, եյս Տայսուաց պարզու, Պարզու համարու ու
համարու: " Պարզու, Վահուցուու, Ոմանչութեամբ."

Ճաշու Տիմուսու
" Մայսուաց ինութիւնու"

Ճասասերուու, առ Շեոմլեա առ ալոննեու, ռութ ցուսանա չանամզուուու և Նյու ծոլու
նամշեցարո ոյս ընօծուու յարտզելու ըմօցրանքուու, Տայսարտզելուուու և Տայսարտզելուու
տաշագուածու մոլցանու ծափոն ձեթրու Եցալուուու ապահուու Տորութրուու, Ռութըլուու
լուաց յարտզելու ըմօցրանքուու մութեցնու ամշեցնուու: Եալծաթոնու ցուսանա, լուցան չայարուու
լուամարյանու, Տայսուաց հազու նոյ-օորկուու զամնցելոննու ծափոն ձեթրուետան, Ռատա
մուու Տորութրուու հանախաթու գայգետուունու ու Շեմզաց Եցրութրուու գայգութելուունու ծափոն
ձեթրուու հանճուու և Նյու. ծափոն ձեթրուու մալուու ցուսանա նամշեցարո ու
մաս „Եցրութրուու Եցրութրուու“ ՍԵՐՈԴԱ. Տամիսարուու, ամ պութա ենու Ֆինատ ծափոն ձեթրու
գարճաւուցալու, օցու Տայսարտզելու համուսցենու և միջրալուու և Տայսարտզելու մոլցանուու
լուաց պանտյուուննու դաշտալուու: ցուսանա չանամզուուու նախաթու կու դարիս Տայսարտզելուու,
Ռութըլուու և մաս Եցրութրուու յարտզելու ըմօցրանքուու գայգութելուունու համուսաթուունու:



ახირებული კაცი

(ცერცვისტოლა ამბავი)

სოფელში სულიწმინდა დადის, ქალაქში არაო. რატომო, თუ ჰყითხავდი, გიპასუხებდა: სოფელი სიმყუდროვისაა, ფიქრისაა და იმიტომო. რა, ქალაქში არა ფიქრობენ? თუკი არ მოქმედი, გეტყოდა, რომ სოფლის შეაში რასაც ფიქრობენ, შეიღლო, სოფლის ბოლოში იმას სხვანაირადა ფიქრობენ, ქალაქში კიდევ სულ სხვა ფიქრი აქვს ხალხსაო.

სხვა გზა არ იყო, უნდა დაგეჯერებინა, დიდი ახირებული ვინმე იყო და იმიტომ. თურმე ყოველდღე მომცრო, მომრგვალო ზომის კაჭარს ათრევდა მურდალი ჯვალოს ტომრით ხევიდან. სოფლის ბოლოს უნდა ავაშენო სახლიო, — უთქვაშს და გაუმართავს კიდეც თავის ნათქვამას. მერე უძახია, სახლი ბეჭებზე მიდგასო...

გაზაფხულისპირს მოუტანია მსხალტ-კბილები, პირწითელა თურაშაულები, ალუბლის, ალუჩისა და სილურჯისგან გაშტერებული ქლივრის ნერგები. მეორე გაზაფხულზე ისე ტკბილად გაუყვავლენენ ხეები, რომ თითო კვირტს რამდენიმე ფუტკარი ესიაო. ვუყურებდი და ჩემთ-

ვის, რალაცნაირად, იმედის მომცემი იყო, თითქოს სოფლის ბოლოს ოროთახიანი კოხტა ქვის სახლი, ხანგამძლე და ცეცხლმედვეგი წითელი კრამიტით გადახურული, ხის ჭრიალა კარითა და ღობის ძირში აქაიქა ამოსული ჭინჭრისდედებით.

მეჩვენებოდა, თითქოს მზე ცაზე კი არა და, იმ სახლის ფანჯრებს შიგნიდან ამოდიოდა, თითქოს გულგული მზე იდგა იმ სახლის ოთახებში, სინათლეზე კალებდნენ ფანჯრის მინებიც. მეჩვენებოდა, ძილიც სხვანაირი ჰქონდა ამ სახლის პატრონს. ტურის კივილზე მოკალული, უშიშარი, ფხიზელი. გათენებულზე გამოვიდოდა, აპხედავდა ღმერთს, გადაპკრავდა თლაშო ჭაჭას, მსხალტკბილას ძირში ჩამოვდებოდა კუნძხე, დასწულებოდა წალდს და დაიწყებდა პომიდვრისთვის შესაყენებელი ჭიგორების თლას.

რამდენჯერ შემიხსნია მისი ეზოს ჭრიალა ჭიმეკარი, საყველურებს რომ აძლევდნენ ხოლმე მეზობლები: რატომ არა ზეთავ, კაცო, კარებს, ჭრიალი რომ გაუდისო?! კარს რომ შემოხსნით, იძახის, მობრძანდითო და იმიტომაო, — უპასუხებდა. აი, ახირებული კაციო! — ჩაიქნევდნენ ხელს და გაივლიდნენ მეზობლები. ახალგაზრდობაში ერთი დანახვით შეჰვევარებია. „ბატონები“ მოდებულა იმ დროისთვის სოფელში და ვერ გადაუტანია გოგოს „სახადი“. ეგ ამბავი რომ გავიგე, დამტკრული კაკლის ნაჭუჭივით დამეჭეჭყა მეც გულიო. მას შემდეგ ცოლიც აღარ შეურთავს. ათასში ერთხელ სიზმარში მაინცა ვხედავ იმ გოგოს და სხვა რომ შევირთო, ვაითუ, იწყიოს და აღარ მეჩვენოს?! — ეგ თქვა და მორჩა!

აი, ორჯერ უფრო ახირებული კაციო! ერთხელ საუბრისას წამოსცდა, სოფლის ბოლოში იმიტომ ვცხოვრობ, ჩემიდან უფრო ახლოსაა საიქიოო... ვინ იცის, იქნება მართალიცა, ჩვენ ვერაფერი გაგვიგია ჩვენი თავისა, თორუმ ციმციმა სულმა კარგად იცის საიქიოს გზა.

ქრისტინა
ლეიშვილი

თენბიზ ცომისი

ნანის

„გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში“
როცა ვისმენ, ზამთარშიც კი დარებია,
სიძლერა და სიყვარული ხალხის გულში,
სამუდამოდ, „ხანჯლად გაგიტარებია“.

დგახარ დედოფლურ ქალის იერით,
ირიბად აჭრილ თვალთაგან მზერით,
ვერ გამიგია, ხარ ღვთიური, თუ მიწიერი,
და უმოწყალოდ „გულს რად მიკლავ“
შენი სიძლერით.

წყაროს ჩუხჩუხზე უტკბესია სიძლერა შენი,
საიდან მოგდგამს ეგ სინაზე და შემართება?
სცენის დედოფალს ყველაფერი
რარიგად გშვენის,
სულო ჩემო და ჩემო „გულორა გემართება“.



ნანი ბრევეგაძე და თენგიზ უთმელიძე

ყველა სიძლერა – ჯადოქრული,
გულში ჩამწვდომი,
შენგან უხვად და სიყვარულით
არს ნაჩუქარი,
ქვეყნიერებას მოვლენილი, ასე მგონია,
ღმერთის განგებით ნაბოძები, ხარ საჩუქარი.
კდემით მოსილი გშვენის ქალობა,
და „მღერის ქარი“, და „მღერის ქნარი“,
„გვითხარ ასულო“, შენი გალობა,
სიზმარია, თუ ნაძღვილი არი?

ხარ სიამაყე – კერპადქცეული
ერის მშვენება, ჰანგის გენია,
არსად მსმენია მე ზმა გრძნეული,
„სწორედ ისეთი, როგორც შენია“.

არასდროს მტოვებს სიძლერა მწველი,
სულისშემძღვრელი ბგერა ყოველი,
„მაგრამ ამ დილას, ყველაზე მეტად,
მიყვარხარ შენ... და სვეტიცხოველი“.

სუხიშვილების მოცეკვავეთა ანსამბლის „ოქროს ხანის“ (ეს ეპითეტი ქალბატონ ნინო რამიშვილს ეკუთვნის) ერთ-ერთმა უბრწყინვალესმა წარმომადგენელმა და ანსამბლის მეისტორიებმ, ბატონმა თენგიზ უთმელიძემ, 2011 წლის 21 ივლისს, საიუბილეო დაბადების დღის შეკრებაზე ექსპრომტად უძღვნა ეს ლექსი ჩვენს უსაყვარლეს მომღერალს ნანი ბრევეგაძეს.

ქოქის

ბურიბი სხვიტახის



გარდაცვლილ მეგობრებს

ძმაო, მარტო მივალ გზებზე,
ძმაო, გაზაფხული დადგა.
ტაფნებს ისევ ვუგებ თევზებს,
მარტო სანადიროდ დავალ.
ძმაო, აღარავინ მიცდის,
გაღმა გასულს მე გამოღმა.
მივწვდი, მარტოობა, მივწვდი,
მხოლოდ ფიქრია და ტანჯვა.
ძმაო, ყანაც მარტომ ვხანი,
ჩემი ვაზიც მარტომ ვკალმე.
ხელი ვეღარავის ვართვი,
შენით მე მარჯვენა ვკარგე.
ძმაო, გინახია ცრემლით,
ოდეს დამენამოს სახე?
ახლა შენს საფლავთან ქვები
ძმური ცრემლით გადავნამე.
ძმაო, ქალაქიდან, იცი?
თვალზატულა გოგო გვსტუმრობს,
შენ რომ თან დაგყავდა ფიქრით,
შენი დიდი საიდუმლო.
იცი, შენს საფლავთან ვნახე,
ია დაეკრიფა დილის.
აი ხომ ვამბობდი, ნახე,
გოგომ ჯიუტობა იცის.
თურმე ყვარებიხარ, ძმაო,
ცრემლიც ეტყობოდა სახეს.
ო, რა სპეტაკი ხარ, ცაო,
ცრემლო, ქართველ ქალის თვალზე.
ძმაო, გაზაფხული მოდის,
ჩვენი საყვარელი დროა.
ახლა საოეზაოდ მივალ,
იქაც შენზე ფიქრი მოვა.

ფესვებს მომწყდარი მუხა ვარ.
ვისოდის კაპიკი ზურდა ვარ.
ვისოდის მზე ვარ და ვანათებ.
დარდს ბორკილი ვერ დავადე.
ღამე ვარ თვალებ მაღული,
ცრემლებით გადანამული.
განძი ვარ ჯერ არ პოვნილი,
ბედის ურჩი და მორჩილი.
სამოთხის ვარ თუ ქვესკნელის,
ნათელის ვარ თუ ბნელეთის.
ყველაფერს, რა ვქნა, ვერ ვწვდები,
ვხვდები მას, რასაც ვერ ვხვდები...
ჩემი სამშობლოს ბედი მაქვს,
მასავით მტრები ბევრი მყავს.
მყავს მოძმე მწერალ-მგოსნები,
ვცხოვრობთ ლექსით და ოცნებით,
რომ გაბრწყინდება ცის თაღზე,
მრავალი მტერის ჯინაზე,
ივერთ ჯილაგის ალამი,
და სათქმელს იტყვის კალამი...
ფესვებს მომწყდარი მუხა ვარ,
მაინც ფესვიდან ვსუნთქავარ.

* * *

შენ მაშინ გერქვა პატარა გოგო,
თვალები შენი ზღვასავით კროოდა.
მეც ბიჭი ვიყავ პატარა, მომცრო,
და ჩემი გემი შენს თვალთ მიჰქონდა...
შენ გოგო იყავ, პატარა გოგო,
ატმის ყვავილად აფეთქებული.
ჩემს შეხებისას ისე კრთებოდი,
როგორც შვლის ნუკრი დაფეთებული.
მერე ქარივით სადღაც გაქროლდი,
წლებმა მარგუნა შენგან სიშორე.
აღბათ ყვავილმაც ჰქმენი ნაყოფი
და ქარობისას ისევ მიგონებ.

* * *

თვით ღმერთი წერდა შენს სახეს გვონებ,
ანგელოზები მაგ ტანს გიხატდნენ.
ეს სილამაზე არ მინდა მოკვდეს,
და უკვდავებას შენთვის ვინატრებ.
მე რომ შემეძლოს შენს გზად სავალზე,
იას და ვარდებს გიფარდაგებდი
ციურ მნათობებს მაგ შენ დალალზე,
ჩამოვმლიდი და გინაწნავებდი.
და რომ ძალმიძდეს მე სხივის ტრფობა,
ჩემს ცოდვილ გულს არ შეგთავაზებდი.
არ ვიქნებოდი გრძნობების მონა,
და მაშინ სხვებსაც შეგადარებდი.
ერთი ხარ მიწად, ვით ზეცად ღმერთი,
მაცოცხლებელიც და ჩემი მჯვლელიც.
სიტყვა: „მიყვარხარ“ შენთვის არ მეთქმის,
რადგან გრძნობებზე მეტი ხარ ჩემში.
და თუ ოდესმე დაგავიწყდები,
მინდა იცოდე, მინდა გახსოვდეს,
როცა სიკვდილის კართან ვიქნები,
მე შენი თავი კვლავ გამაოგნებს...
და ვიცი, იქაც მომენატრები,
არ მომასვენებს შენი ლანდები.
ციდან ფიფქებად მოგევლინები,
შეგეხები და ისევ გავქრები.

* * *

ეს საქართველო –
დედაქემის კალთასავით გახუნებული.
ის ისევ ფარავს
ცხოვრების
მზისგან გახუნებულ,
დაღუმებულ,
მიჩუმებულ,
მუხლზე დაცემულ შვილებს.

* * *

წარსულ ბრწინვალებით,
აწმყო დანგრეული...
უიმედოდ
დროის ბაქანზე
დგას საქართველო,
ვით ძველი ოშკი...

ვლელავ მათ გამო, ვინც აქ დარჩება

ამ რამდენიმე წლის წინ, ციურიხში ყოფნისას, პულტი მოვიმარჯვე და რუსეთის ტელევიზიის პირველი არხი ჩავრთე, იქ მხოლოდ ერთი რუსული არხი უჩვენებს, ქართული, სამწუხაოლი, არც ერთი. იმედი მაქსი, არ იფიქრებთ, რომ რუსეთზე გადარეული პერსონა ვარ, უბრალოდ, ჩემთვის ევროპაში „მშობლიურ ენად“ კვლავ რუსული ენა რჩება, სხვა ენების ცუდად ცოდნის გამო. გადაცემაში „პულტურა“ – ზურაბ სოტკილავა ჰყავდათ მოწვეული ოჯახთან – მეუღლესთან და ორ ქალიშვილთან ერთად.

თითქმის ერთი საათი ვუსმენდი სოტკილავებს. ყვებოდნენ ერთმანეთზე საინტერესო ისტორიებს, ცნობილი ადამიანებისა და მათი ოჯახის შეგობრობის ამბებს. შვილები ეთაყვანებოდნენ მამას, დედა სიყვარულით და ფარული აღტაცებით ახასიათებდა მეუღლეს. ქალიშვილები აღიარებდნენ, რომ მამის გამო არ გახდნენ მუსიკოსები, შეეშინდათ მამის ჩრდილში დარჩენის.

ელისო თურმანიძე ყვებოდა, თუ როგორ დაატარებდა და დაატარებს მეუღლე სპექტაკლებსა და კონცერტებზე. როგორ თოვალისწინებს მის აზრს და უფრო მეტიც, სადაც არ უნდა იჯდეს – პარტერში, ლოფაში, აივანზე, აუცილებლად მოქებნის თვალით, რჩება შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ მისთვის მღერის. „ეს სასიამოვნოც არის და შემაწუხებელიც. ამ დროს არ შემიძლია გვერდზე გავიხედო, ან დავიხარო, შემთხვევით ძირს დაგარდნილი ნივთი ავიღო. განიცდის და შინ აუცილებლად მეტყვის: – ჩანს, ისე ვიძლერე, არ მოგეწონა, შეგრცხვა და თავი ძირს რამდენჯერმე დახარე, გვერდზე გაიხედეო. ვუსნი ხოლმე, რომ ეს ასე არ არის, თითქოს დამიჯერებს, მორიგი სპექტაკლის შემდეგ იგივე მეორდება, ახლა უკვე მე შევეჩვიე ზურას ხასიათის ამ თვისებას და ვცდილობ ამსოლუტურ კონცენტრაციას სპექტაკლებსა და კონცერტებზე“.

ვაღიარებ, ამ თითქმის გაგულგრილებულ, გაცივებულ სამყაროში (ეს განსაკუთრებით ევროპაში ხანგრძლივად ყოფნისას იგრძნობა, ადამიანები საათივით აწიკწიკებულ გარემოში დროსა და პრობლემებში ჩაფლულები ისე დაქრიან, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევენ). სიყვარულისა და პატივისცემის ასე საჯაროდ, საკმაოდ დაწვეწილად გამოვლინებამ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა.



* * *

თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრში ზურაბ სოტკილავას საიუბილეო სადამო იმართება (თეატრი ჯერ კიდევ არ დაკეტილა რემონტისათვის). მეტრეველები, მე, ელისაბედი და ასე შემდეგ... ბელეტაჟის ლოჟაში ვსხედვართ. გვერდით – ნინო ბურჯანაძის ოჯახი. მოგვიანებით ბურჯანაძეების ლოჟაში ქალბატონი ელისო, ზურაბ სოტკილავას მეუღლე შემოვიდა. – უფრო ელეგანტურად ჩაცმული, მოვლილ-დავარცხნილი ქალბატონი ალბათ იშვიათად შეგხვდება, – გადავულაპარაკე ჩემებს, – დამეთანხმნენ. რა ლამაზი თითქმი და ხელის მტევანი ჰქონია! ფაქტობრივად, გვერდიგვერდ ვსხედვართ და გამადიდებელ ლუპაში გავატარე. ჩვეულებრივი ქალური ცნობისმოყვარეობა გამოვავლინე.

კონცერტიც დაიწყო. მე კვლავ იმ არაჩვეულებრივი გადაცემის შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, ციურიხში ყოფნისას რომ ვნახე და, ჩემდა უწებურად, თვალი აღარ მომიცილებია ლოჟაში მყოფი ელეგანტური ქალბატონისათვის. რომ არა მისი სცენისაკენ უჩვეულო კონცენტრაცია, იქნება კიდეც შეემჩნია, ვიღაცა ფარულად რომ უთვალთვალებდა. შეფარვით თვალთვალისას დავრწმუნდი, რომ არც ერთი ტყუილი სიტყვა არ უთქვამს იმ გადაცემაში. წყვილი ისე გრძნობდა ერთმანეთს, თითქოს გვერდიგვერდ იდგნენ. ორივე მღეროდა, სოტკილავამ სცენაზე ხმამაღლა იმღერა, ცოლმა მოგუდულად ლოჟაში, იმღერეს სინქრონულად. ერთი-ორჯერ ნინო ბურჯანაძემ რაღაც გადაულაპარაკა, ქალმა ხელის მოძრაობით ანიშნა, არ შემიძლია შენი მოსმენაო. ყველაზე მთავარი კი წინ მელოდა, მთავარი, რომელმაც ჩემი გაოცება კულმინაციამდე აიყვანა.

ერთ-ერთი არის შესრულებისათვის სცენაზე შემოსულმა სოტკილავამ პლასტმასის ბოთლი შემოიყოლა. ვიდრე ამ სცენას თვალი მივადებუნ, აღმოვაჩინე, რომ ელეგანტური ქალბატონის ხელშიც პატარა ბოთლი გაჩნდა. დღემდე გაოცებული ვარ და ვერაფრით ამისსნია, როგორ მოახერხა ქალბატონმა ელისომ ბოთლის ისე აღება, რომ არც დახრილა, არც შერხეულა. მერე უკვე აღარც გაგუოცებივარ იმ ფაქტს, ერთდროულად რომ სხიდნენ და სვამდნენ წყალს. მე არ ვიცი, მით რას ანიშნებდნენ, არეგულირებდნენ ხმის ტემპრს, ან სიმძლავრეს, თუ რას... ეს თითქმის არც მაინტერესებდა, ჩემთვის აქ უფრო სხვა, სხვა თანხმობა იყო ამაღლვებელი და, გნებავთ, გულისამაჩუყებელი. ისინი შესაშურად ერთნი იყნენ. სისხლხორცეულად ერთნი. შთაბეჭდილება შეუდარებელი იყო. კათარზისის უჩვეულო განცდა დღემდე მომყვება. რასც ახლა, ამ ჩანაწერის ფინალში ვიტყვი, ვინმეს იქნებ არც კი მოეწონოს, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მე მომწონს, მაგრამ, სამწუხაროდ, გავიფიქრე და თითქოს ფიზიკურადაც კი ვიგრძენი. ოდესმე (ასი წლის შემდეგ) ამ წყვილიდან ერთ - ერთი უფრო ადრე წავა იმ ქვეყნად, რა ეშველება მეორეს, რა ტკივილება ექნება გადასატანი. ბუნებრივია, ვღელავ მასზე, ვინც აქ დარჩება.



ის შეეწყვილა დიდ პოეზიას

ის მხოლოდ ერთხელ ვნახე 80-იან
წლებში, როდესაც მე ვმუშაობდი გაზეთ
„სახალხო განათლების“ კორესპონდენტად.
სამუშაო კაბინეტში შემოვიდა მაღალი,
მშვენიერი გარეგნობის, სიმპათიური
და, ამავე დროს, თვითდაჯერებული
გამომეტყველების ქალბატონი. მოიტანა
რამდენიმე ლექსი, რომელიც მოვვეწონა
და დაიბუჭია კიდეც. შემდევ... შემდევ
ჩემს ლექსშია გამჭვავნებული, თუ როგორ
წარიმართა მისი, როგორც პოეტი ქალის,
ცხოვრება. ივი 2012 წელს გარდაიცვალა
მარტოობაში, 80 წლის ასაკში...

ქოქია
შოთა არაბონიძე



პოეტ დარეჯან ბატიაშვილის
ხსოვნას

მდგმური
ქეთევან ქუჩუკაშვილს

ყველა მოკვდავი წლებს ვეურჩებით,
მაინც არ გვინდობს დრო-ჟამის ქარი;
დააბიჯებდა ცალად ქუჩებში
ჯეირანივით მაღალი ქალი...
არ აკლდა სითბო და არც სილაღე,
ამაყიც იყო და ბჭობდა საღად;
რადგან იცოდა თავის სიმაღლე,
ამოუცნობიც თან სდევდა რაღაც...
ვერ გაიმეტა წყალობა ბედმა, —
ქალური ხვედრი, რაიც წესია,
მერე მოძებნა ზეციდან ხმებმა
და შეეწყვილა დიდ პოეზიას...
ყველა მოკვდავი დროს ვეურჩებით,
მაინც წაგვიღებს დრო-ჟამის ქარი;
დააბიჯებდა ერთ დროს ქუჩებში
ჯეირანივით ლამაზი ქალი.

საკუთარ მამის სახელობის
ქუჩაზე მდგმურად,
ცხოვრობს მღვიმელის ქალიშვილი,
ვაჟას ნათლული;
მოდი და ახლა ნუ დადგები
საწუთოს მდურვად,
ეს რა სენი გვჭირს მოურჩენი,
სენი ართქმული...
გადამთიყვლს კი ვუთმობთ მიწას,
სახლსაც უწვევოდ;
ვერცხლის მონებმა უსინდისოდ
ერი დაღალეს...
ზის ქეთევანი ნაქირავებ
სახლში უმწეოდ
და საქართველოს სიყვარულში
ათენ-ალამებს...

ქართული ტიპი

დასახული



შიშველი თვითშეყვარება, მხოლოდ და მხოლოდ თავის თავზე ზრუნვა, წუთისოფლისა და სამყაროს ყველა ღირებულებათა პერსონალიზაცია ქართველ ინტელიგენტს ახასიათებს. დროგამოშვებით ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენს ისტორიაში პერსონალიზმის კულტი ორიგინალურ ფორმას იღებს: ავთანდილი წერს მეუე როსტევანს სიტყვებს, რომლებშიაც გამოიქველოა საბერძნეთის ფილოსოფიური აზრები, ღრმა ქართული პერსონალიზმით შეხავებული; ავთანდილი ითხოვს თავისი სიმღიდრის დანაწილებას არა იმიტომ, რომ ავთანდილს მართლა მონებისა და ღარიბებისადმი სიყვარული აწუხებდეს, არამედ იმიტომ, რომ სახელი მისი მოაგონდეთ სხვებს, თუნდაც ღარიბებს.

ავთანდილს სიკვდილის ეშინია: ვერ დაიჭირავს სიკვდილს გზა ვიწრო, ვერც კლდოვანიო, ბატონი და ყმა ბოლოს მაინც ერთად შეიყრებან. ამიტომ მიეცი გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები: — მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონებან.

ავთანდილმა იცის, რომ ეს ცხოვრება წარმავალი და ხრწნადია, იცის, რომ ყველაფერი წუთისოფლად გაივლის და კვალი არსებობისა არსად დარჩება, იცის, რომ ყოფა ადამიანისა თავის მწველი განცდებით და ილუზიებით იკარგება დაუსრულებლობაში; სწორედ ამიტომ მას უნდა, რომ მთელი მისი ქონება ღარიბთა შორის დარიგდეს: ამის შემდეგ სხვები იტყვიან, ავთანდილს მოიგონებენ, ავთანდილის ხსენება იქნება ქვეყანაზე. პატარა ნუგეში მაინც არის, სახელი დაკარგული ინდივიდუალობისა მაინც დარჩება ამ უთავბოლო წუთისოფელში..

ასეთი აზრი არის გამოხატული რუსთაველის მეორე ფრაზაში:

— რასაც გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია.

ადამიანთან ერთად იხრწნება ქონება, ნივთი, ყოველგვარი მატერიალური ღირებულება; საგანთა და მოვლენათა დაუსრულებელი სტიქიური დენა სახეს წაუშლის ინდივიდუალობას, ამიტომ საჭიროა გაცემა ქონების, რომ სახელი მაინც დარჩეს სამყაროს ყრუ სიჩუმეში, სახელი მაჩვენებელი იმისა, რომ ამ ტანჯვისა და უზნეობის პლანეტაზე ინდივიდუალურ კეთილშობილებას ქონებია ადგილი. რუსთაველმა მისცა ჩვენს, ქართულ პერსონალიზმს მეტად კეთილშობილი, სიმპატიური ხასიათი, მხოლოდ შემდეგ საუკუნეებში ეს კეთილშობილება ინდივიდუალიზმისა ისევ შორდება ქართულ სულს და ქართველის ნებისყოფა ისევ ძველებურად იმ განაპირებისაკენ მიდის, რომელიც აღნიშნა დავით აღმაშენებლის დროს ისტორიკოსმა, რომელსაც საფუძვლად აქვს მრუში ისტორიულ-ფიზიოლოგიური და პერსონალისტური ცარპე დიემ და რომლის თვალსაჩინო ტრაგედიულ განსახიერებას წარმოადგენს გიორგი სააკაძე.

ამრიგად, ჩვენი ერის კულტურა და მისი ცივილიზაციური ფორმები, დაწყებული შორეული წარსულიდან და დამთავრებული დღევანდელი იდეოლოგიური, ფილოსოფიური და ლიტერატურული ტენდენციებით, შედეგია ტერიტორიულ-ისტორიული ტროპიზმის: ყოველი საუკუნე თავისებური ცხადყოფაა კულტურულ-ისტორიული შესაძლებლობისა და ბიოლოგიურ-ორგანიული მეხსიერების — მეხსიერების, რომლის პოტენცია გროვდებოდა

საუკუნეთა განმავლობაში ირაციონალურად, ალოგიკურად და რომელსაც აქვს მხოლოდ ისტორიულ-ფსიქოლოგიური ჩვეულებებით განმტკიცებული რაციონალური და ლოგიკური ხასიათი. ყოველი ნაბიჯი წინასწარ განსაზღვრულია ყოვლობის მოირით და რაც არის, არ შეიძლებოდა, სხვა სახის ყოფილიყო. არაფერი არ იკარგება მრავლობაში გარდა ინდივიდუალობისა და მრავლობის ტერიტორიულ-კუთხური შესაძლებლობის ტროპიზმით განისაზღვრება როგორც ინდივიდუალურ-ეროვნული, ისე ზოგადი კაცობრიული ნებისყოფა, სული და იდეა — განცდა და მოძრაობა.

ადამიანს თითქოს სურს განამტკიცოს თავისი ინდივიდუალობა საზღვარაუცილებელ ოცნებაში — მარადიული ქალურობის განმტკიცებაში. ბეატრიჩე შესანიშნავი მაგალითია ქალის გაღმერთებისა

ევროპაში. მაგრამ ჩვენში ქალი უფრო გამშვენიერებულია მამაკაცის ოცნებით და უფრო გაღმერთებულია, ვიდრე ევროპაში; ქართველმა ერმა არც კი იცის, რომ დავით აღმაშენებელმა შექმნა საქართველოს ისტორიული სახე, სამაგიეროდ ქართველ ერს თამარ მეფის სახელი ენაზე აკერია, თუმცა თამარ მეფეს იმის მეათედი არ გაუკეთებია, რაც დავით აღმაშენებელმა გააკეთა საქართველოსათვის.

საქართველოს ისტორია მარადიული ტრფიალებისა და ისტერიულობის ისტორიაა: საქართველო ესთეტიურ-რელიგიური ფენომენი და არსად იმდენი მუხანათობა და აფექტების აყოლა არ ყოფილა, რამდნიც საქართველოში.

მასალა მოამზადა სოფიო ჯაფარიძეზ

თამაზ ჩადუნელის „ბედის კანონი“

საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა თამაზ ჩადუნელის წიგნის — „ბედის კანონის“ წარდგნება. საღამოს უძლებელია თემურ ცერცვაძე. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: იკა ქადაგიძე, ტრისტან მახაური, სოსო ნადირაძე, თამაზ ბარჯაძე, ქეთი შენგელია, ქეთი დოლიძე, ლევან ფანჩევიძე, ნუგზარ ნადარაია, ზურაბ მამულაშვილი და სხვ. საღამო დაამშვენა აზებაიჯანელი მომღერლის აისელა მამედოვას ქართულად შესრულებულმა სიმღერამ — „საქართველო ლამაზი!“ წიგნის რედაქტორები არიან: თემურ ცერცვაძე და იკა ქადაგიძე. კრებული ავტორმა საჩუქრად დაურიგა დამსწრე საზოგადოებას.

საღამო დასრულდა მეგობრული „ალა ფუშეტით“ და ტრადიციული სადღეგრძელოებით! წარმატებას ვუსურვებთ ავტორს და მის ახალ წიგნს.



„...წაიკითხო და მეგობარივით იცოდე...“

დასასრული

ჩემი აღმოჩნა სულ სხვა სფეროსია, — ხშირად კი არა, მეტისმეტად იშვიათად, ათასებში ერთხელ, = ფიზიკურ ქალწულობასთან ქალი არა ჰყარგავს სულიერ ქალწულობასაც. პირიქით, ათასობით შემთხვევაში, უძრავლესად და უამრავად, ქალი ამ ორივე, სულ სხვა და სხვა რიგის მოვლენას, ერთადაც ჰყარგავს. ე.ი. იცვლება ფიზიკურად კი არა მარტო, არამედ სულიერადაც და სხვა ადამიანი და პიროვნება ხდება; ბევრად დაქვეითებული (ჩემის აზრით). წინააღმდეგი შემთხვევა იმდენად იშვიათია, რომ ისტორიულად ცნობილია მხოლოდ ერთადერთი, დათისმშობლისა, — უბიწოდ რომ დარჩა შვილის შობის შემდეგაც. მართალია, ქალი გათხოვების შემდეგ, ყალიბდება უძრავის შემთხვევაში ქმრის ყადაზე, მაგრამ მაინც რჩება — ძალიან იშვიათად — სულიერად ქალწული. აი, ეს არის ჩემი „აღმოჩნა“ და, მიკირს რომ არც ისტორიულ, არც არქეოლოგიურ, არც მედიკურ ან ფიქლოლგიურ წიგნებშიაც ამის ნიშან-წყალი, ჩრდილი ან კვალიც, — არ შემხვედრია. // ამ თვალსაზრისით, დოდო არა-ჩვეულებრივად დაჯილდოვებული პიროვნება იყო, არა მარტო თავისი მტკიცე, ბუნებრივი ხასიათით, თავგანწირვამდე მოსიყვარულე გულით (მეტადრე ნათესავებისადმი, საუბედუროდ ულირსებისადმიც), ალერსიანი კატუნიასავით (ჩემთან ყოველ შემთხვევაში) და ნიჭიერი, შემიძლიან ვსოდება, — პოეტი-მეოცნებე. მისი სახე ლამაზი იყო არა ფიზიკურად, არამედ იმ სულიერი სინათლით, რომლის მრავლოფერობა გასაოცარი სიუხვით ეტყობოდა ყოველ გამომეტყველებაში. ეს ნაზი არსება, თაფლივით ხელსა და პირზე რომ შემოგადნებოდა, გავავრებასა და გაცხარებაში ცეცხლივით გულს დაგწვავდა და ლახვარივით დაგჭრიდა (ტყუილად ხომ არ იყო ამი-ლახვარი), ისეთს გეტყოდა სრულიად დაუზიოგავად. მასთან უბრალოდ ყოფნა შეუძლებელი იყო, მუდამ „ჩახმახზე უნდა ყოფილიყავ“, რადგან უმნიშვნელო ხემრობა თუ ღრმა-შენი-აზრირამ, არ იცი მასში რა რეაქციას გამოიწვევდა. უმრავლესობა, მეტადრე ნათესავები <<გიუადა>> სივლიდენ და გვაფრთხილების უძრავიც “ იყო თავისი სიფაქიზით ყველასა და ყველაფრისადმი, თავისი სიწმინდით, არამედ იურიულ თვისებებით და სისასტიკით. ერთად-ერთი მე ვყავდი სათაყვანებელი „სულიერი მამა“ და ჩემდამი უფრო სასტიკი იყო...”

...., იმდენი ამაგი გვაქვს ერთმანეთზე დახარჯული, — ჩვენი გაყრა შეუძლებელი“-ო, ერთხელ ნათესავი მისი ოქროს სიტყვებია... და გახდა კიდეც შეუძლებელი, ხომა: „უჩემოდ ერთ წელიწადს ძლივს გაუძლო. და ბევრჯელ მიფიქრია, — მიუხედავად მუდმივი განწყობილებისა თავის მკვლელობისადმი, მეც მიდევს წილი ამ უბედურებაში: საწყალ გოგოს მე დაგანახე სხვა ქვეყნა, ვიდრე მასა ჰქონდა წარმოდგენილი, ვასწავლე სიმაღლენი არსებობისა, გაულვიდე მისწრავებანი უზენაისი... და ის წახეჩა ცხოვრების უხეშ, ტლანქ არარაობას და მისმა სულმა ვერ აიტანა ეს განსხვავება რეალობისა და ოცნების შუა. // თორებ, გათხოვების შემდეგაც ხომ მქონდა მასთან და მაზედ ლაპარაკი და შეხვედრები:

4 თებერვალზე ადრეს მაგიერ, 12-II-ს რომ ჩამოვედი პარიზში, პირველ შეხვედრაზედ ხომ ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყნა, რომ დღესაცა ვერმნობ 25 წლის შემდეგ: ხალხის დიდ წვეულებაში (დადანებისას), ახლად ჯვარ-დაწერილ „ქმრის“ თანადასწრებით გადამეტვია, ჩამეკრა გულში, მკონიდა პირზე, თვალებში, იცინოდა, ტიროლა, „ჩემი ბატონი რეზო“?-ს მეუბნებოდა, და, ჩაციებით, — როგორც დასაკლავი ხარი ვეზინეში1 წამიყვანა. მოელი გზა „ქმარ-თან“ კი არა, ჩემთან იყო ჩახუტებული, და, იქ რომ მივედით, — მგონი მოგწერე, — შუაში ჩაგვიდგა, ორივენი მიგვიკრა, და: „ნეტა ორი თავი მქონდეს ორივეს მხარზე დავდო“-ო და ხან მე, ხან იმას დაადებდა თავს. მე „ორ თავიან არწივზე“ აუგდე „ბანზე სიტყვა“... უხერხულობით. //

- აკი უსიყვარულოდ ვერ გავთხოვდები“-ო, მეუბნებოდი, და...?
- მიყვარს!“-ო, მითხრა თითქო ნიშნის მოგებით, ან ჯინზე,



— თქვენ სულ იმას არ მეუბნებოდით: „გათხოვდი მაინცა“-ო... „ჩემზე, როგორც „ვალერიანკა“ მოქმედებსონ“.

და სხვა დროს: „ექლესიაში წასკლის წინ ხუთი წუთით, — არ ვიცოდი, წავიდოდი თუ არა... გაორებული ვიყავი“-ო...

— რაზე თხოვდებოდი, როგორ მოხდა-მეთქი? და

— როგორლაც დაგსეირნობდით, ფიქრუბში ვიყავი და კიდევ ერთხელა მთხოვა გავყოლოდი ცოლათა“-ო,... ბაზორკაზე მელაპარაკებოდათ და ვსთქვი: კარგიო. სიტყვა მივეციო.

— მერე რა გეჩქარებოდათ... უჩემოდ რომ ჯვარს იწერდით (: იმისი „საქმრო“ რომ მწერდა: „დოდო თქვენს ნებართვასა და კურთხევას უციის“-ო)?

— როგორ, ომში მიდიოდა და უარი როგორ მეოქვაო. (მერე ვიცოდი მისი „ომში წასვლანი“)

— სწორედ, ომის გათავებამდე უნდა მოგეცადნათ... თუ დაბრუნდებოდა...

... ერთხელ ხომ ესეც მითხრა: „აქ რომ ყოფილიყავით, ალბად არ გავთხოვდებოდი“-ო.

და არც მერე თაგს მოიკლავდა, მე რომ პარიზში ვყოფილიყავი, რადგან ჯერ ერთი დაუკაბებული იყო, „უთქვენოთ არასოდეს ერთ ნაბიჯს არ გადავდგამ“-ო, ყოველთვის წვრილმანსაც მიზიარებდა, არა მარტო „დიდ საკითხებს“. და, მეორეც ხომ ჰქონდა ჩემთან ნაპასუხევი: „სხვაზე გათხოვილს რომ უსამოვნება მომივიდეს — თქვენთან გამოვიქცევი, და თქვენ (ქმრობის) დროს რომ მომივიდეს, სად უნდა წავიდე — წყალში გადაგარდნის გარდა“-ო? // საერთოდ სიკვდილზე მეტად ადვილად და ხშირად ლაპარაკობდა...

... მაგრამ, გასაშტერებელი ამბავია, — გათხოვებიდან სიკვდილამდე პერიოდში — დოდო აღარ მიყვარდა, და, ვიზედაც <<მზე და მთვარე ამომდიოდა>>, — სრულიად უცხო გახდა ჩემთვის. სწორედ მაშინ, როცა ის თითქო პირიქით უფრო თავისუფლად ეგებებოდა ჩემთან ურთიერთობას. აღარც ჩემი პრინციპი: „სხვისი ცოლი ხელშეუხებელია“ და არც, ა.ვ., ჩემი ბუნება: „უსიყვარულოდ ქალის დაუფლება (მარტო სქესობრივი მისწრაფებით) — დამამცირებელია ორივესათვის“, — აღარავითარ სურვილს აღარ მაძლევდა მისი უბრალო ალერსისათვისაც კი. და მარტო გონივრული ანგარიშით ან საარშიყო მიზნით, — ჩემი ხელობა ხომ არასოდეს ყოფილა.

აი, გასინჯვე. ერთ ხანს (ჯერ კიდევ ომი იყო) სცხოვრობდა პარიზში დიდ „სტუდიოში“. ტყვების საქმეზე ჩამოსული, მივედი სტუმრად სალამოს, გაუხარდა, ყოველთვის კონტად ჩაცმულს როგორც „მანეკენს“, ეხლა რაღაცა ვარდისფერი (ვარდისფერის მაგიერი) ხალათი ცეკვა (Robe de chambre) — ეგ სად გი პოვნია?-მეთქი.

— ჩემმა ქმარმა მიყიდა საქორწილო საჩუქრადა-ო. უკვე ეს იყო მაჩვენებელი მისი გემოვნებისაც და თვითონ დღიდოს შეფასებისაც. შემეცოდა, ინსტიქტურად მოვიზიდე, კალთაში ჩავისვი, ხელი მოვხვიე წელზედ... მაგრამ, სადღა იყო ჩემი „აღგზნება“ წინანდელი... ცოცხალი ქალის მაგიერ, კალთაში ცოცხალი ხეც კი არა, თითქო შეშა ან ჩინჩჩი

მქონდა... მიკვირდა კიდეც... — რა მიყავი, ქალო, რაზედ წამიხდინე ოცნება? — რა ვქნა, ეგრე მოხდა; მაგრამ, ჩვენ შორის არაფერი შეცვლილა, როგორც გითხარით, — თქვენი კერძო მდივანი ვიქნები ჯამაგირით; გზაშიც, ბერლინშიც, ყველგან თქვენთან. ჩემი ქმარი არ არის méticuleux, il est très large¹, — მე ყველაფერი უთხარი და თანახმაა თქვენი მდივანი ვიყვე...

გამიკვირდა, როგორ ყველაფერი(?) უთხარა, ნუთუ ისიც, რითაც ისე დამაშოშმინა და გამახარა, ცას დამწია, უკანასკნელი გამომშვიდობების დროს... ნუთუ ესეც უთხრა და მაინც დათანხმდა მისი „ქმარი“?.. გონზე ისე არ ვიყავი მოსული, რომ ვერც კი ვკითხე. აღარც მაინტერესებდა ხომა... ახ, რა მინდოდა პრაგაში, რა მინდოდა პრაგაში?!.. (რამაც დამაგვარანა მთელი კვირა) და... მოულოდნელად, აღბადა სისუსტით, დაღლილობით ნერვებისა, — ღვარივით ცრემლები წამომივიდა და ტირილი ამივარდა; — როცა გულით სრულებითაც არ მეტირებოდა, ისე ვიყავ გახევებული და საზოგადოთაც... მოელ ცხოვრებაში ერთი-ორჯელ თუ მიტირნია. არც დაუშმივიდებივარ... უცებ შევიმრალე თვალები, ავდექი წამოსასვლელად და საათს რომ დაბაზედე — შემზინდა — ღამის 12 გადასულიყო და მაშინ სასტიკად იყო აკრძალული შუაღამის შემდეგ სიარული: „გაუფრთხილებლად ესროლეთ, ან დაიჭირეთ“-ო. გავედი საჩქაროდ უახლოეს ოტელში, არ მიძიღეს უადგილობით და უკანვე დავბრუნდი.

მიმიღო... „ჩაის გაგიკეთებთ“-ო.

— არა, დაწექი, დაიძინე, ნუ გეშინია, და... იქვე „დივანზე“ ვიწექი განთიადამდის.

1. პედანტი, ზედმიწევნითი, ის ფართო გაგებისა (ფრ.).

გრძნობით კი არა, აზრადაც არ მომსვლია მასთან მისვლა... მაგრამ, როცა უთხარი – „ქმრისათვის ყველაფრის თქმა არ ვარგა-მეთქი, ეხლა თუ არა, უსიამოგნების დროს შეიძლება წამოგაყველოს და ეჭვი დაებადოს...“

– როგორ, მაშ არც ის უნდა უთხრა, რომ დამე ჩემთან გაატარეთ? -ო

– ეგ შენი საქმეა, მაგრამ, ყველაფრის თქმას არ გირჩევ, გართულების თავიდან ასაცდენად...“ „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, – შეიძლება შენც არ დაიჯერო პეტრე: კაცს, ისიც ჩემსავით სახელგატებილს, მთელი დამე გაეტარებინოს ლამაზ, ოდესლაც უსაყვარლეს ქალთან და არა მარტო ხელი არ ეხლოს, არამედ არც სურვილიც ჰქონოდეს ამისი და არც აზრადაც მოსვლოდეს; და <<ქმარი>> რას დაიჯერებდა? დოდოს კიდე, მგონი, ისე ეძნა, ვითომც არ ვყოფილიყვ...? //

შემდეგ, დოდო, ელიკო და ლულუ ბერლინშიაც შემხვდნენ ერთად, კაფეშიაც დამპატიუეს, მაგრამ ჩემსა და დოდოს შუა არამცუ აღარაფრი საერთო აღარ იყო, არ მესიამოვნებოდა კიდეც რომ მასა და ელიკოს ერთნაირად ეცვათ „ახალ მოდაზე“: – <<კაპუშონი, კურდლის ყურებიანი, მოკლე შავი წამოსასხამი (Cape) ბუზმენტიანი და მოკლე ჯუბა>>. ორთავენი ლამაზები, მშველებსა ჰგვანდნენ, მაგრამ ჩემთვის – არარანი. და ეს ერთნაირობა მათი პირდაპირ უმსგავსობად მეჩვენებოდა. მით უფრო რომ ელიკო მუდამ ცრუ და ცრუპენტელა იყო, დოდო – ცამდის მართალი გულისა; ელიკო არასოდეს მყვარებია (ოუმცა ჯერაც გაუთხოვრი იყო მაშინ) და დოდო – გათხოვილი უპევ და... ჩამოქვეთებული სხვასთან მსგავსებამდე. მოარშიყე, დონეუანი რომ ვყოფილიყვავი, გაუშვებდი ასეთ გოგოებს... ომის – გააღვილებულს ამ მხრივ – დროსა? // მაგრამ, თავის მოკვლის წინა ხანებსა და მალე შემდეგაც, – საშინელი სიზმრები ვნახე ზალცბურგში, საცა გავიგე ეს საშინელი ამბავი: „ჩვენმა დოდომ თავი დაიხრჩო და ხუთი დღეა მისი გვამიც ვერ უპოვიათ“-ო, – მწერდა ლიზა.

პირველი სიზმარი, სიგვდილამდის: <<ზალცბურგში ვცხოვრობთ დიდი კამპანიით, გარშემო სასტიკი ომიანობაა და დოდო დაგვეკარგა... სამხედრო ზონას გადასცდა და ალბად მტრებმა მოჰკლეს ან შემთხვევით დაიღუპა“-ო. საშინალად აღელვებული მივდივარ საძებრად, ქვეყნა დანგრეულია და ყველა მხრიდან ჭექაჭეხილი ისმის ზარბაზნებისა... ერთი კლდის წინ, რომლის წვერიდან შემბარებით დანგრეული ციხის ქვა და აგური ჰყობლა ველზე... უცებ მესმის დოდოს ხმა მწვანე ქაშანურის ქლიდან: „აქა ვარ, ბატონო რეზო“... ხმა საცოდავი მომაკვდავისა... გაკვირვებული მივდივარ ქილასთან და ნამდვილად შიგნიდან მოდის ხმა, დავმტერიე ქილა დასაზარლობასა ვხედავ... დოდოს მოჭრილი თავია... თვალები ორნავ დია, და მოღიმარი პირით მეჩურჩულება: „ბატონო რეზო... თქვენი ვარ ხომ ისევ...? სასწაულის გრძნობამ მომიცვა, დავეწავე ტუჩებში, გამოსაცოცხლებლად... და... ის კი, ჯერ ცხელი, მერე თბილი, თანდათან გაციებული ამბორით მიკვდებოდა...>>. გამომეღვიძა აღელვებულს, პირჯვარი გადავიწერე... „ჯვარი სწერა“-მეთქი და თუმცა სიზმრებისა არა მჯერა, რაღაც დანაშაულის მსგავსი გრძნობა... განვიცადე. //

მეორე სიზმარიც სიგვდილის შემდეგ: <<...გულაღმა მიაქვს წყლს, უპევ ხავს-მოკიდებული დოდო და სადღაც შორს დედაკაცები სარუცხსა რეცხავენ. ერთმა დაინახა, გამოიტანა ნაპირზედ, პირში ჩაპტერა და მკლავების გადაქნევაგადმოქნევით... აბრუნებს... ვხედავ შორიდან თუ თანდათან დოდოს როგორ ფერი მისდის, აგერ წამოვდა და გაკვირვებულ- გაშტერებული თვალებით აქეთ-იქით იყურება. გახარებული დავრბივარ... ცოცხალია, ცოცხალი! და...>> ...გამომეღვიძა გულ-გასახეთქად... რომ მხოლოდ სიზმარი იყო. // იცოდე კია, რომ სიკვდილის შემდეგ, – დღემდე, არა მარტო თვითონ დოდო, მისი, ობლად დარჩენილი შვილიც, მშვენიერი გიორგი, – შვილივით მიყვარს, მაგრამ,... არც კი მელაპარაკება მისი ჰაპის... „ინიციალების“ გამო...

ციცინო ჯერვალიძის წიგნიდან
„პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“,
2012, თბილისი.

¹. გიორგი კერესელიძე (1944-2003) – ლულუ კერესელიძისა და დოდო ამილახვრის ვაჟი. მისი ქალიშვილი ნესტანი ცხოვრობს პარიზში.

თამა შაგიშვილის შვილი

სიცოცხლის დროა!



ეს ქეთი დიდიშვილის სამყაროა – ხან ოჯახური აღბომივით მშვიდი, ხან თავბრუსხვევამდე ფურმრავალი ვიტრაჟებით, ხანაც „ჭრილობის უსწორმასწორო მეწამული ზედაპირებით“...

„ჭრინახულივით ჭრილობები
მინდა დავთვალო,
მომავლისათვის ლოცვა არა,
გლოვა მაცალე“...

ჭრილობებიდან იწყება დილა და სიყვარული ამ წიგნში, როგორც პოეზიის ნატვრის ხე – უამრავი სურვილით ახუნძლული, და ყველაზე დიდი სიყვარულით!.. რომ

„მხოლოდ აქ მყავდეთ,
აქ გულთან ახლოს...
ტკივილამდე...
შენ და სამშობლო“.

მთელი ეს წიგნი მარადიული ქალის სიშვიდეა, მარადიული სახლი, – ჩიტებით და ანგელოზებით, მარადიული საბანი... ხან ევას, ხანაც რებეკას, ხანაც სარას საგოდებლით, ათასწლეულებიდან გამოხმობილი სევდით, რომ არაფერი არ იცვლება, არც ცა, არც სული:

„ვერ გხედავ, მაგრამ ვიცი,
ახლოს ხარ –
ხელის ერთი გამოწვდენაა,
თუ გული გულობს.
პოდა, მამბე, რას დაუძებ ათასწლეულებს,
(ისევ ისეთი ცა
დაგვყურებს ვარსკვლავიანი)“.

უხილავი ფიქრის ძაფი გაბმულა ამ

სამყაროსა და ათასწლეულებს მიღმა არსებულ სამყაროებთან, პოეტი გამოიხმობს ტკივილებს, და ის სამყაროებიც, როგორც ხელის ერთი გამოწვდენა, როგორც „იმედის მტვერი“, ისე განფენილა:

„მე მქვია ქალი,
მქვია ცოლი და მქვია დედა
და ტკივილები, მოვარდნილი
შლეგი ქარივით,
ჩემი ხვედრია ყველა ქალის
თანმდევი სევდა,
როგორც ცრემლები
დამწუხრებულ სერაფიმების“.

ყველა ქალის თანამდევ სევდაში „ათასწლეულებს გადასწვდება მოთქმა კოლხური“.

მედეას ტკივილი პოეტის უკურნებელი ტკივილია და იგი ასე მიმართავს „ოქროს კერძისა და სიყვარულის მწველ ლეგენდას“.

„მოდი, წყლულებზე ჩემი
ლექსი შემოიხვივ.
ნაღალატევიც, მოღალატეც
მანც ჩემი ხარ,
თუ დაგიამებს მოსასხამი
ლექსის შილიფი
ტკივილს, გეტყვი, რომ გაყიდულიც



სხვებს მირჩევისარ,
მაინც მიყვარხარ, დაგიტირებ
ჩემი შვილივით“.

ლექსების მოსასხამი, იგივე მარადიული
საბანი მოელ სამყაროს სწვება, პოეტისთვის
სამოთხის გაშლი – დედამიწა ხელისგულზე...

„რა პატარაა! აპატიე!... იყავი ღმერთი!“
აპატიე, მით უფრო, რომ ქარი მატულობს,
სიცივე და თოში ემუქრება ყველას და
ყველაფერს, „როცა ფოთოლ-ფოთოლ
გეძარცვება და ფეხქვეშ გეცლება მიწასავით
სული“... პოეტი უმწეობასა და შიშს
განიცდის, რომელიც ამ ერთი წინადადებით
შეგძრავს:

„იმის მაგივრად, რომ
აუჯანყდე,
საკუთარს აგროვებ ნაფოტებს
და თბები“...

იმის მაგივრად, რომ აუჯანყდეს
გაუცხოებულ ქალაქს, სამყაროს, ყველა
იმ უკეთურებას, რაც ანგრევს და სხებას
ადამიანთა სულებს („მოდიან კაცები
ცულებით“), პოეტი სიყვარულისა და
შენდობის ფრანს გაუშვებს. ეს ფრანი
შროშნებითა მორთული და მზისკენ მიაქვს
ძვირფასი ძლვენი – სიყვარულის სუნთქვით
გამთბარი გული. მოცელილი ხორბლის
თავთავს ჰგავს ქალი:

„იდგა საღამო და
რძის და პურის
თბილი სურნელი ჰქონდა
მოცელილ ხორბალს
და მივხვდი, ვიყავი ქალი
და რომ სამყარო მეძრა მუცელში“...

მიუხედავად ტკივილისა, ღალატისა,
უნდობლობისა, სიცოცხლე გრძელდება
(„პედარს ვგავარ, თუმცა ნამეხარს“),
სიცოცხლე და გული თბება ლექსებით,
სიტყვით, რომელმაც უნდა მოიყვანოს
გაზაფხული:

„ყურძნის მტევნები დავიკიდე
სამკაულებად,
ბროწეულების მათრობელა
განთიადები,
ასე უბრალოდ, ასე სადად
და აუმღვრევლად
მომაბრუნებენ ცხოვრებისკენ
ანდამატივით
სიტყვები, როგორც აღსარება
(ვერ) არ ნათქვამი“...

ასეივე აღსარებაა ეს წიგნი მარადიული
სათქმელით:

„თუ სიცოცხლეა – უნდა
გიყვარდეს,
თუ სიცოცხლეა – უნდა
გტკიოდეს!“

პოეტი ყოველთვის სიცოცხლის დროს
ქმნის. გახსოვთ: ჟამი ჩემია და ჟამისა მე
ვარ იმედი. იგივე აზრი ამ წიგნში ითქვა:
„სიცოცხლის დროა ჩემს მაჯაზე მფეთქავ
საათზე“... მართლაც, სიცოცხლის დროა,
სადაც ჩიტები და ანგელოზები ატრიალებენ
სამყაროს ციფერბლატს. „ხოლო გულისა
და ცის და მიწის ყველა სარკმელი, ყველა
კარიბჭე ღიაა და ღმერთთან საუბრობს“.

აუბა ლებეცი

* * *

ახლა

შორსა ხარ და მენატრები,
დეკემბრის ბოლო დღეც მიიღია,
ოთახში ჩემი სადა ხატები,
ქმნიან სიმშვიდეს და
იდილიას.

გარეთ კი

ბარდის და ბარდის ისე,
უნდა დათოვოს ჩემს გულზე თითქოს
და მოხატული ფიფქებით სივრცე,
იდუმალია, ვით
საიქიო.

ჩვენ დავრჩით მხოლოდ,

მე და შენ ორნი,
წელიწადები ქარივით ქრიან
და უკვდავება თანდათან მოდის,
ამ გარინდებულ საფლავთა
მიღმა.

დიდი ხანია

დათოვა უკვე,
აბრიალებენ ჭინკები კოცონს,
დიდებულია ეს საუკუნე,
მაგრამ მე იგი სულაც არ
მომწონს.

გონივრული ეჭვი, ანუ აღდგენილი სამართალი

პირველად, ჩემს ქვეყანაში ცხოვრება ისევ ღირს-მეოქი, 4-5 წლის წინ ვთქა... ქართულ პოლიციასთან შეხლა-შემოხლისა თუ დაპირისპირების შეძლევ... ეს ამბავი ასე იყო... ფოთიდან ჩემი ცოლის ძმის ამერიკიდან გამოგზავნილი მანქანა მომყავდა...

საღამოვდებოდა, გორის ტრასაზე, დაღმართში (მაშინ გვირაბი არ იყო) პატრულმა გამაჩერა... ეკიპაჟი დაბლა იღვა, მე ისინი შორიდან დავინახე, არ დამირღვევია, მაგრამ გამაჩერეს. ჩემი უტყუარობის მტკიცებით გაღიზიანებულმა ერთ-ერთმა ეკიპაჟის წევრმა (გვარად ნოზაძე იყო, რა დამავიწყებს), კაიფში ხარო, ხელვი გადამიტრიალა და მუჯლუგუნით მანქანაში შემაგდეს... მე იქ ავფეთქდი, ცოტა კი შეცნენ, მაგრამ უკან აღარ დაიხიეს, — იმ ნოზაძემ გონივრული ეჭვი მაქვს, გაჩხერილი გაქვსო, უფროსს გადაურევა. ხმა მესმოდა, უუბნებოდნენ იქიდან (მეწვილეც მათთან ერთად), დაანებე თავი, გაუშვი, შემთხვევა გვაქვს, აქეთ წამოდითო. გონივრული ეჭვით შეპყრობილმა ნოზაძემ, შესამოწმებლად გორის პოლიციაში გადამიყვანა (ვინც მიცნობს, ალბათ, გაეცინება ჩემი ნარკომანობა)... მაშინ რეჟიმი იყო, ბატონებოთ.

ვფიქრობდი, აქ რაღაც სხვა ამბავია, ბავშვობაში, ან ახლა სადმე რამე დანაშაული ხომ არ აღმომიჩინეს და დაკავების მიზეზად წამალს იმიზეზებენ-მეოქი...

მოკლედ, გადამიღეს სურათები ანფასში, პროფილში და მერე ის საშინელი პროცედურა, ჭიქას რომ გამოგიშვერენ და უნდა მოშარდო, მერე იმ ჭიქაში ჩაყოფილი ტესტი და საბოლოო პასუხის მოლოდინი...

ჩემს ნერვიულობაზე, დამამშვიდეს, თუ სუფთა ხარ, ნუ გეშინა, ძველი დრო აღარ არისო და ყოჩად, სუფთა აღმოგნდი... ნოზაძის მეწვილემაც და პოლიციის თანამშრომლებმაც ცერად გადახდეს გონივრულად ეჭვიანს, მერამდენედ უნდა მოგვიყვნოს ტყუილუბრალოდ ხალხი, მაგრამ ეს უკანასკნელი პოლიციის მშერით მიმზერდა მაინც (იცით, როგორია, ბატონებო, ეს მზრა) და ისიც კი გაბედა, — რაკი ნარკომანი არ აღმოჩნდი, 10-ლარიან ჯარიმას დაგიწერთ, ვითომ მომრაობა დაარღვიე, გაჩერების მიზეზი ხომ უნდა გვქონდესო...

ხვდებით, რომ ამ 10 ლარზე აღარ დავიწყებდი წინადმდევების გაწევას, მაშინ რეჟიმი იყო, ბატონებო... და მოუხედავდ ამ ყველაფრისა, გორის პოლიციელის

ნერილი ოწადებების

ჯემბის ბობის გამოცემი

სიტყვებმა — ნუ გეშინათ, ახლა ის დრო აღარ არისო და მათმა კეთილშობილურმა დამოკიდებულებამ, მაფიქრებინა, რომ კიდევ ღირდა ჩემს სამშობლოში ცხოვრება...

მეორე ამბავი ახლახან, ახალი მთავრობის დროს მოხდა... ჩემი მეგობრის და დააკავეს ვითომდა, ნარკოტიკის შეძნა-შენახვისათვის... ბევრმა თქვენგანმა იცის, როგორ ხდება ეს პროცედურები... ვიღაცამ რაღაცა გადასცა და წინასწარ ჩასაფრებულმა პოლიციელებმა აიყვნეს... 6 თვე დასკირდა სიმართლის დადგენას... პირველად პირველივე სასამართლოზე გაათავისუფლეს გირაოს გადახდის შემდეგ, მაგრამ 3 დღეში პროკურატურის მოთხოვნით ზედ ახალი წლის დამეს, 31 დეკემბერს, ორი შვილის დედა, საზოგადოებაში დაფასებული ადამიანი, სევ სატუსალოში გამოამწყვდიეს, ე მანდ სადმე არ გაგვეპაროსო... და დაიწყო სასამართლოებით... ბოლო მოსამართლეზე კი გვეუბნებოდნენ, ძალიან განათლებული და სამართლანია (ჩვენც მხოლოდ სიმართლეს ვითხოვდით), მაგრამ ხომ იცით, რეჟიმი ჯერ კიდევ რეჟიმობდა... ადვოკატების ყველანირი მტკიცებულებების მოუხედავდ, პროკურატურა აზრს არ იცვლიდა და ჩვენ „ოთარაანთ ქვრივის რეინის ქალამწებით“ ვაპირებით სტრასბურგში წასვლას...

მადლობა ღმერთს, ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს... და მე მეორედ ვთქვი... ჯერ კიდევ ღირს ჩემს ქვეყანაში ცხოვრება... აქვე მადლობა მინდა ვუთხრა მოსამართლეს, — ბატონ ბაღრი კოჭლამაზაშვილს არა ამ საქმის გამო... მე ის პირველივე დანახვაზე მომეწონა. აი, ხომ ხდება ხოლმე, დაინახავ ადამიანს და მასში რაღაც სხვა სინათლეს, სხვა ადამიანურ თვისებებს შეაჩნევ თავიდანვე... ამ განწყობილებით ვუყურებდი ყოველ პროცესზე და ვერ წარმოიდგენთ, როგორ მისამოვნებდა ამ თეთრთმიანი მოსამართლის მოსმენა... როგორ არ მინდოდა, მასზე შთაბეჭდილება შემცვლიდა და მეფიქრა, რომ ზეწოლა მოახდინეს... ნურას უკაცრავად, მკაცრად გამოაცხადა უდანაშაულობა და გრძნობა ადამიანურობისა გამიათასდა... მადლობა თქვენ, ბატონ მოსამართლევ, არა მარტო ამ კონკრეტული საქმის გამო, არამედ ჩემში იმ მარადიული ფასეულობების, იმ ზნეობრივი კატეგორიის განმტკიცებისათვის, რომლის გამოც მინდა და მიღირს ცხოვრება... ლამაზია ჩემი ქვეყანა, ბატონებო, გიხარღდენ!

გმადლობთ, ნახვამდის, მაია მასწავლებელო!

ჩუღურეთის ძველთაძეელ უბანში, ნინო ჩხეიძის ქუჩაზე, წმინდა ნინოს ეკლესიასთან ახლოს პატარა საბავშვო ბაღია. ბაღის სადა, ორსართულიანი ლამაზეზოიანი შენობა ერთ დროს კერძო პიროვნებას ეკუთვნოდა. შემდგომში კი საბავშვო ბაგა-ბაღიად გადაუკეთებიათ და დღემდე ამ ეზოში არ წყდგა პატარა, ცუგრუმელა გოგო-ბიჭების ურიამული — უივილ-ხივილი. არ შეიძლება ამ სიცოცხლით სავსე შენობას ისე ჩაუარო, რომ თვალწინ არ გაირბინოს შენი ბავშვობის დაუკიწყარმა კადრებმა. შენს ცნობიერებაში არ ამოტივტივდეს შორეული, მაგრამ ძვირფასი სახეები, არ მოგწატროს ის წარუშლელი დღეები, ტკბილად და უზრუნველად გატარებული წუთისოფელი. რამდენი ამ ძვირფას სულის თაზისს დავინახავ, იმდენი ჩემი ბავშვობისდროინდელი ლექსის სტრიქონები მახსენდება: „ქუჩაში შემწვდა ჩემი ბავშვობა და მხარზე ხელი მომითათუნა“.



შეაღებ თუ არა ბაღის კარს, სითბო და სიყვარული იღვრება ირგვლივ. მარტო რად ლირს პაპა იურას შემოგებება. ის ხომ ბაღის დარაჯია. ათეული წელია ბავშვებთან ატარებს. დიდი სილბო და გულისხმევა გამოსჭვივის ბაგა-ბაღის თითოეული თანამშრომლისგან. აშკარად იგრძნობა, რომ პედაგოგთა ძვირფას კოლექტივს მოუყრია აქ თავი. სწორედ აქ, ამ შესანიშნავ ბაგა-ბაღში (96-ე ბაგა-ბაღი, დირექტორი დოდო მოწონელიძე) უკვე მე-7 წელია მოღვაწეობს ერთი მშვინიერი ქალბატონი, რომლის სახელი და გვარი მაია კუჭუხიძე-ყაჭეიშვილი გახლავთ. ქალბატონი მაია თავადაც საუცხოო ოჯახთან — შესანიშნავ მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად, ჩუღურეთის მკვიდრია. ამიტომაა, რომ იგი ორმაგად უყვართ ჩუღურეთელ პატარებს. ორიოდე შტრიხი მისი ბიოგრაფიიდან:

ჩვენი წერილის გმირი ქუთაისში დაბადებულა, 1969 წელს. იქვე დაუმთავრებია როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სასწავლებელი — აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი — ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით. საუბრიდან მიხვდებით, რომ ეს საოცრად კეთილშობილი ქალბატონი ინტელიგენტის ოჯახიდანაა. მარტო ის რად ლირს, რომ მისი ბაბუა ვასილ ფორცხიძე (დედის მამა) ათას ცხრაას ოცდაათიან წლებში



დიდ ნიკო კეცხოველთან ერთად იკვლევდა სამხრეთ საქართველოს ნიადაგებს. ასე, რომ მაია მასწავლებელს,— ნორჩების საოცარ აღმზრდელს,— მოსაგონარი და საამაყო ძალზე ბევრი აქვს. ქუთაისის მერე თბილისში. აქაც გაუმართლა ქალბატონ მაიას. შესანიშნავი მეუღლე, რომ იტყვიან, ვარანცოვის სული და გულია ბატონი ნუგზარ ყაჭეიშვილი,— კარგი სამეზობლო და სამეგობრო ადამიანი. შვილებმა ხომ გაუმართლეს და გაუმართლეს. ქალ-ვაჟი — ორივე სტუდენტია. საამაყო ბავშვები არიან. ჩემს სიჭაბუკეში ასე მახსოვს, ასეთი გამონათქვამი არსებობდა კახეთში: „მტრისთვისაც კი საამაყონიო“. — სწორედაც ასეთები არიან: ნიკა და მარიამ ყაჭეიშვილები. და ასე — მიდის ცხოვრება ერთი ძვირფასი პიროვნების, მაა მასწავლებლისა — რა დაულევს საზრუნავს ამ კეთილშებილ ქალბატონს. ახლაც თავის პატარებს სასკოლოდ ამზადებს. ემზადებიან ახალი ცხოვრების დასაწყებად. წავლენ მშობლიური, საყვარელი ბაღიდან სკოლაში და საგზლად წაიყოლებენ იმ სითბოს და სიკეთეს, რომელიც მათთვის მარად დაუკიწყარი იქნება.

ნახვამდის, ძვირფასო ბაღო, გმადლობთ, ჩემო მაია მასწავლებელო!...

ლუკა ცხვედიანის სახელით:

პაპა თემურ ჩალაბაშვილი



ბირჩები ზეჲბინი



ლამეული სტუმრები

დამე... თოვლი... სიცივე... ზის ქოხი უდაბურ ბორცვზე. კარზე კაკუნი.

- ვინ არის?
- მე ვარ.
- შემოდი! რამ მოგიყვანა?
- ამინდმა.
- უფრო ზუსტად?
- თოვლმა, სიცივემ, ლამემ...
- რას ვიზამთ?!
- მე ვერაფერს... უკვე ვერაფერს. მაგრამ შენ... შენ — კი.
- ვითომ? არა მგონია. უკვე ბევრჯერ ვცადე, მაგრამ ლამეს ვერაფერს ვუხერხებ. ვერც ამინდს.

თოვლს ქარი ანაცვლებს, ქარს — თოვლი.

- მახსოვს, ამ ბორცვზე ბევრი ხე იდგა. სულ გადამწვანებული იყო აქაურობა. ედემის ბაღს პერვალი რა მოხდა?

- მაშინ ზაფხული იყო. აცივებასთან ერთად, გასათბობად ვჭრიდი ხეებს ერთმანეთის მიყოლებით და აი, რაც უკანასკნელი ზის უკანასკნელი ტოტი დავწერ, მას შემდეგ ქოხშიც ისევე ცივა, როგორც ქოხს გარეთ.

- ზამთარი როგორ დადგა, ხომ არ გახსოვს?

- მახსოვს. ჯერ ერთი ფიფქი ჩამოვარდა. არ მივაქციე ყურადღება. მერე — მეორე და ასე, თვალსა და ხელს შუა მომეპარა პირქუში ზამთარი მუდმივი მწუხრით.

- მზე არ მოგენატრა?

- ძალიან. დაადნობდა თოვლს და ცოტას გამოაცოცხლებდა აქაურობას. დამღალა ლამემ. ვნანობ, რომ პირველივე ფიფქის დავარდნისას არ დავიჭირე თადარიგი.

— ნანობ? შენ რა იცი, რა არის სინანული? შენ სინანულს იმას ეძახი, ძილის წინ წამოწოლილი, გულში ღმერთს რომ ესაუბრები და ერთ-ორ ცრემლს რომ ჩამოაგდებ. მაგრამ მეორე დღეს რა ხდება? ამოდის მზე, ჩიტები ჭიკჭიკებენ, იღვიძებს წუთისოფელი და შენც მასთან ერთად ერთვები ამაობაში, ზუსტად იმას აკეთებ, რაზეც წინა დამეს ვითომ ნანობდი.

— ტყუილია!

— ნუთუ? შედარებით ახლო წარსულიდან გაგასენებ, ერთი გაბედე და თქება, ტყუილია! სულ რამდენიმე თვის წინ ებრძოდი შენს ერთ-ერთ მაგნე ჩვევას — მოწვევას. ეს თუ გახსოვს?

— მახსოვს.

— ის თუ გახსოვს, მორიგი რელიგიური წიგნი რომ წაიკითხე და აღტკინებულმა გაუხსნელი სიგარეტის კოლოფი დაჭმუჭჭნე, ოთახის კუთხეში მიაგდე ზიზღით?

— მახსოვს.

— ის თუ გახსოვს, იმ მომენტში რა გაწუხებდა? მიპასუხე!

— ვაცნობიერებდი, რომ ყოველი ღერის მოწვევისას უფალს ვთალატობდი და გულს ვტკნდა. — ახლა შემომხედე თვალებში და მითხარი, როგორ მოიქცი დილით?

— შენ იცი, როგორც!

— მინდა, რომ შენმა ბაგემ წარმოთქვას. ვიცი, რომ გიჭირს. აჯობე შენს თავს! როგორ მოიქცი დილით?

— დაკუჭული კოლოფიდან წელში მოგრეხილი სიგარეტის ღერები სათითაოდ, ფრთხილად ამოვაცურე, გავასწორე და მოვწიო... (თავი ჩაქინდრა და სახეზე ხელები მიიფარა).

— მოწიო. და ამას ეძახი სინანულს, ადამიანო (ჩაიცინა ირონიულად)?!. მე ვერ გასწავლი სინანულს. სინანულს ვერავინ ვერ გასწავლის. ეს მადლია, რომელიც უნდა დაიმსახურო. ისწავლე ჩემით, ჩემზე, სანამ ვარ! ხომ ხედავ, ხელ-ხელა ვქრები. ჩემთან ოქროს ძაფები და დამპალი თოკები გაპავინებს. უნდა იცოდე, რომელი გადაჭრა და რომელს მოუფრთხილდე! წავედი ახლა.

— ნუ წახვად! არ გაგიშვებ! შენში ცოტა რამ მხიბლავს, მაგრამ მაინც მენატრები.

— უნდა გამიშვა! მე თუ არ წავალ, სხვა ვერ მოვა.

— ვინ სხვა?

— გამიხსენე ხოლმე! განსაკუთრებით გამიხსენე ისეთი, პატარა რომ ვიყავი

ძალიან. აღალი, წრფელი, ცნობისმოყვარე, ფანტაზიორი, თავგადასავლების მაძიებელი ფათერაკიანი ბავშვი, შეუქნი ლოყებით და ფიქრიანი თვალებით. კარგად!

— მშვიდობით!... აღარ თოვს. ისევ ღამეა. კარზე კაჯუნი.

— მობრძანდით!

— შეიძლება?

— შემოდი, მოხუცო! ჩამოჯექი! შეისვენე!

— რას მეტყვე? — რა უნდა გითხრა?

— რას აპირებ?

— სიარულს.

— საით?

— წინ!

— მერედა შეძლებ?

— არ ვიცი...

— პროგრესია.

— რას გულისხმობ?

— აქამდე ზედმეტად თავდაჯერებული იყავი. ძალიან ენდობოდი შენს თავს. ლოცვებში უფალს ეუბნებოდი: „იყავ ნება შენიო“, მაგრამ სულ შენს ნებაზე ირჩევდი გზებს. შუა გზაზევე ხვდებოდი, რომ არასწორი გზა გქონდა არჩეული, მაგრამ ხან თავს იმართლებდი, ხან კი, ოღონდაც სხვებისთვის არ გეჩვენებინა, რომ შეცდი და გაკვალულზე გადასვლის ნაცვლად, მანც გაუკვალავზე რჩებოდი და წვალებით გადიოდი ბოლოში. ვხედავ, ცოტათი წაუმტვრევია შენთვის ცხოვრებას რქები. სიამაყეც ზომაზე დასულა. ახლა თვალების გახელა გჭირდება უფრო ფართოდ და ილუზიებისაგან გათავისუფლება.

— რომელი ილუზიებისაგან?

— თეთრი კურდღლელი...

— თეთრი კურდღლელი?

— ჰი, ილუზის სიმბოლო. რა გაგიკირდა? ბოროტი კველას უჩენს შესაბამის ილუზიას, რომლისკენც ისწრაფვიან და ამ ილუზიის დევნაში კარგავენ დროს, კარგავენ მადლს, კარგავენ საკუთარ თავს და რაც მთავარია — კარგავენ უფალს. ზოგისთვის თეთრი კურდღლელი სიმძიდირეა, ზოგისთვის — პოპულარობა. ზოგისთვის — რომელიმე პროფესია ან ოცნება, უუჭი მიზნები. ან ის, რაც ძალიან კარგია, მაგრამ რისი ზიდვის უნარიც არ გაქვს. — მივჩვდი.

— კარგია. ქრთი მითხარი, სიკვდილზე რას ფიქრობ? ან ფიქრობ კი საერთოდ? ან იცი კი, რა არის სიკვდილი?

— სიკვდილის შიში არასდორს მქონია. ის კი არა, მიოცნებია კიდევაც გმირულ ან უბრალოდ დირსეულ სიკვდილზე. რამდენ-ჯერ მინატრია, რომ სხვის გადასარჩენად დამეთმო სიცოცხლე. — ეეჲ, მეგობარო

(თავი გააქნია მოხუცმა) ... ეგ სიკვდილი კი არა, გარდაცვალებაა. ვწუხვარ, რომ მიწევს შენთვის ამის თქმა, მაგრამ... იცი, სანამ გარდაიცვლება ადამიანი, შეიძლება მანამდე ბევრად ადრეც რამდენჯერმე მოკვდეს.

— ეგ როგორ? შენ ისე ყველი, მგონი უკვე გამოცდილი უნდა გქონდეს და არც კი ვიცი, მინდა თუ არა ამის მოსმენა.

— გინდა თუ არ გინდა, ეს უნდა მოისმინო. კაცი ხარ და სიმართლეს, როგორიც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის თვალი უნდა გაუსწორო! ასე ყალიბდება მტკიცე ხასიათი.

— მოყევი, მოხუცო!

— შენზე ოდნავ დიდი ვიყავი მაშინ. ალბათ, რამდენიმე თვით. შეიძლება წლითაც, კარგად აღარ მახსოვს. მაგრამ კარგად მახსოვს ის, მისი თვალები... მისი მზერა... თითქოს რაღაცის თქმა სურსო ამ გამოხედვით. მერე მის თვალებში შუქის ჩაქრობა... მისი ნაადრევი გარდაცვალება და მასთან ერთად ჩემი სიკვდილი. იცი, რა არის? სიკვდილი ორნაირი არსებობს

— შენ, როგორც პიროვნება, შედგები ორი ნაწილისგან. ერთს შეადგენენ შენთვის ძვირფასი, საყარელი ადამიანები, ხოლო მეორე შედგება იღეალებისაგან. როდესაც კვდებიან ადამიანები, ან იმსხვრევა შენი იღეალება, მათთან ერთად კვდება შენი ის ნაწილიც, რომელსაც ისინი შეადგენდნენ. და ასე ნელ-ნელა, რაც უფრო მეტ ხანს ცოცხლობ და რაც უფრო ფხნიზელი თვალით იყურები, რაც უფრო მეტი ადამიანი გიყვარს და რაც უფრო მეტად, მით უფრო მეტჯერ და მით უფრო მტანჯე-ლად კვდები... ბევრ ბოროტებას ნახავ ცხოვრებაში, ბევრ რამეზე ჩაეწევება გული, მაგრამ არც გაბოროტდე და არც უფალი დაგმო! იცოდე... რაც უფრო დიდ დარტყმებს გაუძლებ, მით უფრო გაძლიერდები. ღირსეულად დახვდი ყველა გაჭირვებას! მოკრძალებით და თავშეკავებით შეხვდი ყველა გამარჯვებას! სინდისს უსმინე, სუფთა გულით იარე! ეს ყველაუფრო არა იმიტომ, რომ მერე რამე საზღური მიიღო! არა! იმიტომ, რომ ასეა საჭირო. იმიტომ, რომ ასეა სწორი. იმიტომ, რომ ამას გკარნახობს გული. წავედი!

— სად მიდიხარ?

— ვინ იცის?! წარსული წასულია. მომა-ვალი დაფარულია. მხოლოდ აწმყოა აქ და ისიც წუთს აქეთ უკვე წარსულად იქცევა და წუთს იქით უკვე მომავალია. გვიანია სუფთა ფურცლიდან დაწყება, სამაგიეროდ, როგორ გავაგრძელებ, უკვე ჩემს ხელთაა... ირიურაჟა...

„რუსთაველის და დანტეს იდუმალი“

მაია ცერცვაძის საჯარო ლექცია



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის აუდიტორიაში გაიმართა მაია ცერცვაძის საჯარო ლექცია „მე არ დამკარგავს სამშობლო – „ვეფხისტყაოსნის“ კოსმოლოგიის ემიგრანტი მკვდევარი ლადო ბელიაშვილი“.

საჯარო ლექცია თანმხლები ფოტოკოლაჟით მიეძღვნა ქართველ ემიგრანტს, სამშობლოში ნაკლებად ცნობილ ვლადიმერ (ლადო) ბელიაშვილს (1906-1961).

ლ. ბელიაშვილი ქართველი მწერლის აკაკი ბელიაშვილის უმცროსი ძმაა. დაიბადა ჭიათურაში. ემიგრაციაში ის

1926 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ გაემგზავრა. ცხოვრობდა საფრანგეთში, ჯერ მარსელში, შემდეგ – პარიზში. უსახსრობის გამო ვერ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება და შხოლოდ ფრანგული ენის კურსები დამთავრა. მთელი სიცოცხლე მუშაობდა სამშენებლო სამუშაოებზე. მრავალმხრივი ინტერესების ქვეშ ლადომ ხელი მიჰყო თვითგანვითარებას და მწერლობაში სცადა კალამი, მას ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა, ნარკვევა, თეორი ლექსი...

ლ. ბელიაშვილის უმთავრესი ნაშრომია 1956 წელს პარიზში გამოცემული წიგნი „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“ (es Secrets de Rousthaveli et de Dante liguiery), რომელიც რუსთაველის კოსმოგრაფიულ შეხედულებებს (სამყაროს აგებულება, მზის სისტემა, პლანეტების მოძრაობა, მათი გამომწვევი მიზეზები...) ეძღვნება. წიგნის გამოცემამდე, 1953 და 1954 წლებში, მან ამ საკითხებზე პარიზში ორი საჯარო მოხსენება გააკეთა.

1960 წელს ლ. ბელიაშვილი ინახულა ძმამ აკაკიმ, რომელიც, კინემატოგრაფისტთა საკავშირო დელეგაციასთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმავალი გზად პარიზში გაჩერდა.

ლ. ბელიაშვილს საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია და არც უშუალო მემკვიდრე დარჩენია. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან სამშობლოში დაბრუნების ნებართვა ითხოვა საბჭოთა მთავრობისაგან და პასუხის მოლიდინში მოულოდნელად ტრაგიკულად დაიღუპა სამუშაოზე – სიმაღლიდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა. მას საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველებმა უჭირისუფლეს და ლევილის ქართველთა სასფლაოზე დაკრძალულს.

ლ. ბელიაშვილის ხელნაწერები, მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში, სამშობლოში წამოიღო აკაკი ბელიაშვილმა, როცა პარიზს ძმის საფლავის მოსახილველად ეწვია. აღნიშნული არქივი მისმა ქალიშვილმა, ქალბატონმა მანანა ბელიაშვილმა ცოტა ხნის წინ გადასცა საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს.

საჯარო ლექციამ, რომელსაც ლადო ბელიაშვილის სამშობლოში სიმბოლური დაბრუნება შეიძლება ეწოდოს, დამსწრე საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მაია ცერცვაძემ ისაუბრა მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და სალაიდ-შოუს ფონზე თვალნათლივ წარმოაჩინა წიგნის „რუსთაველის და დანტეს იდუმალი“ მნიშვნელობა, როგორც, ზოგადად, ქართული ემიგრაციისა და კულტურის ისტორიისათვის, ასევე რუსთაველოლოგიის ისტორიოგრაფიის, კოსმოლოგიისა და ტექსტოლოგიისათვის. მანვე გამოიქვა სურვილი, შესწავლილ იქნას ლ. ბელიაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა მეცნიერულად და მოხდეს მისი პოპულარიზაცია საქართველოში. დასასრულს, მაია ცერცვაძემ უპასუხა მსმენელთა შეკითხვებს.

ქათო წერები

იჩენა შიომისაშვილი

წრე – თოვლის გუნდით
შემოხაზული

აბა რა მექნა,
როცა მამაჩემი თვალებიდან
მეღვრებოდა და
დედა ჩემს სიტყვებში ყვაოდა,
საძინებელში ვიკეტებოდი და ვწერდი.
დიდი იყო ჩემი ბავშვობა.
კედლის მარჯვენა ფერდიდან წიგნები
სცვიოდა და
ყველა წიგნის ჩემიან გმირს
გულზე და ხელებზე ცრემლივით დასდიოდა
მარტოობისა და ცხოვრების სურნელი.
ცხოვრება მაშინ მეც ასეთი მეგონა:
ჩემიანი გმირებით სავსე, ნათელი და
გულუბრყვილო
და ვწერდი
რომ მომავალი შეიძლებოდა წარსულში
აგვრეოდა,
და რომ წარსული დიდი თოვლის გუნდა
იყო მომავლისათვის

და ვწერდი: რომ სანამ სიტყვებს წამართმევდნენ
შენი ძველისძველი მზე უნდა მენახა.
მიყვარდი და ღამეს მანამდე ვათევდი,
სანამ ჩემს თვალებზე სინათლე შეახმა
განთიადს, და ახლა, როდესაც ხელები
სავსეა მომავლით, მე უნდა წავიდე,
შენ კი მეათასედ უნდა მაპატიო, რომ
თვალებს გარიდებ.

დიდი იყო ჩემი ბავშვობა.
წინასწარ გრძნობდა, რომ წარსული შეიძლებოდა გამხდარიყო
მომავალი და
მთელი ცხოვრება ტყუპისცალის ნაბიჯით ევლო
მის გვერდით, ვისაც ვერასოდეს დაეწეოდა.
ნინასწარ გრძნობდა, რომ თვალებში ჩატეული მამის გენი
და სიტყვებში მოყვავილე დედის სევდა
დიდი წრე იყო, თოვლის გუნდით შემოხაზული.



ბენამ პეტერიშვილი



სუთეისი

წინასიტყვაობის მაგიერ

ვიცი, რომ საერთოდ ზღაპრებს წინასიტყვაობებს არ უწერენ. მაგრამ ამ ზღაპრის დაწერის და დაბეჭდვის ამბავი თავისთავად საინტერესო შეიძლება გამოდგეს ძვითხველისთვის. მაშ ასე. 1988 წლის შემოდგომაზე ძალიან აქტიურად ჩავები ეროვნულ ძოძრაობაში და თითქმის ერთი წელი არაფერი მხატვრული აღარ დამიწერია. სულ ხალხში ვტრალებით, გამოყდითიდან მიტიბებზე გავიცანი უამრავი ადამიანი, საქართველოს ყველა კუთხის შვილები. და კიდევ უზრო ძლიერ ვივრძენი მთელი საქართველო. ძოძინდა, დამეწერა ზღაპრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეზე, მხარეებზე, ქალაქებზე, სოფლებზე... ძალიან ადვილად დამეწერა ზღაპარი ქუთაისელ თუთიყუშზე, რომელსაც სუთისი ერქვა. მერე თუთიყუში, ნისტმა და ვერმშატვრულმა აზრმა: „ჩიტი ქართული უნდა იყოსო“, გადამაკეთებინა შაშვად, თუმცა ჩემი ზღაპრების საუკეთესო ექსპერტი და უცვლელი რედაქტორი ქალბატონი ჩიტო (კენეტ) ბაჯელიძე ამ გადაკეთების წინააღმდეგი იყო.

ზღაპარი დაიბეჭდა 1989 წლის 13 ოქტომბერს ვაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. დილაადრიან წამოვხტი, გავვარდი და ვიყოდე ვაზეთის ორი ნომერი. ერთი მინდოდა მეჩუქებინა ჩვენი საყვარელი გმირისთვის მერაბ კოსტავასთვის. ვფიქრობდი, რომ როგორც იმერელ კაცს, მას უნდა მოსწონებოდა ზღაპარი ქუთაისზე... მაგრამ მოხდა თავზარდამცემად სამწუხარო ამბავი. იმ დილით მერაბი დაიღუპა ავტოავარიაში იძერეთის სოფელ ბორითთან... ცხადია, იმ დღეს ქართველებს აღარ გვეცალა ზღაპრების საყითხევად. ნება მიბიძეთ, ახლა შემოგთავაზოთ ის ზღაპარი. ცხადია, მას ვუძღვნი ჩემს საყვარელ ადამიანებს: მერაბ კოსტავას და ჩიტო ბაჯელიძის ხსოვნას.

დილიდან დახეტებოდა ირინეს მამა მთელ ქალაქში. ის დღე ირინეს დაბადების დღე იყო. და მამას უნდოდა, ძალიან კარგი საჩუქარი მიეტანა გოგონასთვის.

სულ შემოიარა უნივერმაღები და სათამაშოების მაღაზიები, მაგრამ ისეთი ვერაფერი ნახა, ძალიან კარგი საჩუქრად რომ გამომდეგარიყო. რაღაც განსაკუთრებული უნდოდა, თორემ განა ცოტა ნახა ლამაზი თოჯინა თუ ფერადნათურებიანი ელექტრული სათამაში.

საღამოსპირას სკეკვი ჩამოჯდა, სკმზე, და ჩაფიქრდა, რა ვწაო. და უცებ გაახსენდა: ამ რამდენიმე დღის წინ ირინემ როგორ ჰყითხა, მამიკო, ჩენ რატომ არა გეყავს ჩიტებიო. ირინეს რაღაც ფილმი ენახა ტელევიზორში და იმ ფილმში პატარა ბიჭებიდონი ჰყავდა თურმე.

— ჩიტი უნდა ვიყოდო, — გადაწყვიტა ირინეს მამამ და ჩიტების ბაზარს მიაშურა.

ბაზრის შესასვლელში ვიღაც კაცი თუთიყუშს ჰყიდდა. თუთიყუში იჯდა გალიაში, თვალები დახუჭა და თვლემდა. ირინეს მამამ თუთიყუშის პატრონს ჰყითხა:

- ჰყიდით?
- კი, ვყიდი — უპასუხა იმან.
- რა შეუძლია?
- ბევრი რამ: კატასავით კრუტუნებს, ღორივით ღრუტუნებს, ცხენივით ფრუტუნებს.
- აუჰ, მართლა, კაცო?! — გაოცდა ირინეს მამა.
- თუთიყუშმა ცალი თვალი გაახილა და უთხრა ირინეს მამას:
- დიახ, ჩემო ბატონო, მართალია ეს კაცი. კატასავით ვფრუტუნებ, ღორივით ფრუტუნებ და ცხენივით ვღრუტუნებ...
- აბა, რასა პრუტუნებ. სულ აურდაურიე ყველაფერი — უსაყვედურა პატრონმა.
- ჰო, პრუტუნიც ვიცი, — დაამატა

თუთიყუშმა. ის თვალიც დახუჭა და თვლება განაგრძო.

ირინეს მამას გაეცინა. თუთიყუშის პატრონმა კი მოიბოლიშა:

— დაბერდა და ცოტა გულმავიწყი და დაბნეული გახდა.

— არა უშავს. მთავარი ისაა, თუ აკეთებს ყოველივე ამას. თუ კრუტუნიც შეუძლია, ღრუტუნიც და ფრუტუნიც.

თუთიყუში შეტოკდა, ორივე თვალი გაახილა და ყურადღებით მიაჩერდა ირინეს მამას.

— აი, კაცი, — თქვა მერე, — იცის, რომ მთავარია საქმე და არა მისი სახელწოდება... ინებეთ, ბატონი!

და ჯერ დაიკრუტუნა.

მერე დაილრუტუნა.

მერე დაიფრუტუნა...

— რას აფასებთ? — პკითხა ირინეს მამამ გამყიდველს.

თუთიყუშმა თვალები დახუჭა და ფრთხები მიიფარა ყურებზე.

— არ უნდა, რომ გაიგონოს, თუ რა ფასად იყიდება, — გაედინა ჩიტის პატრონს.

— ათი ლარია, ბატონი.

— მართლა? მე ხუთ მაგდენსაც არ დავიშურებდი, — განგებ ხმამაღლა თქვა ირინეს მამამ, იქნებ ჩემი სიტყვები გაიგონოს თუთიყუშმა.

თუთიყუშმა, მართლაც, გაიგონა და მაღლობის ნიშნად თავი დახარა. მამამ მისცა ფული გამყიდველს, აიღო გალია, მკერდზე მიიკრა და სწრაფად გაემართა შინისაკენ.

— მოიცა, კაცო, კიდევ ოცის რაღაც-რაღაცები — დაადევნა გამყიდველმა, მაგრამ მამას ეს აღარ გაუგონია.

გალიტებული მიიჩქარდა და ფიქრობდა:

— აუკ, როგორ გავიხარებ ირინესო...

სახლის სადარბაზოში რომ შევიდა, ლიფტს აღარ დაელოდა და სირბილით ავიდა მეხუთე სართულზე. ბინიდან ბავშვების მხიარული შექახილები ისმოდა...

— სტუმრები უკვე მოსულან, — თქვა ირინეს მამამ და თვალი ჩაუკრა თუთიყუშს, — რას იტყვი, პატარა სიურპრიზი რომ მოვუწყოთ კველას, ჲ?

— კი, ბატონი, — დაეთანხმა თუთიყუში.

— მაშინ ერთ წუთს უნდა მაპატიო ეს ამბავი, — უთხრა ირინეს მამამ, პალტო გაიზადა, გალიას გადააფარა და ისე დარეკა ზარი.

ირინეს დედას სუფრა გაეწყო და მასპინძელსლა ელოდნენ. ირინეს მამა მხიარულად მიესალმა სტუმრებს, სათამაღლო ადგილას დაჯდა, პალტოგადაფარებული გალია წინ დაიდგა და ეშმაკურად გალიმებულმა ირინე მიიხმ.

— ეს რა არის, მამიკო? — პკითხა ირინემ, — ჩემი საჩუქარია, ხომ?

— დიახ! — თავი დაუქნია მამამ.

— მაჩვენებ?

— ახლავე, — უთხრა მამამ, ფეხზე წამოდგა და კონფერანსიეს მსგავსად ხმამაღლა გამოაცხადა:

— სმენა იყოს და გაგონება. მინდა გაგაცნოთ ძალიან ჭკვიანი, მეტად სასიამოვნო და ფრიად პატივსაცემი პიროვნება, ჩენი იჯახის უეცარი სტუმარი და ირინეს ოცნებების დედოფალი!

და ამ სიტყვებზე პალტო გადააძრო გალიას.

— თუთიყუში! კაშააა! — იყვირა ირინემ.

— კაშაააა! — აიტაცეს ბავშვებმა.

— კაშაააა! — აყვენებ დიდებიც.

თუთიყუშმა თვალები გაახილა, აქეთ-იქით ყველას დაუკრა თავი და ბოლოს ირინეს დაკვირდა.

— გამარჯობა, პატარა ქალბატონო! — უთხრა ირინეს და ისევ დახუჭა თვალები.

— გამარჯობა, თუთიყუშო! — უთხრა ირინემ და მამას მიუბრუნდა, — რა ჰქვია, მამიკო?

— აუკ, სახელის კითხვა დამაკიწყდა, — შუბლში იტკიცა ხელი მამამ.

თუთიყუშმა ცალი თვალი გაახილა და უთხრა:

— სუთეისი, ბატონო.

— რაო? რაო? — იკითხა სუფრის ბოლოდან ერთმა სტუმარმა, — რაო? — ქუთიერიო?

— არა, ბატონო, — მეორე თვალიც გაახილა ჩიტმა, — სუთეისი მქვია, სუთეისი... ისე კი უნდა გითხრათ, რომ სწორედ ქუთაისში დამარქებს ეს სახელი. ჩემს საყვარელ ქუთაისში, რომელსაც ქუთიერის ეძახინ იქაურები, ანუ ქუთათურები.

ჩემი თავი ქუთაისიდან მახსოვს პირველად. სიმღერა მიყვარდა და ქუთაისში იციან სიმღერის დაფასება. სუფრაზე სიმღერა თუ არ გამოვიდოდა, მაშინვე ვინმე იტყოდა, სუთ ეის იმღერებს ახლაო და ჩემსკენ მოაშვერდა თითს. სუთ, ეის იმღერებს, სუთ, ეის იმღერებსო, ისმოდა გამუდმებით. ჰოდა, აიღო ჩემმა პატრონმა, შეაერთა ეს სიტყვები და სუთეისი დამარქება. ძრიელ კაი პატრონი მყავდა, ნამეტნავად კაი — იმერულად მოუქცია თუთიყუშმა და მძიმებრა, — ერთ ღამეს კი ვიღაც მუდრეებმა მოპატარეს ჩემი თავი. მერე გავიგე, ძალიან უდარდია ჩემს პატრონს, თურმე ლექსიც კი გამოუთქვას და გიტარაზე უმღერია. იქნებ თქევნც იცოდეთ, თბილისშიც ჩამოვიდა ის სიმღერა.

და თუთიყუში ამღერდა:

დეიკარგა სუთეისი,

დეიზაფრა ქუთიერი,

ამას ვჩივი, ამას ვტირი,

ხომ არ მოკლეს უკვე ისი...

ძალიან გრძნობითა მღეროდა...

და როგორც უცებ ამღერდა, ასევე უცებ ატირდა... ტიროლა თუთიყუში და ხანდახან ამოიხსრებდა, მომენატრა ჩემი ბავშვობა, ჩემი პატრონი, გიტარა, პატეფონი, იქაურობა... ქუთაისი მომენატრა, ქუთაისიით...

ტირილს რომ მორჩა, გარინდულ სტუმრებს გადაპქედა.

— თქვენ არ გეწყინოთ, მაგრამ საქართველოში მხოლოდ ქუთაისში უნდა უსძინო გიტარაზე დამღერებულს.

ესა თქვა და ოვალები დახუჭა. ახლა კი მართლა ჩაეძინა, ხვრინვაც კი ამოუშვა. მასპინძელმა სტუმრებს მოუბოდიშა და ჭიქა ასწია:

— ეს ჩვენს იუბილარს, ჩემს ირინეს გაუმარჯოსო.

ყველამ დალია. პატარებსაც შეასვეს წითელი ღვინის რამდენიმე წვეთი. სავალდებულო სადღეგრძელოების შემდეგ სუთეისის სადღეგრძელოც დალიეს. გიტარზეც დაუკრეს და ზედაც დაამღერეს:

დეიგარგა სუთეისი, დეიზაფრა ქუთეისიო. სუთეისის ხვრინვას ეტყობოდა, რომ სიზმარში ჩაესმოდა და სიამოწებდა ეს ხმა. ალბათ თავისი ბავშვობა ესიზმრებოდა. ახლა თუთიყუშს მხოლოდ ირინელა უყურებდა. თუმცა ირინე პატარა იყო და ბევრი რამე არ იცოდა, მაგრამ იგრძნო რომ ნაღვლიანი იყო ფერადი ჩიტი.

სუფრა დიდხანს გაგრძელდა... დაშლას

რომ აპირებდნენ, რომელიდაც სტუმარს გაახსენდა, კი მაგრამ, რად გინდოდათ ეს სუთეისიო.

— ირინეს და მე გვინდოდა ჩიტი გვყოლოდა სახლში, — უპასუხა მამამ.

— ეგ რა ჩიტია, ფრენაც არ იცის ალბათ.

— რატომ, ძალიანაც კარგი ჩიტია, — თქვა მამა. — ირინე, შენც ხომ მოგწონს, შეილო?

— მომწონს, — უპასუხა ირინემ, — ძალიან ლამაზდ მღერის, ტკბილად და ნაღვლიანად.

— სხვა რაღა იცის? — არ ეშვებოდა თუთიყუშს აბეზარი სტუმარი.

— მეტი რაღა უნდა იცოდეს, თავისი ბავშვობის ამბავი გვიამბო, იმღერა და იტირა კიდეც, — უთხრა მამა.

— არა, თუთიყუშური რა იცის, თუთიყუშური. — არა ცხრებოდა სტუმარი.

— ღრუტუნი შეუძლია, ფრუტუნი და კრუტუნი, — უპასუხა მამამ.

— მართლა, მამი? — გაუკვირდა ირინეს.

— ჰა, შვილო.

აბეზარი სტუმარი მობარბაცდა, ხელი შეყო გალიაში და ჩიტი შეანჯლრია:

— გაიღვიძე, ბიჭო, გაიღვიძე! გავცდით წიფას.

თუთიყუშს გაეღვიძა, თვალები გაახილა და ისე ნაღვლიანად ამოიხსრა, თითქოს გული ამოაყოლაო:

— ეჱ, ერთხელაც გამიყვანა წიფის გვირაბში და მოქლა მერე.

კარლო ფაჩულიას ნახატი



აბეზარმა ისევ შეანჯლოდა.

— აბა, გვიჩვენე, კიდევ თუ იცი რამე.

თუთიყუშმა ღირსეულად, მშვიდად
მიუგო:

— ხელის ჯიკაგს რატომ კადრულობთ,
ბატონო. წყნარად გვიბრძანეთ და გიჩვენებთ.

— პო, თუთიყუშური რა იცი, თუთიყუშური,
— ჩაჯინდა აბეზარი.

— რა და... — დაიწყო სუთეისმა, მაგრამ
სიტყვა გაუწყდა. ეტყობა, ისევ თავისი
ბავშვობა ახსენდებოდა და ეს ეშლიდა
ხელს, რომ თუთიყუშურ ამბებზე უფიქრა.

— ფრ... ფრ... — ჩუმად უკარნახა ირინეს
მამამ.

— ფრატუნი? — ჰკითხა თუთიყუშმა.

აბეზარმა გადაიხარხარა. მას ყველა
აპყვა.

მხოლოდ ირინეს არ გაუცინია, ამიტომ
არც ირინეს მშობლებმა და არც ირინეს
უფროსმა დამ ოლიკომ არ გაიცინეს.
იცოდნენ, ირინეს არ უყვარდა, როცა ვინმეს
დასცინოდნენ.

— რატომ იცინით? — გაუკვირდა
თუთიყუშს. მერე ირინეს მიუბრუნდა,
— ირინე, მომიტანე გეთაყვა მამაშენის
ფლოსტები.

ირინემ მოიტანა ფლოსტები და მაგიდის
წინ დაწყო.

— აბა, გამიღე გალია, — უთხრა
თუთიყუშმა.

ირინემ გაუღო. სუთეისი გამოფრინდა,
დაფრინდა იატაკზე წაყო ფეხები
ფლოსტებში და... გაფრატუნდა.

— ხომ მცოდნია? — ამოჭედა აბეზარ
სტუმარს.

— კიდევ თუ იცი რამე? — დამცინავად
გაიღიმა იმან.

— კიდევ... კიდევ, — ჩაფიქრდა სუთეისი.
მერე უმწეოდ აიჩერა მხრები და ირინეს
მამას მიაჩერდა.

მამა კვლავ უკარნახა:

— კრ... კრ...

— აპა, კრაჭუნი.. ხომ? კი, ბატონო.
აი, თქვენ, ფრატუნიც და კრაჭუნიც
ერთდროულად.

სუთეისმა გაირა-გამოიარა ფრატუნ-
ფრატუნით. თან ნისკარტს აკრაჭუნებდა.

— კიდევ დაგრჩა რაღაც თუთიყუშური?
— გულზე გადაიჯვარედინა ხელები
აბეზარმა სტუმარმა და დამცინავი ღიმილით
გამომწვევად დაჭხედა სუთეისი.

— კიდევ დამრჩა? — ისევ ჩაფიქრდა
სუთეისი.

— ღრ... ღრ... — უკარნახა ირინეს მამამ.

— ღრ? — შეეკითხა სუთეისი და
თვალებში მიაჩერდა ირინეს, — რა „ღრ“...?

— ღრრრ — გოჭის ღრუტუნს გამოაჯავრა
ირინემ და გაუღიმა, — ხელად მიხვდები.

— რას ნიშნავს „ღრ“? — მაინც ვერ
მიხვდა სუთეისი.

— მამამ პირი გააღო. უნდოდა ეკარნახა,
მაგრამ აბეზარმა სტუმარმა არ გაუშვა,
ვნახოთ რას იზამს თუთიყუშიო.

სუთეისი დიდხანს ფიქრობდა. ბოლოს
თქვა:

— „ღრ“ ალბათ ღრუტელია. ესე
იგი, უნდა შევძლო ღრუტელობა. ანუ
ღრუტელივით მოქცევა. ეგ თუ შემებლო,
მეც არ ვიცოდი. თუმცა, ვინ იცის, იქნებ
შემიძლია? აბა, ვცადოთ.

ესა თქვა და უცებ პაწაწინა, ლამაზ
ღრუტელად იქცა ეს ჩვენი სუთეისი!
აფრინდა ღრუტელი და ჭერთან წრე
დაარტყა. ცოტა ხანს ირინეს გაუჩერდა
სახესთან და რამდენიმე ცრემლი ჩამოაგდო.
მერე კი სარკმელში გაფრინდა. ყველანი
ფანჯარას მიაწყდნენ.

— დასავლეთისკენ გაფრინდა...
ქუთაისისკენ... — თქვა ირინეს მამამ... და
ჩუმად ჩაიღილინა:

დაბრუნდება სუთეისი,

გეოხარებს ქუთეისი...

და ირინემაც ჩაიჩურჩულა: გეიხარებს
ქუთეისი... მერე მამასთან მივიდა და
სხოოვა: ამიყვანე, მამიკო.

მამამ აიყვანა. ირინემ ლოფაზე აკოცა.

— გმადლობთ, მამიკო. ძალიან კარგი
საჩუქარი იყო.

— შენ რომ არ დაგრჩა?


— როგორ არა... დამრჩა... სულ
მემახსოვრება ჩემი სუთეისი...

და თვალები აუცრემლდა ირინეს.

ფერადი ღრუტელი კი, მართლაც,
დასავლეთისკენ მიფრინავდა. იქით, საითაც
ქუთაისია — საყვარელი, სანატრელი ქალაქი,
რომლის მკვიდრო უბრალოდ ქუთაისელები
კი არა ჰქვიათ, არამედ საგანგებო და
საფერებელი სახელი: ქუთათურები... და
რომელ ქალაქშიც, რა დასამალია, და
ამქვეყნად ყველაზე ლამაზად მღერიან
გიტარაზე.

ლამაზად, ანუ ტკბილად და ნაღვლიანად.





პეტრე ზვედელიძე



ტიციან ტაბიძე

ავტორი: ცისანა ჯანაშვილი

უკრნალ „ანეულის“ შემომწირველები:

მაია გოთუა, ზურაბ ჯოხარიძე,

ცისანა ჯანაშვილი, ივანე ჯაფარიძე

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;

ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

მას აძამის (ახალაშვილი) ახალი დაქსები

ირჩები შავათავას ახალი მოთხოვა

დიმიტრი ყიფიანის ქადაგის დღე –
რეპრეზიტაციი ევროპის მიმდევარი

„კური, რომ სამეზი
რეზოს სახლ – მუზეუმი გაისცება“

გარემოდ მარიამ გარემი –
„ქალიან მოზაფი კაში
უავალებელი ფრთავისა“

აღვესაძერ აუგიანის რეზ დაქსი –
თარებანა მოწია კუჭუპიამ

ნორ ჩიკვაზვალი –
ფიცრიანი ნორას მარაცვალის ნიჭია

„რესტავრაციის და დაცვის ინიციატივი“

გერამ პეტრიაშვალი –
„ცალიერი“ (ზღვარი)



თბილი – გიმიტუბულის ხელი